# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

26 მაისი 2001 წელი - 29(47) - 26 MAI 2001

**ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია**

საქართველოს დამოუკიდებლობის 83 წლისთავი

26 მ ა ი ს ი..........1
დოკუმენტაცია..........4

ხოხუმის დაპყრობის მე-8 წელი

სოხუმის დაპყრობის მერვე წელი..........7
"თეთრი ლეგიონი"..........9
"ხუხლოვის ხული"..........11
ჭეშმარიტებაა გზა შერიგებისაკენ..........13
გორბაჩოვი - გამსახურდია..........14
ვ. პუტინის ორ-პირობა? - ..........15
ჩვენი აფხაზეთი და დიმიტრი გულია..........17

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

პირველი მაისი და თამარობა..........18
"რადიო თავისუფალი ევროპის" 50 წლისთავი..........19
რუსეთის "რეგულირებადი ქაოსი" კავკასიაში? - ..........22
გერმანული პოლიტოლოგი კავკასიის შესახებ..........23
ინტერვიუ გოგი თოფაძესთან..........25

რუსეთ-საქართველოს ომის 80 წლისთავი

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი..........31
ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში(21.2.1921 წ.)..........39
საქართველოს მთავრობის განცხადება(19.3.1921 წ.)..........41
საქ. მთავარი შტაბის ზოგიერთი კომუნიკე..........44
საქ.დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება..........45
კათოლიკოს ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციისადმი..........45
საქართველოს დაპყრობა და ევროპა..........47
გენერალ კვინიტაძის საიდუმლო მოხსენება..........48
ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება..........50

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

..........56
"ნუ დაივიწყებთ საქართველოს!" - ..........57
ა.სოლჟენიცინი: რუსეთის გეოგრაფიული საზღვრები..........58
ქართველ უახლეს ლტოლვილთა რაოდენობა უცხოეთში..........
მოულოდნელი მთამაგონებელი შეხვედრები(მოგონება თუ მეტი?)..........59
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები..........65

ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

..........67
გრიგოლ რობაქიძის დაბადების 120 წლისთავი..........68
მშობელი მიწის მიმართ(ლექსი)..........69
2001 წელი - ენების წელი ევროპაში..........70
ჯიუზეპე ვერდი და...საქართველო..........

ქართველთა ყოფა-ცხოვრება უცხოეთში

..........72
აღდგომა პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში..........72
აღდგომა მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასალის ეკლესიაში..........74
მისალმება..........76
"ხალაც ქართველი გადაწვდება"(გ.გაბესკირია)..........

**დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უპირატესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოზომილი, მშრალი, მებრძოლი. — ნოე**

დაარსდა იანვარი 1952, პარიზი — Fondation janvier 1952, Paris

გ-772
42648
ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართველობის (მთავრობა), კანონშემოქმედებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს შორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თაობათა ამა თუ იმ პირის, თუ დაჯგუფების გაბუქებული ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d ' exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

## მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

**Everyone has the righet co freedom of opinion and expression: this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამოუკიდებელი საქართველო

## 83 წლისთავი

1918 - 26 მაისი - 2001

პარიზი

საქართველოს დამოუკიდებლობის 83 წლისთავი

26 მ ა ი ს ი

1.

გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო, საქართველოს დამოუკიდებლობის 83 წლისთავს, 26 მაისს, ჩვენს დიდ ეროვნულ დღესასწაულს!..

2.

26 მაისი - ეს გვირგვინია ჩვენი ერის, საქართველოს, ქართველი ხალხის სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრებისა, რასაც განსაზღვრავდა საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც.

3.

საქართველო, საქართველოს სამეფოები ჯერ კიდევ არგონავტების ხანაში დაადგა ევროპული, დასავლური პოლიტიკის გზას, რის იმდროინდელი ცენტრი იყო საზარძნეთი, 'ბრძენთა ქვეყანა', რომელიც მოგვიანებით ჰელენიზმში გადაიზარდა. ორი-ათასი წლის წინათ კი საქართველო ეზიარა ქრისტიანიზმს, რასაც მოყვა 'დიდი ოქროს ხანა', რაც, როგორც ადრინდელი რენესანსი, წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპულ რენესანსს, რის შედეგად კიდევ უფრო გაიფურჩქნა ჩვენი ეროვნული და ამით ევროპული მსოფლხედვა.

4.

და თანამედროვე, მოდერნული საქართველო იშვა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღეს, რომლის საფუძველი იყო, არის და დარჩება ორი სა-ერთა-შორისო მნიშვნელობის მოვლენა: ამერიკის შეერთებული შტატების 'დამოუკიდებლობის მანიფესტის' გამოცხადება 1776 წლის 4 ივლისს, და, მისგან გამომდინარე, 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციის 'თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის' დიდი ჰუმანიტარული იდეები, რომლებმაც გამოსახულება ჰპოვა 1893 წლის 7-დ თებერვალს ტაარხებული 'მესამე დასის' სამოქმედო პროგრამაში, რომლის საფუძველი იყო, არის და დარჩება - 'ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა'.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.

კიდევ მეტი: საქართველომ, ქართველმა ხალხმა 4 ივლისსა და 14 ივლისს სა-ერთა-შორისო იდეები 'სოციალური დემოკრატიის' იდეებად გარდაქმნა და ამით დემოკრატიის უმაღლეს ფორმად აქცია, რომლის საფუძველია 1918 წლის 26 მაისის 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი' და დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რამაც, იმ დროს, განცვიფრებაში მოიყვანა დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომელთაგან, მაგალითად, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა - რამსეი მაკდონალდმა, რომელმაც 1920 წელში ესტუმრა დამოუკიდებელ საქართველოს, - 1920 წლის 16 ოქტომბრის გაზეთში -'ნეიშენ' -, სხვათა შორის, წერდა:

"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე,

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩემს ქვეყანაში".

6.

და, შევუდექით რა ჩვენი 'პატარა ოქროს ხანის' მშენებლობას, 26 მაისის 'ოქროს თაობის' ხელმძღვანელობით, - რუსეთი ისევ მოგვევლინა ცეცხლითა და მახვილით და 1921 წლის თებერვალ-მარტში ისევ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და იგი ისევ რუსეთის თავისებურ კოლონიად აქცია, რაც გაგრძელდა თითქმის სამი-მეოთხედი საუკუნე, რომლის დროს რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტები განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდნენ საქართველოში, რომლის ტრაგიკული მაგალითებია, თუ გნებავთ, 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობა, 1956 წლის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები თბილისში, 9 მარტს, თუ 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციები თბილისში, რომლის დროს დიდმპყრობელ-შოვინისტებმა და მათმა ქართველმა მონებმა არა მარტო ორ-პირ-ლესილი ბარები / გამოიყენეს ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დასაჩეხად, არამედ საწამლავი ნივთიერებანიც გამოიყენეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რის შედეგად მოკლულ იქნა 9 ბავშვი და ქალი და მოწამლულ იქნა ასობით ადამიანი.

7.

მიუხედავათ ამგვარი ბოლშევიკური ტერორისა, ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს, რის შედეგად 26 მაისი ისევ-გახდა ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული!, მაგრამ რა? - რუსეთმა, პოსტბოლშევიკურმა რუსეთმა ისევ მიჰყო ხელი მეფის რუსეთისა და ბოლშევიკური რუსეთის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის განხორციელებას საქართველოს მიმართ და მისი სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ძალები აამოქმედა საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთსა და შიდა ქართლში ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით; და ასე ჩამოაშორა საქართველოს ადმინისტრაციულად ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი, გამორეკა ამ ტერიტორიებიდან სამას-ათასზე მეტი ქართველობა, და ქართველთა თვით გენოციდს [illegible] უკან; და ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში ასახლებს უცხოელებს, განსაკუთრებით რუსებს; და, ყველაზე უფრო დიდი დაცინვაა ჩვენი ეროვნული მეობისათვის ის ფაქტიც, რომ რუსეთი : 'სამშვიდობო სამხედრო ძალების' ფუნქციასაც კი ასრულებს გაეროს ეგიდით საქართველოში!..

8.

აი, რუსეთის ამგვარი დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველო, 2001 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული თავისუფლების დღეს - ხვდება მეტად მძიმე მდგომარეობაში, რომლის კიდევ ერთი ტრაგიკული ფაქტი გახდა 1998 წლის 26 მაისის წინადღეები, როცა რუსეთმა ისევ განაახლა სამხედრო მოქმედება ჩვენს გალში, რომლის დროს განაგრძო

ქართველთა გენოციდი, რომელსაც მოყვა კიდევ ორმოც-ათასამდე ლტოლვილი.

9.

და,ავღნიშნავთ რა საქართველოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი თავისუფლების დღეს - 26 მაისს -, ვითომ,ან უკვე პოსტბოლშევიკური რუსეთი,ისევ შესძლებს საქართველოს სახელმწიფოს'მისი გავლენის სფეროში'იმდენად მოქცევას, როგორც ეს იყო მეფის რუსეთისა და ბოლშევიკების დროს?.. დიდმპყრობელ-შოვინისტები სომ არ ივიწყებენ, რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა და 21-ე საუკუნე გლობალური ინფორმაციის ხანისად: გლობალური ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ხანის დასაწყისია?..

10.

ჩვენ გვჯერა, ჩვენ გვსურს დავიჯეროთ, რომ რუსეთის დემოკრატებიც, როგორი სუსტიც არ უნდა იყვნენ ესენი, - შეიგნებენ, რომ არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის მომავალიც გადაჯაჭვულია ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული ქვეყნების ბედთან; და, ამდენად, 4 ივლისის, 14 ივლისისა და, თუ გნებავთ, 26 მაისის დიად საკაცობრიო, საერთა-შორისო ჰუმანიტარულ იდეებთან, და ეს არის, ეს უნდა იყოს ჩვენი მოქმედების კრედო, მრწამსი!.. თვით რუსეთთან ურთიერთობის დროსაც. 11.

მაშ, დიდება 26 მაისს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დღეს!..

დიდება, საქართველოს!..

დიდება ქართველ ერს!..

მრავალჟამიერ!..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2001 წლის 26 მაისი

---

## თავისუფლება გამოწვევაა

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება,თავისთავის განწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

- . - . - . - . - .



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იკისრეს თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზემოქმედებით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

(1918-1921 წლები)



ნოე ჟორდანია

საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე



ევგენი გეგეჭკორი



ნოე რამიშვილი



აკაკი ჩხენკელი



კონსტანტინე კანდელაკი



კარლო ჩხეიძე

„... უნდა დაინახოს მტერმაც და მოყვარემაც, რომ არამარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვიყვეთ დამოუკიდებელნი."

„... და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთვნელი ისტორია მაინც იტყვის — ჩვენ მივდიოდით სწორი გზით და გავაკეთეთ რის გაკეთებაც კი შეგვეძლო"

*ნოე ჟორდანია 1918 წლის 4 აგვისტო*



ნოე ხომერიკი

* * *

მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, არასოციალისტი ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია.

*მიხაკო წერეთელი*



გრიგოლ ლორთქიფანიძე



ირაკ წერეთელი

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაპყრობის წლისთავი

„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დალუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს“

## ჩვენი აფხაზეთი და რუსეთი

(სოხუმის დაპყრობის მე-8 წელი)

1.

1993 წლის 27 სექტემბერს დაიპყრო რუსეთმა ჩვენი აფხაზეთის მთავარი ქალაქი - სოხუმი - აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, და ბატონობს არა მარტო აფხაზეთში, არამედ ამასთანავე მდინარე ენგურის გასწვრივ ზონაშიც,გაეროს "სამშვიდობო ჯარების" ეგიდით; და მიუხედავათ იმისა, რომ სოხუმის დაპყრობის შემდეგ უკვე რვა წელიწადია გასული, რუსეთის ახალი ხელმძღვანელობა, ვლადიმერ პუტინის მეთაურობითაც, - აგრძელებს დიდმპყრობელურ-იმპერიულ პოლიტიკას როგორც აფხაზეთში, ისევე შიდა ქართლში - აფხაზი და ოსი ექსტრემისტების ნიღბით.

11.

ამგვარი რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის შედეგია ის, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის სახელმწიფოებრივი უწყებები საქართველოს, ან დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს გარეშეა დარჩენილი, რომლის მოგვარებას რუსეთის ახალი ხელმძღვანელობა ყოველი ხერხით აფერხებს, რომლის დროს ბრალს, რა თქმა უნდა, საქართველოს სდებს. ამის შედეგია ის, რომ აფხაზეთის საკითხის მოგვარება და ამით სამას-ათასამდე ქართველი ლტოლვილის დაბრუნება თავთავიანთ მიწაწყალზე აფხაზეთში, დღემდე ვერ მოგვარდა.

111.

პოლიტიკური დისკუსია აფხაზეთის შესახებ 2000-ს წელსა და მიმდინარე წელშიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, მაგრამ ფაქტიურად, პრაქტიკულად ვერაფერი ვერ კეთდება, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთი ზის, "ვეტოს უფლებით" აღჭურვილი,და ვლადისლავ არძინბას, აფხაზი სეპარატისტების მეთაურს, მოხერხებულად იყენებს აფხაზი ხალხისა და ამით საქართველოს გარდაუვალი უფლებების წინააღმდეგ. არძინბამ, მაგალითად, გასულ წელშიც უარყო გაეროს მიერ შემუშავებული წინადადება აფხაზეთის სტატუსის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, და კატეგორიულად მოითხოვს აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ცნობას საქართველოსაგან.

1V.

გასაკვირია, რომ რუსეთის ამ მარიონეტის - არძინბას - ამგვარ "თამაშს" ადგილი აქვს გაეროს უშიშროების საბჭოში და არავინ ენას არ იღებს რუსეთის ამგვარი დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის გამო საქართველოს მიმართ; და ისევ ქართველობას, საქართველოს აბრალებენ საქართველოს ამ შინაგანი საქმის მოგვარებას, თუმცა კარგად იციან, რომ რუსეთია ის სახელმწიფო, რომელიც ყოველი ძალღონით ცდილობს არა მარტო აფხაზეთში, არამედ შიდა ქართლშიც სუფევდეს "მყარი-არამყარი" მდგომარეობა, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს განუწყვეტლივ ჩაერიოს საქართველოს შინაგან საქმეებში.

V.

მაგრამ, როგორც სჩანს, "პატარა" დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შინაგან საქმეებში ჩარევა "დიდი" და ზე-სახელმწიფოების მიერ, იმითაცაა დაკანო-

ბეზული, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, როგორც ავღნიშნეთ, "ვეტოს" უფლება აქვს უშიშროების საბჭოს მხოლოდ ხუთ წევრს - აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ბატონობენ არა მარტო "პატარა", არამედ "გუშინდელ" მტერს სახელმწიფოებზედაც კი, როგორიც არიან იაპონია, რომელიც დღეს მსოფლიოში ეკონომიკურად მეორე სახელმწიფოთა აშშ-ს შემდეგ, თუ გერმანია, რომელიც დღეს მსოფლიოში ეკონომიკურად მესამე უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლება; და ამგვარი სა-ერთა-შორისო პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ "ზე"- თუ "დიდ" სახელმწიფოებს, - არაოფიციალურად, - გააჩნიათ ე.წ-ლი "გავლენის სფეროები", ე.ი. ახლო თუ შორეული "პატარა" სახელმწიფოები, რომლებსაც მათი"გავლენის სფეროდ"მიიჩნევენ.

VI.

და რუსეთისათვის, - თუ აშშ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მადლენ ოლბრაიტს სიტყვებს დავეყრდნობით("ვარადა",ნომერი 22, 2001 წლის თებერვალი, გვ.6), - ასეთი "გავლენის სფერო" ყოფილა კავკასია, რა თქმა უნდა, საქართველოს ჩათვლით; ეს კი, როგორც ჩანს, რუსეთს საშუალებას აძლევს არა მარტო აამხედროს თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტი საქართველოს წინააღმდეგ საქართველოშივე, და რუსეთის შეიარაღებული - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებით - დაგვამარცხოს ჩვენ, ქართველობა, საქართველო ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, არამედ ამასთანავე "სამშვიდობო ძალებიც" რუსეთმა განალაგოს ჩვენი ენგურის გასწვრივ, გადაგვიკეტოს გზა აფხაზეთისაკენ, და ამით გადაგვიკეტოს გზა, რომ სამას-ათასამდე ქართველი ლტოლვილი ვერ დაბრუნდენ თავთავიანთ მიწა-წყალზე ჩვენს აფხაზეთში. ამგვარ "უფლებას" რუსეთი ანიჭებს თავისთავს, რადგან სხვა "ზე-" თუ "დიდი"- სახელმწიფოებიც, როგორც ჩანს, "ითმენენ" რუსეთის ამგვარ იმპერიულ მოქმედებას საქართველოს მიმართ აფხაზეთსა და შიდაქართლში.

VII.

აი, მიზეზი იმისა, რომ ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში მშვიდობიანობა ვერ მყარდება, რადგან რუსეთის შეიარაღებული ძალები ბატონობენ აფხაზეთსა და შიდა ქართლში თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტის ნიღბის ქვეშ. მაგრამ როდემდის უნდა გაგრძელდეს რუსეთის ამგვარი განუკითხავი ბატონობა საქართველოში?.. ვითომ 1991 წლის 27 სექტემბერს, როცა სსრკ-ს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი გადადგა, და სსრკ-ს დაშლა აღიარებულ იქნა, - მაინც არ მოხდა რუსეთის განუკითხავი ბატონობის აღკვეთა საქართველოში?.. მაგრამ, ვიმეორებთ, როდემდის?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2001 წლის 12 აპრილი

---

## ადამიანი და პირუტყვი

"რა არის ადამიანი
თუ მისი მთავარი ჯასოვანება და მესანიშნავი ყამი
სხვა არაფერია თუ არა ძილი და ჭამა? - ერთი პირუტყვი
მეტი არაფერი."

უილიამ შექსპირი(1564-1616)

"Wath is a man
Jf his chief good and markest of his time
Be but to sleep and feed? - a beast no more".

William Shakespeare(1564-1616)

- . - . - . - . -

"კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი..."

# თეთრი ლეგიონი

## მარადიული ძმობისათვის თავგანწირულები

**გაზეთი „სარკმელი საქართველოსი" პარტიზანული შენაერთის მასპინძელია**

ჩვენ არ ვებრძვით აფხაზებს. აფხაზები ჩვენი ძმები და თანამებრძოლები არიან.

ჩვენ ვებრძვით იმპერიალიზმის მიერ დაქირავებულ კაციჭამიებს—არძინბასა და მის ხროვას და თუ არ დაგვენებლებიან, სამშობლოს ღალატისათვის, ქართველებისა და აფხაზების გენოციდისათვის საკადრის პასუხს მიიღებენ.

პრესის და ინტერნეტის საშუალებით ჩვენ უკვე მთელი მსოფლიოს გასაგონად განვაცხადეთ, რომ 2000 წლის 26 მაისიდან ძალას კარგავს მორატორიუმი საბრძოლო მოქმედებების დროებით შეწყვეტის შესახებ, რომელიც მივიღეთ იმის გამო, რომ 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებისა და საქართველოს ახალი მთავრობის ჩამოყალიბების პერიოდში ჩვენი ოპერაციები და ჩვენს წინააღმდეგ მომართული ცილისწამებათა მღვრიე ტალღა გარეშე ძალას ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის საბაბად არ გამოეყენებინა.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით არძინბას თეომარქია ხელისუფლებამ—თოჯინების მისეულმა საცირკო თეატრის პერსონაჟმა „მინისტრებმა" დიდი განგაში ატეხეს: არაქა გვიშველეთ, საქართველოს ხელისუფლება პირობას არღვევს—პარტიზანების დახმარებით უნდა ჩვენი დამხობაო.

ამ პროვოკაციული ხმაურით უკვე ვერავინ ვეღარავის მოატყუებს.

. . . . . . . . . . . . . . . .

ჩვენ—აფხაზეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ავანგარდული რაზმის წევრებს, პარტიზანული შენაერთის „თეთრი ლეგიონის" მებრძოლებს, რომლებიც აფხაზეთში ვცხოვრობთ და მისი გათავისუფლებისათვის ვიბრძვით, ჯერჯერობით არც იურიდიულად და არც მორალურად არავითარი ვალდებულება არ გვეკისრება არძინბასეული რომელიმე „შეთანხმების" შესრულება-შეუსრულებლობაზე.

არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გასაგონად არძინბას ხროვას ჩვენ რამდენჯერმე ისიც კი შევთავაზეთ, რომ მოდით, ორივე მხარე ჩვენივე სურვილით წარვსდგეთ ნებისმიერი სასამართლოს წინაშე და, დაე, განგვსაჯონ, ვინ რისთვის არის დამნაშავე—არძინბას მხარე კაციჭამიობისათვის, ქართველი და აფხაზი ხალხების მასობრივი გენოციდისათვის, სისხლიანი ორგიებისა და მიცვალებულთა დასახიჩრებისათვის, ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ამოხოცვის, მათი სისხლის სმისა და მოჭრილი თავებით ფეხბურთის თამაშისათვის, თუ ჩვენ—აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წარმომადგენლებსაც არასოდეს მიუტოვებიათ ჩვენი მამაპაპისეული კერა და ეკალლობა, ცოფიანი კაციჭამიებისაგან ადამიანები პარტიზანული ბრძოლებით ვიხსნათ.

**ზურაბ სამუშია,**
პარტიზანული შენაერთის
„თეთრი ლეგიონის" სარდალი

სარკმელი საქართველოსი — ივნისი-25 ივლისი, 2000

ცრუობენ არძინბა და მისი კაციჭამია ამფსონები: აფხაზეთში სეპარატისტთა კი არა, რუსეთის იმპერიალიზმის მიერ დაქირავებულთა ალყარაშნილი თარეში იყო და დღემდე იგივე მდგომარეობაა. აქ არ განუხორციელებიათ მხოლოდ ქართველთა გენოციდი არძინბა და მისი ხროვა, რომლებიც დამპყრობლების ხელში ყველაზე კომპრომატული თოჯინური დადგმის პერსონაჟების როლს ასრულებენ, პირწმინდად ანადგურებდნენ და ანადგურებენ ძირძველ აფხაზებსაც.

სამშობლოს არვის წავართმევთ.
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება.
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მეგობარსაც კი გაეცინება.

ვაჟა

---

# სარკმელი საქართველოსი

**ალექსანდრე შენგელია,**
გამომცემელი და რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ივნისი-25 ივლისი, 2000

## სოჭი - აფხაზეთი - სამაჩაბლო

არა მარტო სოჭი, ნიკოფსიაც კი ერთა ლიგის მიერ დემოკრატიული საქართველოს განუყოფელ ტერიტორიად იყო გამოცხადებული. იმ ხელშეკრულებითაც, რომელიც საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დაიდო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი მდინარე მცყოფსზე გადიოდა.

ქართველთა გენოციდმა, რომელიც დენიკინის შემოსვლის დროს განხორციელდა და დღეს ფაქტობრივად აღარავინ ახსენებს, უძველესი ქართული კუთხიდან—ჯიქეთიდან თითქმის ძირფესვიანად ამოძირკვა ჩვენი ხალხი და საქართველოს განუყოფელი ტერიტორია კრასნოდარის მხარეში შეთანთქა. მოხდა ზუსტად ის, რასაც დღეს იგივე დამპყრობელი პედანტური სიზუსტით იმეორებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.



"კიდევაც დაიზრდებიან,
ადგილს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი არ ჭამონ მტრისანი."

მიხეილ ჯავახიშვილი

ივნისი-25 ივლისი, 2000

სარკმელი!
საქართველოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "სუსლოვის ხელი" და აფხაზეთი

1.

1999 წლის 30 ოქტომბრის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულია ვრცელი სტატია, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ აბაშიძე ამბობს, რომ "დღეს საქართველოში სუსლოვის ხელის აღორძინების საფრთხეა".

2.

ამ სტატიაში შემდეგ განმარტებულია თუ რას წარმოადგენს ეს ე.წ-ლი "სუსლოვის ხელი". მიხეილ სუსლოვი(1902-1982) იყო, ასე ვთქვათ, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის და ამით სსრკ-ის კომპარტიის იდეოლოგი, რომელიც გარდაიცვალა 1982 წელს. მიხეილ სუსლოვს 80-იან წლებში გაუკეთებია "დახურული მოხსენება", რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ, რომ არ ვთქვათ, რასისტულ მტრობას საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს:

3.

"კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვანაირი იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. დასავლეთი საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის შემრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

4.

აი, როგორ გარყვნეს დიდმპყრობელმა შოვინისტებმა - საერთოდ - და მიხეილ სუსლოვმა აღნიშნულ შემთხვევაში, ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის ჰუმანიტარული რწმენა, რაც აღმაშფოთებელია განსაკუთრებით იმიტომაც, რომ დღესაც - აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს სახელმწიფოში - მოგვევლინება არა მარტო თითო-ოროლა აფხაზი თუ სხვა ექსტრემისტი, არამედ ქართველებიც, რომლებიც ცდილობენ რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტების უღელი ისევ დაგვადგან კისერზე!..

და რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებმა ამგვარი რასისტული ბრძოლა ქართველი ერისა და საქართველოს [illegible] სწორედ აფხაზეთში დაიწყეს და გრძელდება დღემდე, რომლის დროს "ნეიტრალური შემრიგებლის" როლსაც თვითონ რუსეთი თამაშობს!..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2000 წლის 20 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "L'âme de Souslov"et Abkhazie

1

Dans son édition du 30 octobre 1999 le Journal « La République de Géorgie » a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du Président, écrit qu'il existe aujourd'hui en Géorgie une menace de renaissance de « l'âme de Souslov »

2

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant « âme de Souslov ».Mikheïl Souslov (1902-1982) était ce qu'il convient d'appeler l'idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d'URSS.
Mikheïl Souslov a fait, dans les années 80 une « conférence à huis clos » au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l'encontre de la nation géorgienne.
Voici ce que Souslov nous dit :

3

''Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons œuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s'adressera.
Nous devons permettre à nos Généraux d'Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie « normales ».
Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Géorgiens.
Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l'indépendance et de la liberté.
Nous devons commencer à les affronter en Abkhazie.
En profitant de l'Abkhazie, nous accorderons l'indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l'Adjarie.
Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux .
Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.
Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu'ils sont issus de pays divers et qu'ils sont les représentants de diverses nations, ce qui nous donnera la possibilité de les chasser définitivement du territoire géorgien''

4

Voici comment les « grands conquérants chauvins » en général, et Mikheïl Souslov dans l'événement relaté, ont pourfendu la conviction fraternelle d'amitié humanitaire des peuples.
Ce qui est particulièrement révoltant, c'est qu'aujourd'hui même, au sein de l'état géorgien indépendant et souverain, on trouve non seulement quelques extrémistes Abkhazes et Ossètes, mais également des géorgiens qui essayent à nouveau de soumettre le pays sous le joug du « grand conquérant chauvin russe » ! ...
Et c'est justement par l'Abhazie que ces grands conquérants chauvins russes ont commencé leur lutte contre le peuple géorgien, lutte qui se perpétue encore de nos jours, pendant que simultanément, le rôle de « pacificateur neutre » est précisément assuré par la Russie ! ..

Karlo Inassaridze
Paris le 26 mai 2000

თარგმანი ოთარ პაჭარიძისა
---------------------

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭეშმარიტებაა გზა შერიგებისაკენ

## The Trooth the Road to Reconciliation

1.

"Под одним небом, на одной земле строили мы нашу культуру, вместе защищали нашу национальную сущность и нашу землю. Мало сказать, что мы братские народы. У нас одна психика, одни обычаи и обряды, одна психология. Вряд ли у грузина есть более близкий брат, чем абхаз. Абхаз в свою очередь может сказать про грузина то же самое. Это братство и сохранило нас. А кто старается его разрушить, "самому себе он враг".

Выдающийся сын Абхазии Д.И.Гулиа

2.

Наши народы никогда не воевали друг против друга -

И вот теперь, в канун XXI века, в эпоху расцвета мировой цивилизации, небывало широкого распространения идей гуманизма, торжества принципов демократии и защиты прав человека в большинстве государств, группа абхазских сепаратистов, узурпировав власть в автономной республике, после долгой и тщательной подготовки к войне сумела ее спровоцировать.

В заявлениях руководства Народного фронта Абхазии "Айдгылара" ("Единение") неоднократно звучали слова:

3.

"Мы заставим вас (грузин) стрелять в нас (абхазов). От Грузии и грузинского рабства мы можем избавиться только силой оружия". И далее: "Не беспокойтесь, у нас уже все готово. Мы поставим под ружье за полчаса весь народ. Наши арсеналы уже полны вашим же, российским оружием, и в любой момент мы можем их удвоить и утроить. У нас налажены связи с казачеством, вы сами скоро это увидите: как только здесь начнется война, весь Кавказ придет в движение, а за ним и вся Россия. У нас свои эмиссары за рубежом - в Турции, в арабских странах. Нас поддержит весь мир. Ну, а кто не захочет быть с нами, с тем поступим по законам военного времени".* Фактически война была объявлена в радиообращении В.Ардзинба по поводу всеобщей мобилизации (мужчин от 18 до 45 лет).

"Известны и политические цели организаторов этих преступлений: расчленение Грузии, вовлечение в войну России. советско-коммунистический реванш с возрождением Советского Союза".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გორბაჩოვი - გამსახურდია

### მიხეილ გორბაჩოვის დაბადების 70 წლისთავის შესრულების გამო

1.

მოსკოვის გაზეთი "ნოვიე იზვესტია" მიხეილ გორბაჩოვის, სსრკ-ს პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის დაბადების 70 წლისთავის შესრულების გამო, სხვათა შორის, წერს:

2.

"საბჭოთა ისტორიის უბედურება იყო ის, რომ სიცოცხლის უუნარო სისტემა ჩვენს ქვეყანაში დიდხანს ბატონობდა; ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ახე დიდხანს არსებობდა... ისინი, რომლებმაც ამ უცნაურობისაგან ისარგებლეს, დიდი ენერგია დახარჯეს იმისათვის, რომ ცოდნის ადგილზე დაეყენებინათ რწმენა სოციალიზმის უპირატესობისა. ჩვენ, გორბაჩოვთან ერთად, გარდავლახეთ ეს რწმენა, და ეს არის მისი დამსახურება ისტორიის წინაშე. გორბაჩოვი იმითაც უნდა იქნას განსჯილი, რომ მან სსრკ-ს დაშლა შეასუსტა".

3.

უდავოა, გორბაჩოვს განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის სსრკ-ს დაშლაში, მაგრამ უფრო მეტი დამსახურება რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს არ მიუძღვის, რადგან გორბაჩოვი, მის გადადგომამდე,1991 წლის 27 დეკემბრამდე, ამაოდ ცდილობდა სსრკ-ს შენარჩუნებას შეცვლილი ფორმით?..

4.

უდავოა აგრეთვე ის ისტორიული ფაქტი, რომ სსრკ-ა ხელოვნურად შექმნილ იქნა 1922 წლის 30 დეკემბერს რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისა და ეროვნებების ბაზაზე, რომლის დროს საქართველო ისევ გახდა რუსული იმპერიალიზმის მსხვერპლი 1921 წლის 25 თებერვალს; და რუსეთის მიერ ხელოვნურად შექმნილი ეს "ორგანიზმი" დაშალა თვით რუსეთმა 1991 წლის დეკემბერში, სსრკ-ს შექმნის,თითქმის ზუსტად, 69 წლისთავზე, რაც არა იმდენად გორბაჩოვის, რამდენადაც ბორის ელცინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ რა?..

5.

იმავე ბორის ელცინმა შექმნა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რომელშიც საქართველო არ შევიდა, რის შედეგად რუსეთმა, იარაღის ძალით, დაიპყრო ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი, მოახდინა ქართველთა გენოციდი, გაასახლა საქართველოს ამ ძირძველ მიწაწყლიდან სამასი-ათასი ქართველობა და დღესაც ბატონობს აფხაზეთსა და შიდაქართლში აფხაზი და ოსი თითოოროლა ექსტრემისტის ნიღბით.

6.

ესაა "სსრკ-ს" დაშლის"შესუსტება", როგორც ამას წერს გაზეთი "ნოვიე იზვესტია?.." თუ ეს არის პოსტტოტალიტარული იმპერიის ისევ შექმნის ცდა?..

7.

და აქ მაგონდება გამსახურდია-გორბაჩოვის დიალოგი ტელეფონით, რომლის დროს მიხეილ გორბაჩოვი ემუქრება ზვიად გამსახურდიას თუ იგი ხელს არ მოაწერდა ე.წ-ლ "სამოკავშირეო ხელშეკრულებას". ეს ცნობა გამოაქვეყნა გერმანიის ავტორიტეტულმა ჟურნალმა -"დერ შპიგელ" -, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია("შპიგელ", 1991 წლის 11 მარტი, ნომერი 11):

8.

"<u>გორბაჩოვი:</u> და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას?

<u>გამსახურდია:</u> ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.

<u>გორბაჩოვი:</u> იცით თქვენ, რომ აფხაზებსა და ოსებზ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა სურთ?

გამსახურდია: ესენია სულ 140 000-ხი ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.

გორბაჩოვი:(ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

გამსახურდია: ეს საკითხი ჩემთვის არ არსებობს.

გორბაჩოვი: მაშინ მოგელით თქვენ დიდი სიძნელეები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში."

9.

და,მართლაც, აფხაზეთსა და შიდა ქართლში, ე.ი. ბოლშევიკების მიერ შექმნილ ე.წ-ლ "სამხრეთ ოსეთში" დაიწყო რუსეთმა ომი და დაიპყრო ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი, საიდანაც გამოდევნა ხამას-ათასზე მეტი ქართველობა, და გენოციდისაგანაც კი არ დაიხია უკან. და ყველაფერი ეს რუსეთმა მონათლა "ეთნიკურ კონფლიქტად", რის შედეგები დღესაც მძიმე ტვირთად აწევს აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს, რადგან ხამას-ათასზე მეტ ქართველობას დღესაც არ აქვს საშუალება დაბრუნდენ თავთავიანთ სახლკარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

10.

და ჯასაოცარი ყველაფერ ამაში ისიც არის, რომ რუსეთს "სამშვიდობო ჯარები", გაეროს ეგიდით, განლაგებული ჰყავს ჩვენს მდინარე ენგურზე, რომ ქართველობას გზა გადაუკეტოს მათ სახლკარში დაბრუნებისათვის ჩვენს აფხაზეთში, რაც იმას უდრის, რომ მგელს ცხვრების მწყემსობა დააკისრო!..

11.

აი, ასე გამოიყურება "სხრ-კას დაშლის შესუსტება", რასაც ნიანგის ცრემლებით დასტირის გაზეთი "ნოვოე იზვესტია", რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიხეილ გორბაჩოვიც ისეთივე რუსი იმპერიალისტია საქართველოს მიმართ, როგორიც იყვნე მეფის რუსეთის, ბოლშევიკური რუსეთისა და ახლა "დემოკრატიული" რუსეთის იმპერიალისტები, რის სუხხს თავი ვერ ავარიდეთ ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ!.. მაშ, როგორ უნდა მივულოცოთ გორბაჩოვს დაბადების 70 წლისთავი?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2001 წლის 12 აპრილი

## ვლადიმირ პუტინის ორ-პირობა

## ვლადიმერ პუტინის ორ-პირობა?..

1.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაესწრო ევროპის კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრას შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ევროპის კავშირის 15 სახელმწიფო-წევრის მეთაურები, რომლებმაც განიხილეს ბალკანეთში არსებული მდგომარეობა. პუტინმა ბრალი დადო ნატოს უუნარობაში განეიტრალებინა ალბანელი ექსტრემისტები. ნატოს "არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ განეიტრალებინა ალბანელი ექსტრემისტები", - განაცხადა პუტინმა და მოითხოვა მაღისმიერი მოქმედება ალბანელი ექსტრემისტების წინააღმდეგ მაკედონიაში, და მდგომარეობა მაკედონიაში შეადარა კონფლიქტს ჩეჩნეთში: "ჩეჩნეთში ვაკუუმით ისარგებლეს ტერორისტებმა" რუსეთის წინააღმდეგო. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა - იგორ სერგეიევმა კი მოითხოვა ძლიერი **ერთობლივი** მოქმედება ტერორისტების წინააღმდეგ, რომ უზრუნველყოფილ იქნას"მაკედონიის ტერიტორიული მთლიანობაო".

11.

როგორც ვხედავთ, პუტინი წესრიგის დამყარებისაკენ მიილტვის იუგოსლავიაში, რაც მისასალმებელია, თუმცა მის მიერ ბრალის დადება ნატოს ქვეყნებისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი უსაფუძვლოა, რადგან ნატოს წევრი-ქვეყნები მთელი ძალღონით ცდილობენ მშვიდობიანობის აღდგენს ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში, რაშიც პუტინი, და ამით რუსეთი, უფრო სერბიის მხარდაჭერისათვის იბრძვის, ვიდრე იუგოსლავიაში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის.

III.

და ამ შემთხვევაშიც, რუსეთი, ე.ი. პუტინი ანალოგიურ პოლიტიკას აწარმოებს კავკასიაშიც, სადაც რუსეთი უფრო რუსეთის პოსტბოლშევიკური იმპერიული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის იბრძვის, ვიდრე კავკასიის ერებსა და ეროვნებებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის, რის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის მოქმედება ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, სადაც რუსეთი არა მარტო იარაღითა და შეიარაღებული სამხედრო ნაწილებით ეხმარებოდა და ეხმარება აფხაზ და ოს ექსტრემისტებს საქართველოს ან დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა "სამშვიდობო ფუნქციაც" მოიპოვა გაეროს ეგიდით, და აკონტროლებს მდინარე ენგურის სანაპიროსთან საქართველოს ყოველ ნაბიჯს აფხაზი თითო-ოროლა ექსტრემისტის სასარგებლოდ. ამდენად, რუსეთის ე.წ-ლი "სამშვიდობო" სამხედრო დანაყოფები და რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში, სხვა არაფერია თუ არა პოსტბოლშევიკური რუსეთის ისევ გაბატონების ფარული და ღია მოქმედება საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

IV.

და ამ მყვირალა ფაქტების ფონზე, ვითომ აქვს უფლება ვლადიმერ პუტინს ილაპარაკოს ნატოს უმოქმედობაზე იუგოსლავიაში ალბანელი ტერორისტების წინააღმდეგ, როცა თვით პუტინი ღიათ თუ ფარულად მხარს უჭერს აფხაზ და ოს ტერორისტებს საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოყვა სამას-ათასზე მეტი ლტოლვილი აფხაზეთიდან და შიდაქართლიდან, რომლებსაც თავთავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნების უფლებას და საშუალებას არ აძლევს სწორედ რუსეთი, მისი შეიარაღებული ძალებით საქართველოში?..

V.

ვითომ აქ ვლადიმერ პუტინი "გაღმა შეეღავე და გამოღმა შეგჩენბათ" პოლიტიკის გზას ადგია იუგოსლავიასა და კავკასიაში?.. რატომ უშლის ხელს რუსეთი საქართველოს, ქართველ ხალხს ისევ მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რასაც საუკუნოვანი ისტორიული ტრადიცია უდევს საფუძვლად?.. რატომ თესავს რუსეთი შუღლსა და მტრობას აფხაზ და საქართველოში მცხოვრებ ოსებს შორის, როცა მის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის გამართლებას ცდილობს ვითომ "ეთნიკური კონფლიქტით", სინამდვილეში კი "დერჟი-მორდული" პოლიტიკით?..

VI.

ვითომ ამ გზით შეუძლია პუტინსა და ამით რუსეთს თავზე მოახვიოს ნატოსა და,საერთოდ, დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის პოსტბოლშევიკური მახინაციები საქართველოსა და კავკასიის ერებისა და ეროვნებების წინააღმდეგ?.. არ არის ეს. პუტინისა და ამით რუსეთის მორიგი "ორ-პირობა?.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2001 წლის აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო - ერთობა მრავალფეროვნებაში

## ჩ ვ ე ნ ი   ა ფ ხ ა ზ ე თ ი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული მეობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'".

დიმიტრი გულია

აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია 1918-1921 წლებში: 91 100 კვ.კმ.




საბჭოთა საქართველოს ტერიტორია 1921-1991 წლებში: 69 700 კვ.კმ.

დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1991 წლიდან: 69 700 კვ.კმ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
42678

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## პირველი მაისი და თამარობა

I.

პირველი მაისი, ახალი სტილით, ე.ი. 14 მაისი, ძველი სტილით, თამარობაა - მოხსენების დღე, დღესასწაულია "წმინდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა(1213 წ.", როგორც ამას გვაუწყებს საქართველოს ეკლესიის კალენდარი. ამასთანავე, პირველი მაისი-სოციალისტურ პარტიებმა და პროფკავშირებმა, 1889 წელს, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 100 წლისთავზე,რო ჩამოაყალიბეს მეორე ინტერნაციონალი პარიზში - "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" დედაქალაქში - გამოაცხადეს "შრომის ბრძოლის დღედ" და მოითხოვდენ რვა-საათიან სამუშაო დღეს.

II.

ამგვარად, თამარობა, აწ უკვე რვაასწლოვანი ქართველთა საერო და სასულიერო დღესასწაული, დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკური ხანის ერისა და პიროვნების თავისუფლების იდეასთან, რომელმაც თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა 1918 წლის 26 მაისს ისევ აღსდგა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში, და განახლდა 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა საქართველო, ქართველი ხალხი ისევ გახდა "თავის-უფალი" 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე.

III.

მაისი, რომში იყო "იუპიტერ მაიუს"-ის თვე, იულიანური კალენდარის შესაბამისად, წლის მეხუთე და გაზაფხულის მესამე თვე.იტალიელები"მაიუსს" უწოდებდნენ მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთს. მაისის ძველი ქართული სახელწოდება კი არის "ვარდობის" თვე, რაც - როგორც თვით სიტყვა ამბობს - არის "ვარდობის" და,საერთოდ,"ყვავილობის" თვე. ამიტომაც, ბიბლიის ძველ ქართულ ვერსიებში მას ეწოდება თვე "ყვავილობისა" და "თთუე ახალთაია", ანუ "ახლისაი".

IV.

პირველი მაისი საქართველოში აღინიშნა 1898 წელს, ქალაქგარეთ; 1899 წელს კი უფრო ორგანიზებულად ჩატარდა პირველმაისობა; და 1900 წელს პირველმაისობა ისევ ქალაქგარეთ ჩატარდა; 1901 წლის 22 აპრილს კი თბილისში გაიმართა საპირველსაიმო დემონსტრაცია, რომლის დროს შეჯახებებს ჰქონდა ადგილი მუშებსა და პოლიციას შორის, რის შედეგად მრავალი მუშა დაიჭრა, ბევრი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. დემონსტრანტების მთავარი ლოზუნგები იყო "ძირს თვითმპყრობელობა!" თუ "გაუმარჯოს რესპუბლიკას!", რაც მოედვა რუსეთის მაშინდელი იმპერიის მრავალ ქალექებსა და სამრეწველო ცენტრებს.

V.

ამდენად, ქართველობამ საპირველმაისო მოთხოვნების საფუძვლად აქცია მესა-მედასელთა სამოქმედო პროგრამის საფუძველი: "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა", რის თეორიული და პრაქტიკული სიმბოლო გახდა 1918 წლის 26 მაისი, როცა - 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ - ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

VI.

ამის შედეგად, 1 მაისი - თამარობა, პირველი მაისი - მშრომელთა დღესასწაული, 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენობა – შეერთდა "ვარდობის", "ახლისაის" თვეში, რომლის დროს ქართველთა "დიდი ოქროს ხანამ", მეფეთა-მეფემ თამარმა ისე გააპოხიერა დალოცვილი ქართული მიწა, რომ იშვა 26 მაისი, რომლის ბაზა იყო, არის და იქნება "მიწის მუშა", საქართველოს მშრომელები; და რა გასაკვირია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღერბი გახდა "თეთრი გიორგი", რომელსაც, როგორც ჩვენი ისტორიკოსები აღნიშნავენ, "...სულ ცოტა შვიდი-ათასი წლის ისტორია" გააჩნია. "გეორგოს" ხომ "მიწის მუშაა?!.." VII.

და ავღნიშნავთ რა პირველ მაისს – თამარობას, პირველ მაისს – მშრომელთა დღეს, და 26 მაისს – ჩვენს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს, – მაისი განსაკუთრებით ჩვენთვის, ქართველობისათვის, საქართველოსათვის, მართლაც "ვარდობის", " განახლების" თვეა; და მიულოცოთ ერთმანეთს ეს ჩვენი საერთო "დღე-სასწაული!.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2001 წლის 1-ლი და 26 მაისი,
"ვარდობის თვე"

---

RADIO FREE EUROPE / RADIO LIBERTY

## "რადიო თავისუფალი ევროპის" 50 წლისთავი

1.

"რადიო თავისუფალი ევროპისა და რადიო თავისუფლების" მოღვაწეობის ცენტრში, ჩეხეთის დედაქალაქში – პრაღაში – 2001 წლის 4 მაისს ჩატარდა საზეიმო დღესასწაული, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ჩეხეთის პრეზიდენტმა – ვასლავ ჰაველმა და მიულოცა "რადიო თავისუფალი ევროპის" თანამშრომლებს მოღვაწეობის 50 წელი.

2.

"რადიო თავისუფალი ევროპა" დაარსებულ იქნა 1951 წელს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში, ე.წ-ლი "ცივი ომის" გაჩაღების პროცესში, რაც თავს მოახვია კრემლის ხელმძღვანელობამ დემოკრატიულ ქვეყნებს, რომელთაგან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა კერძო ინიციატივით და დახმარებით, როგორც 2001 წლის 1 მაისის გადაცემაში აღნიშნა ბავარიის(გერმანიის) რადიომ, – დაიწყო ცივი ე.წ-ლი "ჯვაროსნული ომი" ბოლშევიკური პროპგადის წინააღმდეგ ევროპაში. 1953 წელს კი "რადიო თავისუფალ ევროპას" გვერდში ამოუდგა "რადიო თავისუფლება"" რომელსაც დასაწყისში "განთავისუფლება" ეწოდებოდა; და ასე წარმოებდა "ცივი ომი" რადიოტალღებითაც, რომლის დაფინანსება, 70-იან წლებიდან, აშშ-ს კონგრესმა გადაიბარა. და, როცა "ცივ ომში" რადიოტალღებით გამარჯვება ერისა და პიროვნების თავისუფლებამ მოიპოვა, და 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაინგრა და საბჭოთა ბატონობა აღიკვეთა მიწისაგან პირისა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამ რადიოსადგურების მოღვაწეობას არანაკლები მნიშვნელობა მიენიჭა კომუნისტურ ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებში.

3.

ეს, აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები, იმყოფებიან დემოკრატიზაციის პროცესში, რომლის დროს ისევ ძალაშია "რადიო თავისუფალი ევროპისა" და "რადიო თავისუფლების" ძირითადი მრწამსი, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და დაამტკიცა 1948 წელს, და, რომლის მე-19 მუხლში ნათქვამია:

4.

"ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, [illegible]

მისდიოს თავის მრწამს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად".



Luftaufnahme von Radio Free Europe aus dem Jahr 1956 Foto: SV

5.

და,- ჩამოყალიბდა რა"რადიო თავისუფლების" ქართული რედაქცია 1953 წელს, რომელმაც გადაცემები დაიწყო იმავე წლის 17-18 მარტს,- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის აღნიშნული "მოქმედების დედაზოძი" გაპოხიერებულ იქნა "მესამედასელთა" სამოქმედო პროგრამის საფუძვლით, რაც ამბობს:

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა" თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

აქ კი "ინფორმაციის თავისუფლება" არა მარტო გადაჯაჭვულია ერისა და პიროვნების თავისუფლებასთან, არამედ აგრეთვე ადამიანის სოციალურ რაობასთან, რაც წინასწარმეტყველურად ახალ განზომილებას მატებს მე-21-თე,"ინფორმაციის საუკუნეს", და ამით, ერისა და პიროვნების თავისუფლებას საერთოდ.

6.

და აქვე გვსურს მოვიყვანოთ ამონაწერი ბავარიის(გერმანიის) რადიო-პროგრამიდან, რომელიც ეხება რა "რადიო თავისუფალი ევროპისა" და "რადიო თავისუფლების" მოღვაწეობის 50 წლისთავს, სხვათაშორის, - ამბობს:

"ლოზუნგით-'ჯვაროსნული ომი თავისუფლებისათვის'-დაარსა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რადიო თავისუფალი ევროპა და რადიო თავისუფლება, რომლებმაც რადიოგადაცემები დაიწყო კომუნისტური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში. რადიოგადაცემები შეიცავდა კომენტარებს, პროპაგანდას, მაგრამ ჯაზისა და პოპ-ის მუსიკასაც, ყველაფერს, რაც ხელს უწყობდა კომუნისტური რეჟიმის დესტაბილიზაციას; ასე გარღვეულ იქნა რკინის ფარდა..."

"ყოველკვირეულად იქმნებოდა 1000-სი საათი რადიოგადაცემა, რაც, ჩაწყებული პილზენიდან(ჩეხოსლოვაკია) - გათავებული ვლადივოსტოკამდე, - აღწევდა 50-მილიონამდე მსმენელს, მიუხედავათ საბჭოთა რადიოგადაცემათა ჩამხშობი სადგურების მოქმედებისა."

"ამ რადიოსადგურების თანამშრომლები მიუნხენში ყოველთვის იყო შპიონაჟისა და ძალადობის ცენტრი: სწამლავს პოულობდენ სასადილოს სამარილეში, ჟურნალისტები ხდებოდნენ ტეროლის მსხვერპლი, თვით რადიოცენტრი მიუნხენში ბოლშევიკებმა ააფეთქეს კიდეც."

ეროვნული ბიბლიოთეკა

"როცა რკინის ფარდა მოიხსნა, რადიო თავისუფალი ევროპა და რადიო თავისუფლება სიმშვიდემ მოიცვა; 1995 წელს კი რადიოსადგურები მიუნხენიდან გადატანილ იქნა პრაღაში ხარჯების შემცირების მიზნით.

7.

და ავღნიშნავთ რა "რადიო თავისუფალი ევროპის" დაარსების 50 წლისთავს და ვემზადებით რა "რადიო თავისუფლების" 50 წლისთავის საზეიმო შეხვედრისათვის 2003 წელს, ამ რადიოსადგურებსა და მათ მრავალრიცხოვან თანამშრომლებს, - ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ან უკვე მიმდინარე ოცდა-მეერთე, "ინფორმაციის საუკუნეში" ადამიანისა და ერის თავისუფლების, და ამით დემოკრატიის გაფურჩქვნის საქმეში.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2001 წლის 4 მაისი

## 3 მაისი - პრესის საერთაშორისო დღე

3 მაისი პრესის საერთაშორისო დღესასწაულია, რომელიც უკვე მეათეჯერ აღინიშნა მსოფლიო საზოგადოებრიობამ. პრესის საერთაშორისო დღესასწაულის შექმნის საბაბი გახდა ე.წ-ლი "ვინდჰუკის-განცხადება", რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 3 მაისს, რომლის თანახმად აღიარებულ იქნა, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი პრესა მეტად მნიშვნელოვანია ერებისა და ეროვნებების დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პროცესში. საერთაშორისო ორგანიზაციის -"რეპორტიორები საზღვრების გარეშე" - ცნობით, პრესის თავისუფლება მეტად ჩახშულია მსოფლიოს 28 ქვეყანაში; 65-თ ქვეყანაში კი იმყოფება საშიშროების ქვეშ.

ყოფილ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ბლოკის დაშლის შედეგად განთავისუფლებულ ქვეყნებში, როგორც ეს გაზეთების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურდირექტორმა - თიმოთი ბალდინგმა - თქვა "...იბრძვიან პრესის თავისუფლებისათვის დღესაც". გერმანიის დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩეცაიტუნგი"(3.5.2001 წ.) აქვეყნებს მსოფლიო რუკას, რომელზედაც აღნიშნულია, რომ მსოფლიოში 1988 წლიდან - 2000-ს წლამდე მოკლულ იქნა 55-ი რეპორტიორი 26 ქვეყანაში, და დაპატიმრებულ იქნა 81-ი რეპორტიორი 18-ც ქვეყანაში. სამწუხაროა, რომ,აღნიშნულ პერიოდში, ერთი რეპორტიორი საქართველოშიც დაღუპულა, როგორც ამ რუკაზეა აღნიშნული. აი, ეს რუკა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთის "რეგულირებადი ქაოსი" კავკასიაში?..

რუსეთის "რეგულირებადი ქაოსი" კავკასიაში?..

l.

უკვე ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც პოსტბოლშევიკური რუსეთი , - როცა სსრკ-ა დაშალა 1991 წლის 27 დეკემბერს და შექმნა ე.წ-ლი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რომლის წევრად, იარაღის ძალით, გახადა საქართველოც, - აწარმოებს კავკასიაში "რეგულირებადი ქაოსის" პოლიტიკას, რომლის სუსხი გამომლყანვდა საქართველოში ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რომლის შედეგად სამას-ათასამდე ქართველი გამოდევნილ იქნა ჩვენი აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან, და ამ ძირძველ ქართულ მიწებზე ასახლებენ უცხოელებს, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, რუსებს. და, როგორც ჩანს, პოსბოლშევიკური რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებს სურდათ და სურთ ამგვარი "რეგულირებადი ქაოსის" შენარჩუნება მთელს კავკასიაში.

ll.

მაგრამ... "რეგულირებადი ქაოსის" წინააღმდეგ უკვე ძლიერდება დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობა; რომლებიც "რეგულირებადი ქაოსის" სანაცვლოდ "რეგულირებადი მშვიდობიანობის" დამყარებისაკენ მიისწრაფვიან მხოლოდ ამ რეგიონში, რაც ჩვენ "მკვდარი წესრტილიდან" ახალი ძალით დაძვრად მიგვაჩნია, რადგან, როგორც ჩანს, პუტინის მთავრობაც უარს არ ამბობს,აწ უკვე დრომოჭმულ,დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკაზე კავკასიის ერებისა და ეროვნებების მიმართ. ამგვარი ვაი-პოლიტიკა კი ეწინააღმდეგება არა მარტო კავკასიის ერებისა და ეროვნებების, არამედ თვით რუსი ერის გარდაუვალ ინტერესებსაც კი.

lll.

ამდენად, მისასალმებელია აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების - გაიდარ ალიევისა და რობერტ კოჩარიანის შეხვედრა ფლორიდას ქალაქ კეი ვესტში, ყარაბახის პრობლემის მოგვარების მიზნით,აშშ-ს პრეზიდენტ ბუშის მიწვევით. სამშვიდობო შეთანხმება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის უკვე შესაძლებლად მიაჩნიათ, რაც მისასალმებელია.

lV.

მაგრამ სამწუხაროა, რომ იგივეს თქმა არ შეიძლება ჩვენი აფხაზეთისა და შიდა ქართლის შესახებ, სადაც პოსტბოლშევიკური რუსეთი ყოველ ძალღონეს ხმარობს, რომ გაახანგრძლივოს რუსეთის ბატონობა აფხაზეთსა და შიდა ქართლში აფხაზი და ოსი თითო-ოროლა ექსტრემისტის ნიღბით. ვიმედოვნებთ, მალე საქართველოს ამ მტკივნეული საკითხების მოგვარებასაც გზა გაეკაფება თუ რუსეთი ხელს აიღებს დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წარმოებაზე საქართველოს მიმართ. მაგრამ, როგორც ჩანს, აწ უკვე დემოკრატიული რუსეთიც ბოლშევიკური და მეფის რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე ხელს არ იღებს,

რომლის ნიშანს, ამ შემთხვევაში, მოსკოვის გაზეთი "იზვესტია" იძლევა, რომელიც წერს, რომ "...რუსების აღშფოთება დუღს, რადგან აშშ-ს პრეზიდენტ ბუშის მთავრობა შეცევას იწყებს რუსეთის დამაბულობის რეგიონებშიო!"

V.

"იზვესტიას" ამგვარი "აღშფოთება" კი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რუსეთს სურდა და სურს "რეგულერებადი ქაოსის" შენარჩუნება კავკასიაში, რომ ამღვრეულ წყალში თევზები ადვილად დაიჭიროს, რაც, რა თქმა უნდა, არა მარტო

კავკასიის ერებისა და ეროვნებებისათვის მიუღებელია, არამედ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც, პირველ ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რომელმაც კარგად იცის, საკუთარი გამოცდილებიდან, თუ რა არის იმპერიული სახელმწიფოს, ე.ი.რუსეთის განუკითხავი ბატონობა კავკასიის ერებისა და ეროვნებებისათვის, რომლის ყველაზე უფრო მწვავე მაგალითია საქართველო, რომლის ტერიტორია, იარაღის ძალით, დაიპყრო პოსტბოლშევიკურმა რუსეთმა, გამოდევნა ქართველობა ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლიდან, ჩაიდინა, განახორციელა გენოციდი ქართველების წინააღმდეგ, და დღეს, ამ ეროვნული ტრაგედიის მერვე წლისთავზე, არც კი აპირებს რუსეთის ჯარები გაიყვანოს შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან, რომ აღკვეთილ იქნას "რეგულირებადი ქაოსი" საქართველოში.

VI.

ამდენად, პოსტბოლშევიკური რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტური პოლიტიკაა ის, რაც იწვევს დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების, განსაკუთრებით აშშ-ს მოქმედებას, რომ ბოლო მოეღოს "რეგულირებად ქაოსს" საქართველოში და კავკასიის მთელ რეგიონში. ნუთუ რუსეთის პოსტბოლშევიკურ დიდმპყრობელ-შოვინისტებს არ ესმით, რომ შეუძლებელია რუსული "რეგულირებადი ქაოსის" შენარჩუნება კავკასიაში სამუდამოდ?.. და თუ ესმით, რატომ არ ამოუდგება რუსეთის პუტინის მთავრობა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებს გვერდში, რომ ერთად, ერთობლივად მოაგვარონ ამ "რეგულირებადი ქაოსის" აღკვეთა კავკასიაში?..

VII.

ნუთუ ვლადიმირ პუტინის მთავრობასაც არ ესმის, რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა, და კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და საქართველოს შორის ამ ორი სახელმწიფოს გარდაუვალ ინტერესებს უფრო შეესაბამება, ვიდრე დრომოჭმული რუსეთის იმპერიის შექმნისათვის სისხლის ღვრა, როგორც ეს მოხდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში?..

აი, საკითხი, რომელსაც უნდა გასცეს დადებითი პასუხი პუტინის მთავრობამ.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2001 წლის მაისი

---

## გერმანული პოლიტოლოგი:

## გერმანელი პოლიტოლოგი:

## "რუსეთი იბრძვის კავკასიაში ზესახელმწიფოებრიობისათვის"

I.

გერმანელმა პოლიტოლოგმა - ვოლფგანგ გიუნტერ ლერხმა- გამოსცა ნარკვევი ტიტრით:"კავკასია"; და ქვესათაურით:"ეროვნებების,რელიგიათა და დიდი სახელმწიფოების დავა"(ჰამბურგი,2000 წელი), რომელშიც გაანალიზებულია კავკასიის ერებისა და ეროვნებების დღევანდელი მდგომარეობა.

II.

ჩეჩნეთის ომმა რუსეთის წინააღმდეგ ნათელი გახადა დაძაბული მდგომარეობა კავკასიაში კავკასიონის მთების ორივე მხარეს, - ნათქვამია ამ ნარკვევში. 2000 წლის მაისში, მაგალითად, ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ეროვნებებს შორის ყარაჩაი-ჩერქეზეთში, რომლის დროს ბრძოლებში ჩაერია რუსეთი და სასტიკად დაბომბა ქალაქი ჩერკესკი ამ პატარა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს. რუსი ოფიცრების სადგომის აფეთქება დაღესტანში, საცხოვრებელი სახლების აფეთქება მოსკოვსა და ვოლგოდონსკში, ჩეჩნების შეიარაღებული რაზმების შეჭრა დაღესტანში 1999 წლის აგვისტო-სექტემბერში, - გახდა მოქმედების არეს გაფართოება აღმოსავლეთისაკენ.

111.

რუსეთმა,–განაგრძობს ვოლფგანგ გიუტერ ლერში, – გამოწვევათ მიიჩნია აღნიშნული სამარი მოქმედებანი სამმხრივ:

1.რუსეთმა დაინახა, რომ მისი პოლიტიკური ავტორიტეტი შეირყა კავკასიაში, რის შედეგად ახალმა პრემიერმინისტრმა – პუტინმა – მიიმხრო რუსი ხალხის უმრავლესობა და დაიწყო "ჩეჩნეთის მეორე ომი", რასაც მოყვა ჩეჩნეთის თითქმის აღგვა პირისაგან მიწისა.

2.რუსეთმა ჩეჩნეთის ომითა და კონფლიქტით დაღესტანში გამოავლინა მისი, როგორც ზესახელმწიფოს მოთხოვნა კავკასიაში.

3.კონფლიქტი დაღესტანში შეეხო რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს ამ რეგიონში მას შემდეგ, როცა კასპიის ზღვის ნავთობის სატრანსპორტო გაიხსნა აზერბაიჯან-საქართველოს გავლით, რამაც შეზღუდა რუსეთის სატრანსპორტო გზის მნიშვნელობა.

IV.

ვ.გ. ლერში კავკასიის დღევანდელ მდგომარეობას იხილავს როგორც ენტკოლონიზაციურ პროცესს. კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების უმრავლესობას უკვე აღარ სურთ იყვნენ კრემლის ბატონობის ქვეშ. მაგრამ კრემლი ამ ისტორიულ ფაქტს, როგორც ჩანს, ანგარიშს არ უწევს, რაც გამომჟღავნდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა სტალინმა ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის მრავალი ეროვნება გადაასახლა რუსეთის მორეულ რეგიონებში; და,–როგორც პოსტმოლშევიკურმა რუსეთმა ნათელი გახდა,– ჯერ დაშალა 1991 წელს საბჭოთა კავშირი და მოკავშირე რესპუბლიკებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მიანიჭა, მაგრამ შემდეგ, მაგალითად, საქართველოში მინაურ საქმეებში იარაღის ძალით ჩაერია, საქართველოს ძირძველ მიწაწყლიდან – აფხაზეთიდან – ქართული მოსახლეობა გამორეკა და თვით ქართველთა გენოციდისაგანაც უკან არ დაიხია; და ყველაფერი ეს "ეთნიკურ კონფლიქტად" მონათლა, რაც გრძელდება დღესაც. სამწუხაროთ, ვ. გ. ლერში გვერდს უვლის საქართველოსათვის ამ მეტად საჭირბოროტო საკითხს, და კმაყოფილდება იმით, რომ რუსეთს საქართველოში და სომხეთში თავისი ჯარის ნაწილები დღესაც ჰყავს, რაც მას საქართველოზე პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებას ანიჭებს.

V.

რუსეთი კი, ვ.გ.ლერშის აზრით, უფრო ფიქრობს, რომ მას შეუძლია ზე-სახელმწიფოს სტატუსი მოიპოვოს საერთაშორისო არანაზე თუ იგი ისევ საბჭოთა კავშირის სიძლიერეს მიაღწევს; ან, სულ ცოტა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას დაეპატრონება.

კ,ი.,"ზ.ც.", 7.2.2001 წ.

## თავისუფლება და მონობა

"მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მოწური აზროვნება თავისუფლებაში საძულველია!"

ფრიდრიხ ფონ შილერი(1759-1805)

"Sklaverei ist Niedrig, aber eine sklavische Gesinnung in der Freiheit ist verächtlich!"

Friedrich von Schiller(1759-1805)

- . - . - . - . -

## ინტერვიუ ბატონ გოგი თოფაძესთან

ინტერვიუ ბატონ გოგი თოფაძესთან

ბატონმა გოგი თოფაძემ, რომელიც არის საქართველოს პარლამენტის ფრაქციის -"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - თავჯდომარე, იმყოფებოდა მიუნხენში(გერმანია) და თანხმობა განაცხადა მიეცა ინტერვიუ უცხოეთში გამომავალი ჟურნალის -"მებრძოლი საქართველოს" - რედაქციისათვის, რასაც აქვე ვაქვეყნებთ შემოკლებით:

---

<u>შენიშვნა:</u> საქართველოს პარლამენტში, 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, - არჩეულია დეპუტატები -

"მოქალაქეთა კავშირიდან"........................130 დეპუტატი;
საქართველოს აღორძინების პარტიიდან.............. 58 დეპუტატი;
"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პარტიიდან... 15 დეპუტატი;
აფხაზეთიდან.............................. 12 დეპუტატი;
ხხვადახხვა.............................. 52 დეპუტატი;
დამოუკიდებელი დეპუტატები.................17 დეპუტატი;
საქართველოს მუშათა პარტიიდან.............. 2 დეპუტატი;
დაუკავებელია.............................. 1 დეპუტატი.

ეს ცნობები ამოღებულია "ფიშერის მსოფლიო ალმანახიდან.(გერმანია, 2001 წლის დასასრული). **"DER FISCHER WELTALMANACH"**, 2001.

---

<u>"მებრძოლი საქართველო":</u> ბატონო გოგი, ვინაიდან უცხოეთში მცხოვრები ქართველობა საკმაოდ ვერ ერკვევა საქართველოში არსებულ მდგომარეობაში, საჭირო ინფორმაციის უქონლობის გამო, და ამდენად,დღევანდელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებსაც საკმარისად არ იცნობს,-ორიოდე სიტყვით, ხომ არ გაგვაცნობდით თქვენს პიროვნებას, ოჯახური მდგომარეობის ჩათვლით?

<u>გოგი თოფაძე:</u> ამჟამად საპარლამენტო ფრაქციის -"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - ფრაქციის ხელმძღვანელი ვარ. იმის შემდეგ, როცა გამოიკვეთა ჩვენი ხელისუფლების მიუღებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა დაღუპავს ქვეყანას და მიგვიყვანს იმ ხიდუხჭირემდე, რაც დღეს არსებობს საქართველოში. ამის განცხადებას ბევრი ვერ ბედავდა, ჩვენ ამგვარ პოლიტიკას ვაკრიტიკებდით; ვაკრიტიკებ პრეზიდენტს და მის მიერ შერჩეულ გუნდს და იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის შედეგები ჩვენთვის მაშინაც ნათელი იყო: ეს ყველაფერი გამოიწვევდა ეკონომიკის სტაგნაციას, მოშლას და მიიღებდა არნახულ მაშტაბებს, და საქართველოდან მიგრაცია დაიწყებოდა სამუშაოს საძებნელად. ეს ჩვენ არაერთხელ გვაქვს ნათქვამი, ძალიან მკაცრად გვაქვს ნათქვამი; ბევრჯერ გვაქვს ოფიციალური შეხვედრებისას განცხადებული. მაშინ საზოგადოებამ, რატომღაც, არ დაგვიჯერა ჩვენ; მიაჩნდათ, რომ ქვეყანას აღებული აქვს პროდასავლური გეზი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამგვარ დასავლურ გეზს არ ვეწინააღმდეგებით იმიტომ, რომ 70-წლიანი სოციალიზმის პირობებში მცხოვრები ქვეყანა, ცხადია, რომ დასავლეთის სიმდიდრეებზე უარსვერ იტყვის. მაგრამ მყარი ეკონომიკური საფუძვლის გარეშე ძალიან ძნელია ჩამოაყალიბო დემოკრატიული სახელმწიფო, თუ მას ეკონომიკური ბაზა არ გააჩნია.

აი, სწორედ იმან, რომ ჩვენ დავინახეთ არა-სწორი ეკონომიკური პოლიტიკა დაიწყო ჩვენმა სახელმწიფომ, სწორედ მაშინ, როცა,ჩვენმა არაპოლიტიკურმა მოძრაობამ, ამოვწურეთ ყველა რესურსი, და დავინახეთ, რომ ხელისუფლება <u>პროიმპორტულ</u> პოზიციაზე დგება, იზრდებოდა კორუფცია, მათი დაყინებული

მოთხოვნით მიღებულ იქნა საგადასახადო ურთულესი კოდექსი, რომელიც მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის,-აი, ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ შეგვექმნა ჩვენი პარტია; და დღეს ხამი პარტია არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში. ახლა მოკლედ ჩემი ცხოვრების გზა:

სამოციან წლებში მე ასპირანტურა დავამთავრე მოსკოვში; დავიცავი დისერტაცია; და იმის შემდეგ, 1968 წლიდან, ვმოღვაწეობ საქართველოში. ჩემი მეუღლე ამჟამად ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში ასწავლის ინგლისურს. ჩვენ გვყავს ორი ვაჟიშვილი; უფროსი ვაჟიშვილი დაგვეღუპა. ახლა, როცა ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად პარლამენტარს არ აქვს უფლება მეწარმე იყოს,- ჩემს ვაჟიშვილს გიორგი თოფაძეს გადავაბარე ჩემი სამეწარმეო საქმიანობა; გიორგის დამთავრებული აქვს ინსბრუკის უნივერსიტეტი (ავსტრია).

"მ.ს.": ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თქვენი პარტიის - "მეწარმეობა გადაარჩენს საქართველოს" - ჩამოყალიბება განაპირობა საქართველოში დღეს არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

გოგი თოფაძე: რა თქმა უნდა. მაშინვე დავინახეთ, რომ ეს აბსოლუტურად მიუღებელი კანონების განხორციელება, დაანგრევდა ეკონომიკურ ცხოვრებას, გამოიწვევდა უმუშევრობას, დაანგრევდა სოფლის მეურნეობას. აშკარად ჩანდა, რომ "მსოფლიო სავალუტო ფონდი" და "მსოფლიო ბანკი" საქართველოს ხედავს - ამას არც უარყოფენ ეს უწყებები - მეწარმეობის გარეშე, ე.ო. საქართველო გამოყენებულ იქნას როგორც გზა დასავლეთისაკენ; შემდეგ შეიძლება განვითარებულ იქნას ტურიზმი. ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია, რომ ეკონომიკაა მეცნიერება, რომელსაც გააჩნია თავისი კანონები: განვითარებული წარმოების გარეშე - მეწარმეობაში ჩვენ ვგულისხმობს სოფლის მეურნეობასაც; ყველაფერი ეს გადაბმულია ერთმანეთზე - შეუძლებელია ეკონომიკური განვითარება. პროიმპორტული პოლიტიკა მცდარია. ყველაფერი შემოვიტანოთ თურქეთიდან, საბერძნეთიდან თუ ბულგარეთიდან; და ხშირად შემოაქვთ პროდუქცები, რომელთა დამზადება გაცილებით უფრო უკეთესად შეიძლება საქართველოში; მაგალითად, ქათმის ხორცი, თუ ხილის წვენი; იმ დროს, როცა ჩვენ საქართველოში ათასობით ტონობით ხილეულობა გვილპება.

უფრო მკაცრად ვიტყვი: ეს იყო დივერსია საქართველოს კონომიკის წინააღმდეგ. და ყველაფერ ამას, სამწუხაროდ, ჩვენი პრეზიდენტი და მისი გუნდი ეთანხმებოდა. ამან განაპირობა ჩვენი პარტიის გააქტიურება. ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოში სიჯეთე არ ჩანს პარლამენტისა და პრეზიდენტის გუნდისაგან ეკონომიკის დარგში; ე.ი. რაც მოხდა, ამას ჩვენ წინასწარვმეტყველებდით. როგორ შეიძლება საქართველოში ვაზი აიჩეხოს!

როგორ შეიძლება გლეხი მიიყვანო იქამდე, რომ ვაზი აჩეხოს კახეთში!

"მ.ს": და რას რგავდა სამაგიეროდ?

გოგი თოფაძე: არაფერს! არაფერს არ ვაკეთებთ და, საერთოდ, დეგრადირებულია სოფელი აბსოლუტურად. თუ რადიკალური ცვლილებები არ დაიწყო, ჩვენ ძალიან ცუდათ გვესახება პერსპექტივა; დღევანდელი მდგომარეობა, დღევანდელი დუხჭირი მდგომარეობა ხვალ სანატრელი გვექნება. ამიტომ ვცდილობთ ზემოქმედებას პრეზიდენტზე, რომ შეცვალოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა.

"მ.ს.": ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ სოფლის პროდუქციის გადიდება მარტო პარლამენტზეა არის დამოკიდებული, არამედ თვით სოფლის მოსახლეობაზე; და რა იწვევს იმას, რომ სოფლის პროდუქციის გადიდება ვერ ხდება თვითმოქმედებით, პარლამენტის ყოველგვარი დადგენილებისა და, თუ გნებავთ, პრეზიდენტის ბრძანების გარეშე?..

გოგი თოფაძე: დღეს ჩვენს გლეხს ყველაფერი წაართვეს; არც ტექნიკა აქვს, არც რაიმე დახმარება. რახაც მოიყვანს გლეხი,

უნდა გაიტანოს ბაზარზე; დღეს გლეხს სოფლის პროდუქტების ჩამბარებელი პუნქტებიც არ გააჩნია; საკონსერვო ქარხნები, რომლებიც ამზადებდნენ ნაწარმს, გაგვაჩნდა ღვინის ქარხნები. დღეს ყველაფერი გაჩერებულია. გზა გაეხსნა უცხოეთის, თურქეთიდან თუ საბერძნეთიდან შემოტანილ პროდუქტებს. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც საკუთარი წარმოების გარეშე იდგეს ფეხზე.

<u>"მ.ს."</u>: სხვათა შორის, ერთი ისტორიული დოკუმენტი ჩამივარდა ხელში, რომელიც თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხს ესადაგება: როდესაც ინგლისელები მივიდნენ ამერიკაში, დღევანდელ ჩრდილოეთ ამერიკაში, შექმნეს ვირჯინიის შტატი. ინგლისი მაშინ ცდილობდა ამერიკის კოლონიები გაეხადა ნედლი მასალის მიმწოდებლად. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ არ არის სასურველი განვითარდეს მრეწველობა ადგილობრივად, რაც შემდეგ კონკურენციას გაუწევს ინგლისის ინდუსტრიის ნაწარმს.

ანალოგიურია აგრეთვე საქართველოს ჩაისა და, საერთოდ, ჩაის ფაბრიკების ბედი: საქართველოში ჩაის ფაბრიკების დიდი ნაწილი, ამბობენ, 29-ა ჩაის ფაბრიკა, შეუსყიდია "ბუჟურის ფირმას", და ფაბრიკები აღარ მუშაობენ, რადგან ქართული ჩაი თურმე კონკურენციას უწევს რუსეთში ცეილონის თუ სხვა ქვეყანათა ჩაის ნაწარმს, რის "გამოთიშვა" სურს აღნიშნულ ფირმას.

<u>გოგი თოფაძე</u>: ეს ძველი კოლონიური პოლიტიკაა. ჩვენ კი დღეს - 21-ე საუკუნეში გვიკეთებენ ამას.

<u>"მ.ს."</u>: თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი მთავრობა ამმხრივ არაფერს არ აკეთებს, ან ვერ აკეთებს. ვითომ ჩვენს მთავრობას ყველაფერი არ ესმის?..

<u>გოგი თოფაძე</u>: თქვენ წარმოიდგინეთ რამდენად პარადოქსალურია, ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი: მისი 90-ი პროცენტი წარმოადგენს საგადასახადო, საბაჟო შემოსავალს, თითქოს ჩვენ სხვა შემოსავალი არ გაგვაჩნია. ჩვენგან ტონობით ოქრო გადის, სხვა სიმდიდრეების გვერდით, და ამ წარმოებას ხელმძღვანელობენ ავსტრალიელები, რომლის უკან ხელს ითბობენ ქართველთა ჯგუფიც; სახელმწიფოს კი დიდი შემოსავალი ეკარგება. ასეთივე წესით გადის საქართველოდან მარგანეცი; ასევე იჩეხება ტყეები, და არაფერი არ რჩება საქართველოს. სად არის ეს ჩვენი სიმდიდრეები?.. აი, ეს არის კორუფცია; ეს არის დიდი კორუფცია. ამიტომაა აღიარებული ჩვენი საქართველო როგორც კორუმპირებული ქვეყანა.

<u>"მ.ს."</u>: მე მაქვს ცნობები "ფიშერის მსოფლიო ალმანახიდან", რომელიც გამოიცა გერმანიაში 2000-ი წლის დასასრულს, და რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტში სულ 235 დეპუტატია, რომელთაგან 130-ი დეპუტატი ჰყავს "მოქალაქეთა კავშირს", 58-ი დეპუტატი - საქართველოს აღორძინების პარტიას და, სხვათა შორის, 15 დეპუტატი თქვენს პარტიას -"მრეწველობა გადარჩენს საქართველოს". ვითომ ჩვენი პარლამენტი და პარლამენტარები საჭირო ღონისძიებებს ვერ ღებულობს ეკონომიკის განვითარების სფეროში?..

<u>გოგი თოფაძე</u>: საუბედუროთ ჩვენს პარლამენტში, პრეზიდენტის პარტია - "მონსტრი" პარტიაა, რომელსაც გააჩნია აბსოლუტური უმრავლესობა. ამის გამო ნებისმიერი გადაწყვეტილება პარლამენტში ხდება "მოქალაქეთა კავშირის" უმრავლესობის ხმებით.

<u>"მ.ს."</u>: კი მაგრამ ყოველ სახელმწიფოს, ყოველ ერს ყოველ პარტიას, საერთოდ, ყოველ საზოგადოებას გააჩნია "<u>საყრდენი ბირთვი</u>" და ვითომ ასეთი ეროვნული ბირთვი / არ გააჩნია თვით "მოქალაქეთა კავშირს?.."

<u>გოგი თოფაძე</u>: სამწუხაროთ, საქართველოში ამმხრივ, მეტად მძიმე მდგომარეობაა. პარლამენტში არჩეული დეპუტატები, რომლებიც არჩე-

ულია არაკანონიერი გზით, წყალდებულია შეასრულოს პარტიის მითითება;
ის დამოუკიდებელი არ არის; ჩვენ მათ "მეპუნქტეებს" ვეძახით; ამან შექმნა
ეს მდგომარეობა; ე.ი., ასეთი ბირთვი ამ პარტიაში აღარ არის, მაგრამ დად-
გება დრო, როცა ამ პარტიასა და მის დეპუტატებს პასუხს მოთხოვენ მათი მო-
ქმედებისათვის, რის შედეგად ახლა დაიწყეს ერთმანეთზე ბრალის დადება.
ესენი არიან ხალხი, რომლებიც მოყვანილია პარლამენტში, რომ გადაწყვე-
ტილების მიღების დროს შეასრულონ პარტიული დავალება.

"მ.ხ.": თქვენის აზრით, თუ პარლამენტის დეპუტატი ასრულებს პარტიულ დავა-
ლებას მისი პარტიის ფრაქციაში, ვითომ ეს არ ეხადაგება დემოკ-
რატიული პარლამენტის მრწამს, რომ დეპუტატი მოცემული პარტიის წარმომად-
გენელია პარლამენტში?.. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი იყო ზვიად
გამსახურდია, ახლა საქართველოს პრეზიდენტია ედუარ შევარდნაძე; ჩვენ ვფი-
ქრობთ, რომ გამსახურდიასაც "კარგის" გაკეთება უნდოდა საქართველოსათვის;
და დღეს შევარდნაძესაც "კარგის" გათეთება უნდა საქართველოსათვის. ნუთუ
ამაში შეიძლება ეჭვის შეტანა?..

გოგი თოფაძე: ეს მე მეეჭვება.

"მ.ხ.": აქ ერთი მაგალითი: დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და
მთავრობის თავჯდომარის - ნოე ჟორდანიას - ქალიშვილი, მის ერთ
ინტერვიუში ამბობს, რომ ძლიერ მიხაროდა ბებიაჩემის ჩამოსვლა ლანჩხუთი-
დან თბილისში, რადგან სიმინდის ფქვილს ჩამოგვიტანდა!.. საქართველოს შრო-
მისა და მომარაგების მინისტრს - გიორგი ერაძეს - საყვედური უთხრეს მისმა
კოლეგებმა პროფკავშირიდან, რომ ის გახდა მინისტრი, ცხოვრობს ფუფუნებაში
და მშრომელები დაივიწყა!.. და, როცა მინისტრმა სადილზე მიიპატიჟა პროფ-
კავშირის ხელმძღვანელთა დელეგაცია და ნახეს თუ როგორ იკვებებოდა თვით
მინისტრი, ენა არ ამოუღიათ ისე დაემშვიდებნენ მინისტრს.

მე 1918-1921 წლების თაობას, რომელმაც შექმნა ჩვენი ეროვნული დიდების
დღე - 26 მაისი - ვუწოდებ "ოქროს თაობას", რადგან ამ თაობის წარმომადგენ-
ლებს სწამდათ და მოქმედებდნენ ისე, რომ მათ უფლება არ ჰქონდათ უკეთესად
ეცხოვრად, ვიდრე საქართველოს რიგით მოქალაქეს!..

გოგი თოფაძე: ჩვენი დღევანდელი მინისტრები ძალიან შორს არიან მათგან!..

"მ.ხ.": დღეს, ესეც უნდა ავღნიშნოთ, სხვა დროა, სხვა პირობებში ვართ.
მაგრამ ჩვენ მაინც არ გვჯერა, არ გვსურს დავიჯეროთ, რომ აწ
უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს ხელმძღვანელობის დიდი,
დიდი უმრავლესობა - არის ის მთავრობის, პარლამენტის თუ მართლმსაჯულების
ორგანოებში თუ მის სტრუქტურებში მხოლოდ თავისთავზე ფიქრობს, მხოლოდ სა-
კუთარი უზრუნველყოფისაკენ იღწვის, და საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერე-
სებს უგულებელჰყოფს. ხალხის "ეროვნული ბირთვი" საქართველოში, ჩვენი რწმე-
ნით, ყველა სტრუქტურაში არსებობს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად.

გოგი თოფაძე: ასეთები არავინ არ არის, დღევანდელი ჩვენი აღმასრულებელი
ხელისუფლებიდან; ასე რომ უფსკრულისაკენ მივდივართ; გადავი-
ჩეხებით უფსკრულში. არ შეიძლება ასე გაჩანაგდეს ქვეყანა; პერსპექტი-
ვა არ გაგვაჩნია. ხელისუფლება კი ნებისყოფა დაკარგული ხელისუფლებაა.

"მ.ხ.": მაგრამ მე მაინც არ მჯერა, რომ პარლამენტშია 250 დეპუტატი,
და ესენი საქართველოს ალვეზიანო საქმეს აკეთებდნენ.

გოგი თოფაძე: მოგიყვანთ ერთ მაგალითს: ეხლა იყო პარლამენტში რუსეთის
ვალების "ნულოვანი ვარიანტის" გაყვანა; მთელი დღე მიდიოდა
კამათი. პარლამენტის ყველა პარტია იყო წინააღმდეგი, გარდა მოქალაქეთა
კავშირის დეპუტატებისა. საჭირო იყო 118-ი ხმის დაგროვება, რომ მიეღოთ
ასეთი გადაწყვეტილება. მოქალაქეთა კავშირმა მთელი დღე იწვალა, დაურე-
კეს დეპუტატებს, მოიყვანეს პარლამენტის სხდომაზე, დააგროვეს ხმები და
127-ი ხმით მიიღეს გადაწყვეტილება. ამიტომ ყველა დანარჩენი პარტიების

დეპუტატებმა დავტოვეთ დარბაზი. აი, ამიტომ გეუბნებით, რომ იმ 130 დეპუტატში ხომ შეიძლება, რომ ვინმეს თავისი აზრი ჰქონდეს, მაგრამ ყველამ ერთიანად მისცა ხმა, გარდა ერთი დეპუტატისა. ეს ის მაგალითია, რომელმაც დაანახა საზოგადოებას თუ რა ხდება ჩვენს პარლომენტში.

"მ.ხ.": ვითომ ის ერთი დეპუტატი, რომელმაც "მოქალაქეთა კავშირის" ფრაქციის წევრია და მაინც ხმა მისცა ფრანქციის უმრავლესობის წინააღმდეგ, არ ხდის ნათელს იმ ფაქტს, რომ დეპუტატი მის პარტიულ-ფრაქციულ ვალდებულების გვერდით, მაინც დამოუკიდებელი პიროვნებაა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობისას?!.. მაგრამ მე მაინტერესებს აგრეთვე თუ რა როლს თამაშობს არა მარტო საქართველოს პარლამენტის მოღვაწეობაში რუსეთი?..
როგორც ვიცით, საქართველოს უშიშროების მინისტრი იყო იური გიორგაძე, რომელიც, როგორც ამბობენ, პოსტსაბჭოთური რუსეთის "კაცი" იყო საქართველოს მთავრობაში და დღესაც თავს აფარებს რუსეთს, რომ თავი აარიდოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მის წინააღმდეგ?..

გოგი თოფაძე: რა თქმა უნდა გეთანხმებით იმაში, რომ რუსეთი მზაკვრულ როლს თამაშობს საქართველოში. რა თქმა უნდა, აფხაზეთის პრობლემა, სამაჩაბლოს პრობლემა რუსეთის მიერ არის შექმნილი და ცდილობს ამ გზით ჩვენ დაგვაკნინოს, რომ დავიჩოქოთ და რუსეთთან მივიდეთ. მაგრამ ერთ რამეში არ გეთანხმებით: მე არ მინდა ყველაფერი ეს რუსეთს დავაბრალო; ჩვენი მოქმედება ჯერ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ. მე მიმაჩნია, რომ მოქნილი პოლიტიკაა საჭირო რუსეთის მიმართ. რუსეთის ბაზარს მთელი მსოფლიო უყურებს, და მით უმეტეს ჩვენთვისაა საყურადღებო. რუსეთისათვის ჩვენი "ხვანჭკარა", ღვინოები საერთოდ, ჩაი თუ ციტრუსები - ნოსტაგიაა; და ახე ხელის კვრა, რუსეთის ბაზრის არათვისება - დაუშვებელია; მით უმეტეს, რომ საქართველოს მრეწველობა იყო რუსეთის მრეწველობის სტანდარტებზე მორგებული. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის გზების დიპლომატიური ათვისებით ჩვენს ქვეყანას ამგვარსირთულეებში არ ჩავაგდებდით, გეთანხმებით, კარგად ვიცით თუ როგორც უყურებს რუსეთი საქართველოს. რუსეთი ვერ შეეგუება საქართველოს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, თავიანთი ფსიქოლოგიითა და თავიანთი შოვინისტური ხედვით. მაგრამ ამ პირობებშიც უნდა მოგვენახა ჩვენთვის მისაღები გზები რუსეთთან ურთიერთობაში.

"მ.ხ.": ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველების ნაწილს, არ გვესმის, რომ საქართველოში, მოსახლეობის, სულ ცოტა, ნაწილს არ ესმის, ან არ სურს გაიგოს, თუ რა დიდი მიღწევაა ის, რომ დღეს საქართველოს მოქალაქეს შეუძლია ჩაჯდეს თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავში და ჩამოფრინდეს, ვთქვათ მიუნხენში მოსკოვის დაუკითხავად და მოსკოვში ჩასვლის გარეშე. მართალია, ამისათვისაც საჭიროა ეკონომიკური ბაზა, მაგრამ ამგვარი თავისუფლება ვითომ არ არის ეკონომიკური წინსვლის ბაზაც?..

გოგი თოფაძე: აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მე-20 საუკუნის მიწურულში შექმნა ისეთი საერთაშორისო მდგომარეობა, რომ საქართველო გახდა, ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ არ შეიძლება იყო დამოუკიდებელი თუ არ გაგაჩნია დამოუკიდებელი ეკონომიკა. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა როგორმე დავასაქმოთ ქართველი გლეხი, ქართველი მშრომელი; დღეს კი ვართ დაჩაჩანაგებული ჩვენი ხელისუფლების ხელში. ჩვენი ხელისუფლების პრინციპულობა არ ჩანს ამ საკითხებში, და უკან მივდივართ. მიუხედავათ ჩემი ამგვარი პესიმისტური აზრებისა, მე მაინც ოპტიმისტი ვარ: თუ ჩვენ შევძელით რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, საქართველოში ძალიან მალე რენესანსი დაიწყება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, მხოლოდ გვყავდეს პატრიოტი ხელისუფლება, რომლის დროს ხელისუფლების პირები ხკამს კი არ ჩაებღაუჭება, არამედ საქართველოს სასიკეთო ნაბიჯებს გადადგამს. მე მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯერა, რომ ორ-სამ წელიწადში დავდგებით ფეხზე.

"მ.ხ.": ადამიანის ბუნების შეცვლა, საერთოდ, შეუძლებელია არის ის პრეზიდენტი თუ რიგითი მოქალაქე. მაგრამ მე მაინც არ მჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას "ცუდი" უნდოდა საქართველოსათვის, ან, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს "ცუდი" უნდა საქართველოსათვის!..

გოგი თოფაძე: გამსახურდია გამოუცდელი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ქართველი კაცი იყო, პატრიოტი იყო; შევარდნაძე კი არ მგონია, რომ ამდენი პატრიოტი იყოს; [illegible] მან შეიძლება პოლიტიკურ ამბიციებსა და საკუთარ კარიერას გადააყოლოს ჩვენი ბედი.

"მ.ხ.": ადამიანს უნდა ჰქონდეს აზრის შეცვლის თავისუფლებაც, და რატომ არ უნდა ვირწმუნოთ ჩვენ, რომ იმ ქართველებმაც კი, რომელთაც ბოლშევიზმი სწამდათ, თუ ახლაც ბევრი ხალხი ... თავიანთი აზრი და დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის სამსახურში დგანან?..

გოგი თოფაძე: [illegible] მაგრამ ბევრი, სამწუხაროდ, პიროვნულს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ეროვნულს, და შედეგებიც ამას მეტყველებენ.

"მ.ხ.": დიდი მადლობა, ბატონო გოგი, ამ ინტერვიუსათვის.

ეს ინტერვიუ ჩაწერა კარლო ინასარიძემ
2001 წლის 19 მარტს, მიუნხენში

## ე რ ი  დ ა  რ ე ლ ი გ ი ა

1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და სიმართლით განაცხადა: – „მტრებმაც სცადეს 'ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, ხელითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა ჩააგდოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!“

მემედ აბაშიძე, 1905 წელი.

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!“

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთ-საქართველოს ომის 80 წლისთავი

## საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის

## თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს

## დაპყრობა

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის

თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს

დაპყრობა

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის

თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს

დაპყრობა

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, - აი, ამ ტრაგიკულ ისტორიულ მოვლენას შეუსრულდა 80-ი წელი, რომლის აღნიშვნა იმ მხრივაც არის არსებითი, რომ 1921 წლის 25 თებერვალი, რომელსაც ბოლშევიკები ყოველ წელს აღნიშნავდნენ როგორც საქართველოს "გასაბჭოების დღეს", - სინამდვილეში იყო, არის და დარჩება საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის დღე საერთოდ, საქართველოს აწ უკვე სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოს ისტორიაში. ამდენად, საქართველოს ისტორიამ მე-20 საუკუნეში წარმოშვა სამი ისტორიული მნიშვნელობის თარიღი:

26 მაისი 1918 წლისა - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე;

25 თებერვალი 1921 წლისა - საქართველოს დაპყრობის დღე; და -

28-29 აგვისტო 1924 წლისა - ქართველი ხალხის საერთო აჯანყების დღე.

ამ სამ ისტორიულ თარიღს ავღნიშნავთ ყოველწლიურად, რადგან 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოს ისევ-აღდგომის თარიღია; 25 თებერვალი - საქართველოს ეროვნული ტრაგედიის, დაპყრობის თარიღია; ხოლო 28-29 აგვისტო - ქართველი ხალხის ერთსულოვანი აღდგომის თარიღია საქართველოს ყოველი ჯურის დამპყრობლების წინააღმდეგ.

მაშ, მოვიგონოთ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკული პერიოდის მთავარი მომენტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წლის 11-ს თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ,რომელიც შედგებოდა არმიის ოთხი კორპუსისაგან, ერთდროულად გადალახა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები და ხუთი მხრიდან შემოუტია ჩვენს სამშობლოს. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი. ორი მთავარი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მოხდა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მესამე შავი ზღვიდან, მეოთხე დარიალისა და მეხუთე მამისონის უღელტეხილიდან.

საბჭოთა რუსეთის ამ მრავალრიცხოვანი არმიის წინააღმდეგ საქართველოს გააჩნდა მხოლოდ 40.000-ზე კაცი, რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილების სახით. მხედველობაში უნდა იქნას აგრეთვე მიღებული ის ფაქტიც, რომ საქართველომ, მისი დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში, ვერ შეძლო შეიარაღების მიღება დასავლეთის ქვეყნებიდან, ხოლო საქართველოს ახალგაზრდა არმიას საერთოდ არ გააჩნდა არც ავიაცია და არც ტანკები.

მიუხედავათ ძალთა ამგვარი უთანასწორობისა, საქართველოს არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა არა თუ შეძლეს მომხდური მტრის მოგერიება, არამედ საწყისი მარცხი აგემეს თბილისის მისადგომებთან - ტაბახმელაზე და კოჯორთან. მაგრამ მდგომარეობა გაურესდა, როცა თურქეთის არმიის ნაწილებმაც გადმოლახეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. ამის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული",რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში,სხვათა შორის, წერს:

> ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა, უკეთ მიმალდებოდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კიაზიმ ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამოცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო პირდაპირი ჩვენი გაკეთება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას. კიაზიმმა მაშინვე დაუკავშირა პირდაპირი მავთულით ჩვენს წარმომადგენელთან ანგორაში, სვ. მდივანთან. ის გვატყობინებდა თავის მუშაობის სასიათს, მთავრობის წევრების ყოფნას და გამოთქვამდა იმედს ჩვენი საქმის გამარჯვებისა. ამავე დროს კიაზიმმა გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირისა ანგორასთან და მოსკოვთან. ეს უვნებელი წინადადება არ მომეწონა. მაგრამ რაკი დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის ჩამეშალა მეზრუნა ტექნიკური საკითხებისათვის. კიაზიმი ხშირად ელაპარაკებოდა შტაბიდან ანგორას და მოსკოვს, ერთ ხელად ვერ გავიგეთ როგორი და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანის და ართვინის დათმობით, რასაც დაამტკიცებდა ჩვენზე ზურგიდან თავს დასხმით.

ასე წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული. ამგვარად, საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის შემოჭრის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე, თურქეთის ჯარებმაც გადმოლახეს საქართველოს საზღვრები, და ორივე ეს სახელმწიფო ერთად შოიმიდებენ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა-დაქუცმაცებისათვის.აქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს თურქეთის,როგორც მას უწოდებენ ხოლმე თურქები,"მამა" - ქემალ ფაშა - მეტად მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ლენინთან,რომლისაგან ის ღებულობდა შეიარაღებასა და სამხედრო საჭურველს,რომელსაც თურქეთი იყენებდა არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს, არამედ საბერძნეთისა და დასავლეთის მოკავშირეების წინააღმდეგაც პირველი მსოფლიო ომის დროს. მიუხედავათ ძალთა ამგვარი უთანასწორობისა, საქართველოს არმიამ შესძლო დაახლოებით ერთ-თვე-ნახევრის განმავლობაში გამკლავებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ჯარებს;მაგრამ,საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა არმია დამარცხდა, თუმცა უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი ბათუმსა და მის რაიონებში, და ასე შეუნარჩუნა საქართველოს ლენინის მიერ ბრესტლიტოვსკში თურქეთისათვის ბოძებული საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი.

1921 წლის 16-ტ მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას,ნოე ჟორდანიას მეთაურობით,დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ამგვარად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ,ნოე ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წლის 17-ტ მარტს დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა საფრანგეთს; სადგომად კი აირჩია პარიზი,რის შედეგად პარიზი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის უკანასკნელი წევრის - ნოე ცინცაძის - გარდაცვალებამდე,ე.ი.1978-ტ წლამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის - ხალხის მიერ არჩეული - მთავრობის სადგომი.საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები ბათუმში შემოვიდა 1921 წლის 20 მარტს.

ამგვარად რუსეთმა მეორეჯერ დაიპყრო საქართველო: ჯერ 1801 წელს,როცა მეფის რუსეთმა, დაარღვია რა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია, და - მეორეჯერ - 1921 წლის თებერვალ-მარტში, დაარღვია რა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის ხელშეკრულება,-იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

საბჭოთა საქართველოს პირველი კომუნისტური მთავრობა,ე.წ-ლი "რევკომი"ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს საბჭოთა რუსეთის არმიას არ დაუპყრია დამოუკიდებელი საქართველო, და რომ,თითქოს, საქართველოს მშრომელებმა მოაწყვეს აჯანყება საქართველოს ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის წინააღმდეგ,ჩამოაგდეს მთავრობა და ასე დამყარდა საქართველოში ე.წ-ლი საბჭოთა ხელისუფ-

ლება. ამგვარ სიყალბეს ქადაგებდენ და დღესაც ქადაგებენ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელები ამ 60-ი წლის განმავლობაში. ედუარდ შევარდნაძემაც 1980 წლის 20-ც ნოემბერს, მაგალითად, თქვა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები თითქოს "დაეხმარა საქართველოს აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს". იხილეთ, 1980 წლის 20 ნოემბრის გაზეთი "კომუნისტი". ისტორიული სინამდვილე კი ის არის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ამისათვის უცდიდა შესაფერ მომენტს. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთების მტკიცება თითქოს ლენინი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო. სინამდვილეში ლენინი იყო არა საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი, არამედ ამ ფაქტის გახმაურების წინააღმდეგი ევროპაში, სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს დიდი სახელი ჰქონდათ.

ამიტომ წერს ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში: "რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ საკითხს მოსკოვში, სჩანს იქიდან – წერს ნოე ჟორდანია –, რომ როცა ლენინმა გაიგო ჩვენი გასვლა, განაცხადა – წაგებული ვართო." ამგვარად, ლენინი დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი კი არ ყოფილა, არამედ ცდილობდა თავი აერიდებია "ქართული საკითხის" გახმაურებისათვის განსაკუთრებით ევროპაში, რაც დიდ ზიანს მიაყენებდა ბოლშევიკების, ისედაც გატეხილ სახელს საერთაშორისო არენაზე. მაგრამ, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს წესყობილების დასმობა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს შინაგანი არეულობების მოწყობის გზით, ლენინ-სტალინ-ტროცკიმ უბრძანეს წითელ არმიას გადაელახათ საქართველოს სამხედრო საზღვრები 1921 წლის 11-ს თებერვალს. ამის შესახებ, ლეო ტროცკი, თავის წიგნში "სტალინი", რომელიც მან დაწერა და გამოაქვეყნა ლტოლვილობაში საქართველოს საზღვრების გადალახვაში ადანაშაულებს სტალინს და წერს:

"როგორც სჩანს სტალინმა დაივიწყა, რომ ხელმოწერილი იყო მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოსთან 1920 წლის 7-დ მაისს, და 1921 წლის 11-ს თებერვალს წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება გადაელახა საქართველოს საზღვრები."

მაგრამ 1922 წელს, აპრილში, როცა ტროცკი იყო წითელი არმიის სახალხო კომისარი, მან განაცხადა:

"ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტოვებთ მას, ისე მივარტყამთ კარებს, რომ საქართველოდან არაფერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩებათ".

ასე განაცხადა ლეო ტროცკიმ. გაზეთი "კომუნისტი" კი 1921 წლის 5-ი მაისის ნომერში,ე.ი.დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის 6-ი კვირის შემდეგ, სხვათა შორის, წერდა:

"საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ,ჩვენმა მეგობარმა კლასობრივ ბრძოლაში, დაგვეხმარა ჩვენ და გადაგვარჩინა ანტანტის ბრჭყალებიდან".

ლავრენტი ბერიამ კი 1936 წლის თებერვალში, საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების",ე.ი.დაპყრობის მე-15 წლისთავზე პირდაპირ განაცხადა:

"1921 წლის თებერვალში საქართველო განთავისუფლებულ იქნა ჩაგვრისაგან საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებით და შესძლო საბჭოთა დიქტატურის დამყარება".

ვიაჩესლავ მოლოტოვმა,საქართველოს ე.წ-ლი "გასაბჭოების" მე-15 წლისთავზე, თავის მხრივ,განაცხადა:

რუსეთის
"მხოლოდ დახმარებამ,რომელიც მიღებულ იქნა დიდი ოქტომბრის რევოლუციისაგან, შესაძლებელი გახადა მენშევიკური მთავრობის (ე.ი.დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის)ჩამოგდება. ქართველი ხალხის განთავისუფლება დაიწყო მაშინ,როცა ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა რუსეთში წითელი არმიის ძალით, რომელმაც1920-ც და 1921-თ წლებში გაუწია საჭირო დახმარება ქართველ ხალხს და შემოვიდა საქართველოში."

ასე თქვა მოლოტოვმა საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების",ე.ი.დაპყრობის მე-15-ე წლისთავზე. ფილიპე მახარაძემ კი 1921 წლის 6-ს დეკემბერს მოხსენება წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში,რომელშიც ის საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების" შესახებ,სხვათა შორის, წერდა:

"წითელი რამიის შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მიიღო უცხოეთიდან დაპყრობის ხასიათი,ვინაიდან თვით ქვეყანაში არ მოიპოვებოდა არავინ,ვინც იქნებოდა მზად მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში ან რევოლუციაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარების დროს მთელს საქართველოში არ მოიპოვებოდა პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც შეეძლებოდა ორგანიზებული მოქმედება ან უზრუნველეყო ხელმძღვანელობა და ამ მიზნის განხორციელება დაეკისრათ უმთავრესად საეჭვო ან კრიმინალურ ელემენტებსაც კი...ჩვენ უნდა გვეხსოვდეს,რომ ქართველი ხალხის მასები შეეჩვია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას...ჩვენ გამოვაცხადეთ,რომ ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ შევქმნათ დამოუკიდებელი საქართველო...მაგრამ ჩვენ სისტემატიურად

ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებიც არარაობად აქცევს ამ შეპირებას".
ასე წერდა, სხვათა შორის, ფილიპე მახარაძე 1921 წლის 6-ს დეკემბერს თავის მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, საქართველოს ე.წ-ლი"გასაბჭოების" შესახებ.

პარტიული ხელმძღვანელობა, დაწყებული დამოუკიდებელი საქართველოში შეიარაღებული შეჭრისა და დაპყრობის დღიდან ყოველთვის გაჰყვიროდენ და დღესაც გაჰყვირიან, რომ მათ თითქოს "გაათავისუფლეს საქართველო იმპერიალისტურ-კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან". მაგრამ სინამდვილე სრულიად სხვაგვარია: საბჭოთა რუსეთმა, ლენინ-სტალინის მეთაურობით მოსპეს, დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო იმიტომ, რომ

- რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორია ჰქონდა და აქვს დიდი სტრა-
მის
ტეგიული მნიშვნელობა იმპერიალისტურ პოლიტიკაში ახლო და შუა აღმოსავლეთში;
- რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები ბაქოს ნავთობის გასატანად საზღვარგარეთ;
- რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოს ეკონომიკა - მარგანეცი, ქვანახშირი, თამბაქო, ჩაი, ბამბა და სხვა,

და ამით საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მეთაურობით, პრინციპში გაიზიარა მეფის რუსეთის ექსპანსიური და არარუს ერთა ჩაგვრისა და მათი რუსიფიკაციის პოლიტიკა, რომელიც დღესაც ისეთი სიმწვავით ტარდება საქართველოში, როგორც ეს ხდებოდა მეფის რუსეთის დროს. მაგრამ საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების ისტორიული ფაქტებია, ამ უკანასკნელი 60-ი წლის განმავლობაში, საყოველთაო სახალხო აჯანყება 1924-ი წლის 28-29 აგვისტოს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები 1956-ი წლის 9-ა მარტს თუ 1978 წლის 14-ი აპრილის მასობრივი დემონსტრაცია თბილისში, და ვინ ჩამოთვლის ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების სხვა მრავალ ფაქტს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ექვსათეულ წლებში საქართველოში უცხო ბატონობის წინააღმდეგ!..
საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობამ 1921 წლის თებერვალ-მარტში დიდი გამოძახილი ჰპოვა განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა ევროპის ქვეყნებსა და ქალაქებში, რომლის დროს სასტიკად გმობდნენ ბოლშევიკების დიდმპყრობელურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. საქართველოს საკითხზე დებატები ჩატარდა საფრანგეთისა და ინგლისის პარლამენტებში, ერთა ლიგაში შვეიცარიაში, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხზე უკვე წარმოებდა მოლაპარაკებები,რაც სწორედ იმ ხანებში უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს სასარგებლოდ,როცა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია დაესხა თავს საქართველოს და დაიპყრო იგი. საქართველოს საკითხი მოგვიანებით, 1926 წელში, განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების 69-ე კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ. მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების სოციალისტური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ მიტინგებს თუ დემონსტრაციებს მსოფლიოში <u>პირველი</u>,როგორც ისინი ამბობდნენ, <u>სოციალისტური და დემოკრატიული სახელმწიფოს</u> -საქართველოს - დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ცნობილი ავსტრიელი და საერთაშორისო პოლიტიკური მოღვაწე,ქართველი ხალხის დიდი მეგობარი კარლ კაუცკი - თავის წიგნში დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ,რომელიც 1921 წელს დაიბეჭდა ვენაში, - სხვათა შორის, წერდა:

"საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მოკლე ხანში მისმა არმიამ არაერთი მკაცრი გამოცდა გაიარა. მაგრამ ყველაზე უფრო მკაცრი გამოცდა ერგო მას წილად...ძლიერი ბოლშევიკური ჯარების თავდასხმისას სამხრეთიდან,აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ერთდროულად. ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე მოხდა მოღალატოებრივი თავდასხმა საქართველოზე თებერვლის მეორე ნახევარში...მოთხოვნილებამ, მისი ჯარი მოქმედებაში ყოლოდა და ისევდაისევ ახალი ნადავლი ჩაეგდო ხელში და უპირატესობა მოეპოვებია, აიძულა ნაპოლეონი ეწარმოებია მოუფიქრებელი დაპყრობითი პოლიტიკა,რაც დაბოლოს მოსკოვში დაიმსხვრა. იგივე პირობები ახლა ქმნის რუსეთში ისეთსავე მისწრაფებას, მოსკოვის იმპერია[illegible] <u>ეს არის ის,რის პხსვერპლი ახლა გახდა საქართველო</u>", - წერდა კარლ კაუცკი.

ამ იმპერიალისტური აქტით კი, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით, დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7-ი მაისის საზავო ხელშეკრულება,რომლის ძალით საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი, ათასობით ქართველი პატრიოტები დაპატიმრებულ,გადასახლებულ თუ დახვრეტილ იქნენ, რამაც ისეთი დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ხალხში, რომ - მრავალ ლოკალურ ამბოხებებს - 1924 წლის აგვისტოში მოყვა საყოველთაო სახალხო აჯანყება,რომელიც სისხლში ჩაახშო ბოლშევიკურმა რეჟიმმა.

"დღეს - თქვა "დამოუკიდებლობის კომიტეტის" პროცესზე თბილისში, 1925 წლის 22-რ ივლისს კოტე ანდრონიკაშვილმა - არც ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება,ჩამოაგდეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა,რისთვისაც დასახმარებლად შემოიყვანეს რუსის ჯარი და მას მოუხდინეს ოკუპაცია...დიახ,საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია."

როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი,ქართული პოლიტიკური პარტიები? - რასაკვირველია, ისინი ვერ შეურიგდენ ოკუპაციას..."

"რა მოხდა 1921 წლის თებერვალში? - თქვა იასონ ჯავახიშვილმა იმავე 1925 წლის "დამკომის",ე.ი."დამოუკიდებლობის კომიტეტის" სასამართლო პროცესზე, 31-ს ივლისს - ...რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე...არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში,როცა ის მესამე ინტერნაციონალის კონფერენციაზე აცხადებდა: "რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდოდა უზრუნველეყო ნავთობის მისადგომი გზები".

მაგრამ - დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში - ლენინმა საქართველოს მოსტაცა არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, არამედ ამასთანავე საქართველომ დაკარგა მისი ტერიტორიის დიდი ნაწილიც: დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1921-თ წელში შეადგენდა 91.110-თ კვადრატულ კილომეტრს,ე.ი. 21.000-ს კვადრატულ კილომეტრზე მეტს,ვიდრე საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ტერიტორიაა. ამგვარად, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში არა მარტო დაიპყრეს და უცხო ძალას დაუმორჩილეს საქართველოს სახელმწიფო, არამედ - როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა მაშინ - "მარცხნივ და მარჯვნივ" დაარიგეს ქართველის ხალხის მიწა-წყალი, რის შედეგად საქართველომ დაკარგა -

ართვინის ოლქი,რომლის ტერიტორია უდრიდა 3.339-ს კვადრატულ კილომეტრს,
ფოცხოვის თემი - 588-ი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით,
არტაანის ოლქი - 5.137-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით,
ოლთისის ოლქი - 3.051-ი კვადრატული კილემტრის ტერიტორიით,
ბორჩალოს მაზრის ნაწილი - 3.812-ი კვ.კილომეტრის ტერიტორიით,
ზაქათალის ოლქი - 3.564-ი კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით;
ჯიქეთი,ე.ი.სოჭი და მისი რაიონი კი თვით საბჭოთა რუსეთმა მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

აი ასე აყარეს სუვერენული უფლებები საქართველოს,ქართველ ხალხს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა და დაგლიჯეს,დააქუცმაცეს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ტერიტორია, რის შედეგად საქართველოს ტერიტორიის ერთ-მეხუთედზე მეტი,ნახევარ მილიონზე მეტი მოსახლეობით, მოექცა უცხო ბატონობის ქვეშ.

"საქართველოს საკურთხეველზე - თქვა ნოე ჟორდანიამ, დამოუკიდებელი საქართველოს ხალხის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა და მთავრობის თავჯდომარემ - საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი..." "გადახედეთ ჩვენს ისტორიას; სადღა არიან საქართველოს ძველნი მტარვალნი? - ჟამთა ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი. ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება, გამაგრება, მომავლისაკენ იმედიანად გახედვა..." ამიტომ, მსურს ავღნიშნო ხაზგასმით დღეს,- ვარდობის თვის, ე.ი. მაისის 26-ს, საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის დღეს: 1918 წლის 26-ს მაისს ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს სუსხიანი 25-ი თებერვალი.

## გავიხსენოთ ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტები

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომისა და მისი წინა და მომდევნო პერიოდის შესახებ, ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებენ ამ საბედისწერო დროის ისტორიული დოკუმენტები. ამიტომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილია რამდენიმე ასეთი დოკუმენტის მოყვანა, რომ გავერკვეთ საქმის ნამდვილ ვითარებაში. რა თქმა უნდა, აქ, ჩემს მიერ მოყვანილი მასალების "ამორჩევა" განაპირობა იმანაც თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო ჩემთვის ესა თუ ის დოკუმენტი. მაგრამ, ვიმედოვნება, ეს "მჭლე" მასალებიც იძლევიან იმის საშუალებას, რომ რამდენადმე გავერკვეთ დამოუკიდებელი საქართველოს, ამ-ჯერად, დაპყრობის ისტორიაში, რის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა.

=====================

### ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 21 თებერვალს

(„მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ტაშით).
მთავრობის თავმჯდომარე: მოქალაქენო! ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია, მაგრამ მათ აქამდე ვერ შეძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში. იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი.

სწორედ ამ თვის თხუთმეტს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია თბილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თებერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, სადაც ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფად შეიგნეს მდგომარეობა,, გამოსწორდნენ და დროზე შეუდგნენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას.

ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება,-არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ(თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ, როცა შევამჩნიეთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანათურმა თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანიდანაც დაგვესხმოდნენ თავს. ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყვანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებინა. უკან დახევა ალაგ-ალაგ წარმოებდა წესიერათ, ალაგ-ალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი, იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერად, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილად. გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოდ გატეხილი. მათ მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარიკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახლადგამოყვანილი მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავად უეცარი თავდასხმისა, მიუხედავად მოულოდნელი გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო 19 თებერვალს ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სივრცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა. 19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ბრძოლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე. იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ლილოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტაკება; ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს და წინა ღამით, მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გაფთრებით, მტკიცედ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით, კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დასხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა,- ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს.(მხურვალე ტაში) მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობი ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევად. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ(ხმები: გაუმარჯოს და მხურვალე ტაში). ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თვით ის მხნედ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმკლავდება,- წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, რომ შეტევის მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ(კრება ფეხზე ადგომით, ტაშით, ვაშას და გაუმარჯოს ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას), მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი, იმ წინაპრების, რომელნიც შემოჭრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდნენ.

ახლა მინდა მოგახსენოთ თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა", და ეს შულავერში შეყენებული მთავრობა ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენ ხალხს, დამფუძნებელ კრებას, გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება. გადააგდონ იგი და იცნონ „შულავერის მთავრობა". ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მმართველობა. ესენი არიან: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეჩკორი ალექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდნენ საქართველოს ტირანები,-მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ „შულავერის მთავრობა" მიეღო. მე ვამბობ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ქართველი ხალხი გაიგებს რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“ (ტაში, მხურვალე ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს, ნოე ჟორდანიას). [ გადმობეჭდილია ჟურნალ „ჩვენი დროშა“ №35-დან.].

### საქართველოს მთავრობის განცხადება

### საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ

*1921* წლის *19* მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩევნო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებია. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

ქვემოდ მოკლე განმარტებები იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრისაგან საქართველოს დაპყრობას.

თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკამ ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებები გამოიყენა, რათა დაეცვა მშვიდობა მის მეზობლებთან.

ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფოს ორგანიზაცია მიანდო იმ ჯგუფს, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს და, რომელიც მას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის 4 დუმაში. ხალხის ნდობა, რომლითაც ეს მთავრობა სარგებლობდა,–დამფუძნებელ კრებაში ის წარმოდგენილი იყო დეპუტატთა 80%-ით,–საქართველოს რესპუბლიკას აზღვევდა შინაურ კრიზისებისგან, რომლებიც შეიძლება გამოეწვია პარტიათა შორის ქიშპობას. ქვეყნის შინაური მშვიდობა აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო იმ ღრმა რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა მოსახლეობის თითქმის ერთსულოვნებით.

ასეთ პირობებში, რესპუბლიკის არსებობას შეიძლებოდა დამუქრებოდა მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქ. მთავრობას უკარნახებდა დიდ სიფრთხილეს მის საგარეო პოლიტიკაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება და ურთიერთობის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებთან ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებთან, ასეთი იყო მთავარი მიზნები ამ პოლიტიკის.

მაგრამ, ერთგული მისი მოვალეობისა: დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, საქ. რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მის მეზობელს რესპუბლიკისათვის თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, თავისი კანონები და მისთვის ეკარნახა ესა თუ ის პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია მოსკოვის მთავრობის სიძულვილი საქათველოს მიმართ. მას უნდოდა მისი მპყრობელობა გაევრცელებია მთელს ამიერკავკასიაზე, რათა მის შეძლებოდა ის გამოეყენებია, როგორც პოლიტიკური იარაღი. საქ. მთავრობის გადაჭრილ უარზე, გამხდარიყო მოსკოვის აგენტი და მონაწილეობა მიეღო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ავანტიურაში, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ ეს მთავრობა იყო „ანტანტის“ აგენტი.

საქართველოს „გასაბჭოება“ შეიქმნა მთავარი ელემენტი ბოლშევიკების პოლიტიკისა წინა აზიაში.

მრავალი აჯანყებების და შეთქმულებების ჩაშლის შემდეგ, რომლებიც ეწყობოდნენ მოსკოვის ემისრების და ოქროს მეშვეობით, საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა საქართველოსთან *1920* წლის *7* მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

*1920* წლის დეკემბერში, რუსეთის მე-*11* წითელი არმიის სარდალს, გენერალ ჰეკერს, დაევალა მოხსენება წარედგინა თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად. თავის დაწერილებით მოხსენებაში, გენერალი ასაბუთებდა, რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა თუ ანგორას მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკები იძულებული იყვნენ გადაედევათ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა, მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქ. საზღვრებზე. საქ. მთავრობის პროტესტები ამის შესახებ დარჩნენ უშედეგო.

ომის თავიდან ასაცილებლად, საქ. მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში. მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც დარჩა უპასუხოდ საბჭოთა მთავრობისაგან.

საქ. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად სომხეთის მხრიდან, რომელიც ამ დროს უკვე „გასაბჭოებული" იყო, სასურველად დაგვირგვინდნენ: ერევნის მთავრობა დათანხმდა სადავო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადაწყდა მოწვეულიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან.

ბ-ნმა შეინმანმა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განუცხადა საქ. მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი არ იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და, რომ ის იყო სომხეთის მთავრობის მიერ მოწყობილი.

იმავე დროს, საქართველოს მთავრობამ მიიღოს საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლისაგან, ბ-ნ შავერდოვისაგან არანაკლებ მტკიცე განცხადება, რომლის მიხედვითაც სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში.

ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბ-ნ შავერდოვის განცხადება იყო მართალი; თბილისის მახლობლად წარმოებულ ბრძოლების დროს, ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი. მათი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ყველა იყო წარმოშობით ცენტრალური რუსეთის პროვინციებიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ ნაწილებს. მაშასადამე საბჭოთა რუსეთმა, და არა სომხეთმა, საქართველოს შემოუტია თავისი ჯარები 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს, მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებულმა კავალერიის შენაერთებისაგან, გადმოლახეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

საქ. მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მიმართა შემოსული მტრის უკუსაგდებლად, შეეცადა ომის შეწყვეტას დიპლომატიური საშუალებებით.

16 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ, ნ-მა კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს, ბ-მა ჩიჩერინმა, რომლისთვის თითქოს ცნობილი არ იყო საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა, თბილისის რადიო-ტელეგრაფში გაგზავნილ დეპეშით საქ. მთავრობას შუამდგომლობა შესთავაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის. თუმცა დიდ იმედებს არ ამყარებდა ჩიჩერინის ამ მიმართვის გულწრფელობაზე, საქ. მთავრობამ უპასუხა, რომ ღებულობდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობას თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან.

ამასობაში კი ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები. ქართველი ხალხი გმირული წინააღმდეგობით შეხვდა თბილისის წინააღმდეგ ორი მხრიდან გაჩაღებულ შეტევებს. ჯარმა და სახალხო გვარდიამ უკუაგდეს მტრის ყველა იერიში, თუმცა ცოცხალი ძალით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით როდი შეედრებოდა მას.

21 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები. ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ, საბჭოების მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ - ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულებით. ამგვარად, საქართვე-ლოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ - მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე- 13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის და ელობას კავალერიის ნაწილები.

თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოხალისეთა დიდ რაოდენობას, საქ. მთავრობა იქნებ შესძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა სამშობლოს დასაცავად საჭირო სამხედრო ტექნიკის ევროპულ სახელმწიფოთაგან მიღებას. ასეთ დახმარებაზე დათანხმდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, მაგრამ გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო.

ბოლშევიკები კი, იყენებდნენ რა ყირიმის ულევ რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 თებერვალს, ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყო ხელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. საქართველოსთვის შეუძლებელი იყო თურქებისათვის, ე.ი. ახალ ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, და საქ. მთავრობა იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ამით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული საქ. რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა. საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახევა, რათა მოეხდინა ჯარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე. ჯარის ყველა ნაწილს მიეცა უკან დახევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის როგორც სამხედრო ბაზად შენარჩუნებით.

25 თებერვალს, თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. დაიწყო მთავარსარდალის მიერ ნაბრძანევი უკან დახევა. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ფუჭად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სახალხო აჯანყებისა თუ სამხედრო ამბოხების მოწყობის მიზნით. მაგრამ სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირედ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს... ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული. არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქ. დახმარება შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ქემალისტურმა მთავრობამ თხოვა საქ. მთავრობას, არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწია თურქეთის ჯარების ბათუმის პროვინციაში შესვლისათვის, ჯარებისა, რომლებსაც თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ რაიონის ბოლშევიკებისაგან დაცვაში.

მაგრამ, ბათუმში შესვლის შემდეგ, თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქ. მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველებმა თურქები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ საქ. ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა. ეს მეორე ფრონტი კი იყო სწორედ :ქ. სადაც მას სამხედრო ბაზა უზრუნველყოფილად მიაჩნდა. ქართული ჯარი, :რი ძლიერი სახელმწიფოს, რუსეთის და თურქეთის ჯარებით გარშემორტყმულს, არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპავად.

17 მარტს, საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკურ ძალებს გზა გაუხსნა ბათუმის და საქ. მთელი ტერიტორიისაკენ. ამის შედეგად, საქ. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა საქ. მთავრობას თავი აერიდებია დამპყრობლებთან ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტებისაგან.

ბოლშევიკებმა, წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნეს სამხედრო ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტის" სახელწოდებით. საქ. რესპუბლიკის მთავრობამ ხალხისადმი მიმართვაში დააზუსტა თავისი დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი. მან კერძოდ განაცხადა, რომ ლეგალურ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლებოდა რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოტანილი ეს უზურპატორული კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მტრის ჯარების ნაფეხურებს შემოყოლილ პირებისაგან, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ კომიტეტს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავი ჩაეთვალა „ხელისუფლებად".

განაცხადა რა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო, საქ. მთავრობამ კვლავ გაიმეორა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან ერთგული დარჩება თავისი მოვალეობისა, ესე იგი, დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს,—თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ:

1. არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დე-

მოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოილო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.

2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.

3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვო ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ამ ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. 1921 წლის აპრილი

(საქ. მთავრობის ეს წერილობითი მოხსენება ამოღებულია: „DOCUMENTS relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations"-დან. Edition de la Legation de georgie en France. Paris 1925.)

## მთავარი შტაბის ზოგიერთი კომუნიკე

12 თებერვალი: „ღამით 11-დან 12 თებერვალს, რეგულიარული ჯარის ნაწილები, სომხეთის მხრით, მოულოდნელად დაესხნენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შინიხთან, ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს, ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელებს, მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის

დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელნი გავფანტეთ. ეკატერინფელდის რაიონში აჯანყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს.

— — — —

14 თებერვალი: 13 თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს ვორონცოვკის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები.

— — — —

15 თებერვალი: 14 თებერვალს სადახლოს რაიონში წარმოებდა სროლა და მზვერავთა მოქმედება. მტერს ამ რაიონში აქტიურობა არ გამოუჩენია. ლორის ველზე მტერი შეეცადა გადმოსულიყო შეტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეებზე, რომლებიც ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ 12 თებერვლიდან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად.

— — — —

19 თებერვალი: ღამით 18-დან 19 თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გაამფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებული იქნა მძიმედ დაზიანებული და უწესრიგოდ მირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე.

— — — —

20 თებერვალი: კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე წარმოებს ბრძოლა.

— — — —

21 თებერვალი: 20-დან 21 თებერვლის ღამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში, ორჯერვე მან მოაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებული იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორე კი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა, ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოტევა ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით დილის 8 საათზე. 21 თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა. 20 თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა ადლერის მხრით...

— — — —

22 თებერვალი: თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავმა რაზმებმა დაიკავეს სოფლები

კუმისი და წალასკური. კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე, ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რვა ტყვიისმფრქვეველი, სამი ოფიცერი და 53 წითელარმიელი, წალისკურთან–ყუმბარის და პატრონების ყუთები. კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ. დარიალში, მტრისცდა ჩვენს პოზიციებს მოახლოებოდა უკუგდებული იქნა.

— — — —

23 თებერვალი : 22 თებერვალს თბილისის მდამოებში სიწყნარე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით, საგარეჯოზე. კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება. დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებული იქნა. გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენ მოწინავე სადარაჯოებს. ბრძოლები გრძელდება... (იხ. „ბრძოლა" №19-20. 1926 წ.)

## დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის 1921 წ. 21 აპრილის სხდომაზე ერთხმად ამტკიცებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

### სამშობლოს მოღალატეების შესახებ

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

## კათალიკოს ამბროსის მიმართვა
### გენუის კონფერენციისადმი

„კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ არაქრისტიანულ ხანაში, კავკასიონის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს, პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტიური ნიჭით, სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მე-18 საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი, ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკასა და ეროვნულ არსებობას, რაც აშკარად არის აღნიშნული 1783 წლის საქ. მეფე ერეკლე მეორის და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულ პოლიტიკურ ტრაქტატში.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიას და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდა მისი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქ. საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და **1921** წ. **25** თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დასცალა საქართველო, ხელმეორედ დაადგა კისრად ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები მართალია ლამობენ შინ და გარედ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშიაც არის ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ: ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გავეღურების და გახრწნის კარამდე.

ერსართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელს უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან გლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მონაგარ სარჩოს და გაუგებარი სიჩქარით იმავე უცხოეთში ეზიდებიან.

ერს უგმობენ დაართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ ეროვნულ მამაპაპეულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა წმიდას-სარწმუნოებრივ გრძნობას და, სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია— ეს ძველისძველადვე ფაქტორი საქ. ეროვნული სახელმწიფოებრივი ამაღლებისა და ძლიერებისა— ეს უფლება აყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსთმთავრულ მოვალეობად ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის დაფასებაში და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ გთხოვთ :

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქ. საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრება-მოტაცებისაგან.
2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელ ჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო კლანჭებისაგან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე. მდაბალი ამბროსი, პატრიარქი სრულიად საქართველოისა.

7 თებერვალი. თბილისი.

## გავიხსენოთ საქართველოს პატრიარქის ამბროსის სიტყვები:

ამასთან დაკავშირებით მაგონდება

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ამბროსის - სიტყვები, რომლებითაც მან მიმართა ბოლშევიკურ სასამართლოს 1924 წელს, თბილისში. მოგაგონებთ, ბოლშევიკებმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გაასამართლეს იმისათვის, რომ მან 1922 წელს

ოფიციალური მემორანდუმი-წერილი გაუგზავნა გენუის კონფერენციას
იტალიაში,რომელშიც ის აღწერდა საქართველოს მაშინდელ უმწეო პოლი-
ტიკურ,ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას და მოითხოვდა საბჭოთა
რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას საქართველოდან და საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას. და როცა ბოლშევიკური ხახა-
მათლო შეეცადა მისი უწმინდესობის - ამბროსის - მორალურ გატეხას
და მოითხოვდა მისგან თავისთავის დამნაშავედ ცნობას, კათალიკოს-
პატრიარქმა - ამბროსიმ - ბოლშევიკ მოსამართლეებს უპასუხა:

"ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული საქართველოს,
ხოლო ჩემს გვამს რაც გსურთ ის უქენით."

## საქართველოს დაპყრობა და ევროპა

(ამონაწერი)

ახალგაზრდა სახელმწიფოს სტაბილიზაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შეიძლება მალე მისი დამოუკიდებლობის დიპლომატიურ ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერ, უმთავრესად დასავლეთის მიერ. ამ მიზნით მთავრობამ, რომლის პრეზიდენტი იყო ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატიის დიდი ლიდერი, გააგზავნა საზღვარგარეთ დელეგაცია, კარლო ჩხეიძის და ირაკლი წერეთლის მეთაურობით. ეს ორი პიროვნება ჩაეიდნენ პარიზში **1919** წლის თებერვლის ბოლოს. რაკი ორივემ დიდი როლი ითამაშა რუსეთში, განსაკუთრებით ი. წერეთელმა, როგორც დროებითი მთავრობის წევრმა, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა მოკავშირე სახელმწიფოების დიპლომატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებისა, ისინი დიდი სიპატიებით იყვნენ მიღებული.

დასავლეთის პოლიტიკური წრეები ნაკლებად იცნობდნენ საქართველოს, და ჩვენმა დელეგატებმა გამოიჩინეს დიდი ენერგია, რომ გაეცნოთ ეს პატარა ქვეყანა, თავისი ძველი ცივილიზაციით, თავისი ისტორიით, თავისი გმირული ბრძოლით დამოუკიდებლობის დასაცავად, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ბუნების სილამაზით, რათა დაერწმუნებიათ, რომ საქართველოს აქვს ყოველგვარი საშუალება იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

აქ მინდა მოვიტანო ერთი ფაქტი, რომელიც მე თვით წერეთელმა მიამბო. როდესაც ის ლონდონში იყო, მან ინახულა ლორდ კერზონი, ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, აუხსნა მას საქ. მდგომარეობა და განუვითარა საბუთები, რომ ამ ახალ პატარა სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. კერზონმა დიდი ყურადღებით მოისმინა წერეთლის სიტყვები და უპასუხა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე გეტყვით, არა მარტო ქართველ ხალხს, რომელმაც საუკუნოების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და განავითარა თავისი ცივილიზაცია, არამედ ყველა განუვითარებელ ხალხსაც შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა არის შემდეგი: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უშველებელ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და, რომელსაც ჰქვია რუსეთი?." აი, სწორედ აქ არის ქართული პრობლემის სიძნელე, ქართველი ხალხის დრამა!

მიშა ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება

(საბჭოთა რუსეთის წითელი მეთერთმეტე არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი)

„1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.
თქვენი წერილის, №1753, საპასუხოდ ქვემოდ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან.
2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის პუნქტებზე.
3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა.
4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" კრებაზე ამა წლის[1920] 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ კიაზიმ კარაბეკირის[ქემალისტური თურქები] ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ოპერაციისთვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შეექმნათ. ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაყამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულიარულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

ამ შემთხვევაშიაც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ, გამოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენო, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ- ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, ალსტაფა-ელიზავეტპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ ექვსი დივიზია ქვეითი ჯარისა და ხუთი დივიზია კავალერიისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25 000 ხიშტი და 4 000 ხმალი. ფოილოს მიმართულებით ამის გარდა კიდევ უნდა გვყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად—ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი. ეს ძალები უნდა გამოვყოთ მეცხრე და მეთერთმეტე არმიებიდან. ამ გამოყოფისათვის, თუ შესაძლებელია მათი სამხრეთის ფრონტზე - გამოყვანა, უნდა მოვიხმაროთ პირველი არმიის ერთეულები.

პირველი გეგმით, საქართველოში შესასვლელად, ოპერაციებისათვის თბილისის წინააღმდეგ უნდოდათ დაენიშნათ სპეციალური ერთეულები მეოცე, მეთვრამეტე, მეთოთხმეტე და მეოცდარვე დივიზიებისა, ამხანაგ შერშენევის, კავალერიის დივიზიების: მერვესა და მეთვრამეტეს ერთეულები, რომლებიც უნდა გამოიყვანონ მეცხრე და მეთერთმეტე სხვა ერთეულებიდან. დამხმარე ძალები დასახელებულ ნაწილებიდან უნდა გამოიყონ იმ ფრონტის ნაწილებიდან, რომლებსაც ეხებათ მთავარსარდლის დეპეშა, რათა ჩემი არმია გაძლიერებულიყო. ამ პირობებში, დეკემბრის დამდეგისათვის, მე მეყოლებოდა საკმაო ძალები საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმები იყო. სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს №5376 დეპეშის მიხედვით, მეორე არმიის კავალერიის ტრანსპორტი შეჩერებული იქნა, ეშელონები №№134-628-661-312-454 დაკავებული იქნენ გუდერუ-პეტროვსკის ხაზზე, მეოცდარვე ქვეითი დივიზიის ნაწილები ვერ გამოიყვანეს და ვერ გაგზავნეს ფრონტზე, და განიცადეს რა დიდი დანაკლისი,

ტერიტონ მათ სჭირდებათ შევსება, მთელი მე-32 ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ მე-96 ბრი-
გადის გაყვანა შეიძლება ყაზახის მიმართულებით, მე-18 დივიზიის ერთეულებსაც სჭირდე-
ბათ დამხმარე ძალები და მათი თავმოყრა ძალიან ჭიანურდება. პეტროვსკში მოსვლისას
ეშელონები გადავიყვანეთ ჩემი ბრძანებით ლენკორანის რაიონში. ამგვარად, აქსტაფა-ყაზა-
ხის რაიონში, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ამჟამად ლაშქრობაში შევიყვანოთ გა-
ნზრახულის მხოლოდ მეოთხედი ძალები. დეკემბრის ოთხს(1920 წ.), ყველა ვითარების აწონ-
დაწონის შემდეგ, მე მოვახსენე საქართველოს რესპუბლიკის შესახებ რევოლუციურ-სამხე-
დრო საბჭოს, რომ ყოვლად შეუძლებელია შესრულდნენ რევკომის ბრძანებები და დასრულდეს
ჯარების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ თვით დეკემბრის თვის დასასრულისათვის.
თუ დამხმარე ძალების მოსვლა დაგვიანებით გაგრძელდება, წინა მოხსენებულის დამატებით
და შესაბამისად გაცნობებთ, რომ საჭიროა ჩქარი გადმოყვანა ჯარებისა ჩრდილო კავკასი-
იდან და მეორე არმიის კავალერიისა, თუგინდ ამით დროებით დაბრკოლდეს საქონლის გა-
დაზიდვა, რათა სულ მოკლე ხანში ჯარის ნაწილები ისეთ ვითარებაში მოხვდნენ, რომ
შეეძლოთ ყოველ წუთში რევოლუციის მიმართ თავისი მოვალეობა აღასრულონ.

ასევე უნდა შესრულდეს ჯარის მომარაგების საქმეც. ვიღებ რა მხედველობაში მომარაგების მდგომარეობას, წინადადებას გაძლევთ მოუცადოთ ხორბლის მოტანას და დამხმარე ძალების მოსვლას, რაც დაგვიანებით გაგრძელდება, მის დაწყობას ელიზავეტოპოლში, მანამ სანამ საქართველოზე თავდასხმას დავიწყებდეთ. მითუმეტეს, რომ თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებას გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ.

ზურგის მდგომარეობაზე: კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავთვალო თუ შემდეგი ერთეულები არ იქნებიან ჩემს განკარგულებაში: ლენკორანის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითი ჯარისა და ერთი კავალერიისა ტერტერა-შუშა-ჯებრაილის რაიონში, ორი ნაწილი ქვეითის და ერთი კავალერიისა აუცილებელია განჯა-შუშა-შერუსის რაიონში, ნუხის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითისა, ბაქოს და რკინიგზის დაცვა მოითხოვს არა ნაკლები ერთი დივიზიისა. ამის დამოუკიდებლად, საიდუმლო დაწესებულებების ცნობით, აპრილში უნდა მოველოდეთ მასიურად თურქების შემოსვლას ჯებრაილის რაიონში. აუცილებელია ახლავე დავიკავოთ არაქსზე გადმოსასვლელი ყველა პუნქტი და ამ მიზნით იქ საკმაო ძალები უნდა მივიყვანოთ.

რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც ამაზე უკვე მოვახსენე დაწვრილებით რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სისუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა.

ყველა ეს მოსაზრება სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს. თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჯარები შეუჩერდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაჩქაროთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდებიან:

1. კონცენტრაცია ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიისა.
2. ბაქო-ელიზავეტპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლების მოსვლა, რომელი სურსათიც საკმარისი იქნება დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში.
3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში.

მე თქვენ გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს მოხსენებაში „რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარის მიმართ."

(„კავკასიონი" №15) მე-11 არმიის სარდალი: ჰეკერი

-------------------

რუსი ფილოსოფოსი - პეტრე ჩაადაევი(1794-1836) - რუსეთის შესახებ:

"რუსეთი არსებობს იქნება მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილი ჩაუტაროს."

---------------------------

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება
## რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი, საქ. „გასაბჭოების" 9 თვისთავზე

„უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა. ვადა სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ ამ ხნის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას. სამწუხაროდ ამის გაკეთება აქ შეუძლებელი ხდება.

ამ მოხსენებაში მე მხოლოდ ორ მიზანს ვისახავ: 1. დავხატო ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საქართველოში დღიდან იქ საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისა და 2. მივუთითო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ უფრო წარმატებით გვეწარმოებინა, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში.

უწინარეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ 1921 წლის დასაწყისში, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში მეტისმეტად უნუგეშო იყო, რაც შედეგი იყო იმ ლეგალიზაციის, რომელიც გამოცხადდა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ მთავრობის შორის დადებული ხელშეკრულების ძალით 1920 წლის 8 მაისს. ნამდვილად კი ეს ლეგალიზაცია მენშევიკურ საქართველოში პირდაპირ პროვოკაცია შეიქნა, სადაც ლეგალური არსებობა ყოვლად შეუძლებელი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ეს მეტად მცირე ლეგალური შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა, რასაც ჩვენ კიდევაც ვშვებოდით შეძლებისდაგვარად, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არალეგალური აპარატის დატოვებაც. ამაზე მე ვუთითებდი ჯერ კიდევ ლეგალიზაციის დასაწყისში(დაახლოებით 1920 წლის მაისის დამლევს) პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომელიც მაშინ მოწვეული იყო ჩვენი მომავალი ტაქტიკის გამოსარკვევად საქართველოში, და მე მაშინვე ვაფრთხილებდი ამხანაგებს არ გატაცებულიყვნენ მაიმცდამაინც ლეგალური მუშაობით. სამწუხაროდ, ჩემი რჩევა მაშინ არ გაიგონეს. ზოგიერთი ამხანაგი მეტად გაერთო ჩვენი პარტიის ცრუ ლეგალიზაციით და, მიუხედავად კომინტერნის მეორე კონგრესის დადგენილებისა, რუსეთის კომპარტიის ც.კ-ს სპეციალური დირექტივებისა–კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში–მათ არას გზით არ უნდოდათ არალეგალური აპარატის ორგანიზაცია და მოითხოვდნენ მხოლოდ და მარტო ლეგალურ მუშაობას. სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა გაცილებით ადრე, ვიდრე მე თვითონ ვფიქრობდი დადებული ლეგალიზაციის შესახებ და 6-7 თვის შემდეგ ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ამრიგად, 1921 წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტია სავსებით თავმოკვეთილი შეიქმნა და ამ თავმოკვეთაში ბრალი ჩვენ გვედება და განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას საქართველოში. მე კი კავბიუროს დადგენილებით 1920 წლის სექტემბრიდან გაწვეული ვიყავი მოსკოვში. პირდაპირ გასაკვირველი და გასაოცარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამგვარად განადგურების შემდეგ, კავბიურო ვერ მიხვდა გაეგზავნა საქართველოში თუნდაც რამდენიმე მუშაკი, რომლებიც მონახავდნენ ადგილობრივ გადარჩენილ იაჩეიკებს, შეაკავშირებდნენ მათ და მისცემდნენ სათანადო დირექტივებს. ამაზე არავინ ფიქრობდა და მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არ იცოდა და ეჭვიც კი არ ჰქონდა. ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა. ცხადია, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შემოტევისას, გაესწორებიათ ანგარიში აქა-იქ კიდევ დარჩენილ ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეჭირათ არამც თუ კომუნისტები, არამედ ცოტად თუ ბევრად მათი თანამგრძნობნიც. ამრიგად მოხდა შემდეგი:

1. საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.
2. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც მეტი, რომ არ ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა. რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტმომქმედმა ელემენტებმა. აი, სადაა ჩვენი პირველი შეცოდება, სადაა ბოროტების ფუძე და აი, აქედან იწყება ყოველგვარი ჩვენი წაფორხილება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

შეიძლებოდა თუ არა ერთბაშად აგვეშორებინა ყველა შეცდომა და დეფექტი და აგვეღო სწორი ხაზი? აუცილებლად შეიძლებოდა, რომ იმთავითვე მოგვეხერხებინა საქართველოს ცენტრში მტკიცე და ერთიანი ძალაუფლება. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა და სირთულეთა ეს მოხერხდებოდა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა, რადგან იმთავითვე რამდენიმე ძალაუფლების ორგანო აღმოჩნდა: ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად ითვლებიან უზენაეს ორგანოებათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავბიურო რ.კ.პ. და მ.-11 არმიის „რევვოენსოვეტი", რომლებიც ძრიან ნამდვილი უზენაესი ორგანოები ძალაუფლებისა. ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილად წყვეტს საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, საქართველოს ც.კ. და რევკომის დაუკითხავად.

ამასთანავე, ძრ შემიძლია არ გავიხსენო ერთი გარემოება, რომლის შესახებაც ხშირად ლაპარაკობენ, არც ერთი წევრი ორივე კავბიუროსი საქმით ანგარიშს ძრ უწევს. მე ვლაპარაკობ ქართველი ერის ზოგიერთი წრის ნაციონალურ მიდრეკილებაზე. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვიენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, თუმცა ცხადია დამოუკიდებლობა ეფემერული და ფიქტიური იყო. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოვლენა ჩემთვისაც პირდაპირ მოულოდნელი იყო და მისი ანგარიშგაუწევლობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ძღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ჯერ კიდევ ლენინმა განსჯვრიტა მოსკოვში, ერთგვარი ლოლიკური დასკვნაც გააკეთა და ჩვენს წამოსვლისას სათანადო დირექტივები მოგვცა. და მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში ჩვენ თითქოს სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც. ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არასგზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასების გასანთავისუფლებლად ანტანტის იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან და სხვადასხვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ პოზიციაზე შეჩერებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც და ამაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხის, რომელიც ესოდენ გამომწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. საჭირო იყო ამ მასებისთვის გვეჩვენებია, რომ მართლაც დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა და მოსპობა, და ეს მითუმეტეს საჭირო იყო, რომ ყველა ჩვენი მტრები და უმთავრესად მენშევიკები ჩვენ იმას გვაბრალებენ, რომ ბოლშევიკებს სურთ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველო უნდათ გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიებათ, როგორც ეს იყო ცარიზმის დროსაო. სამწუხაროდ ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ეს ასე უნდა იქნას დაუყოვნებლივ. საჭირო იყო მტრისთვის წაგვერთმია ეს ჩვენი საწინააღმდეგო კოზირი, ამას მოითხოვდა ძალაუფლების ინტერესებიც. მართალია ეს იქნებოდა ჩვენის მხრით ერთგვარი დათმობა მასების ნაციონალისტური გრძნობების მიმართ, მაგრამ დათმობა არა არსებითი და ამასთანავე ჩვენ დავემყარებოდით, ერთი მხრით, კომინტერნის მეორე კონგრესის დირექტივებს და, მეორეს მხრით, ლენინის დარიგებას, რომელიც მან ცალკე წერილად გამოუგზავნა კავკასიის კომუნისტებს.

ამ დათმობით ჩვენ ორ კურდღელს ვკლავდით. ჯერ ერთი, ხელიდან ვგლეჯდით მთავარ კოზირს ჩვენს მტრებს–მენშევიკებს და მეორე, გადმოვიბირებდით ჩვენს მხარეზე ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილს, უმთავრესად მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს და ქართველ ესერ..., რომლებიც მენშევიკების დროს მემარცხენე ოპოზიციას წარმოადგენდნენ, ხოლო ს..ჭოთა უფლების დამკვიდრების შემდეგ საჯაროდ აცხადებენ, რომ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა პლატფორმას და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებთ, მხოლოდ იმ პირობით თუ საქართველოს სახელმწიფო ძრ იქნება მოსპობილიო. ამ ჯგუფთან თანამშრომლობას კი ჰქონდა და დღესაც აქვს არა მარტო მორალური მნიშვნელობა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამგვარი დაპირება, მოსკოვის ნებართვით, ჩვენ საზოგადოდ რამდენჯერმე მივეცით სიტყვით, მაგრამ საქმით არც ერთხელ არ გაგვიმართლებია. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ვაშენებთ არა სავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, შევქმნით წითელ არმიას და სხვადასხვა, მაგრამ ჩვენ ვტოვებდით რა უყურადღებოდ ცენტრის დირექტივებს, სისტემატიურად თანდათან ამით იმგვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარყოფდა ყოველ ჩვენს დანაპირებს. რკინისგზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რკინისგზების პროფკავშირების ორგანიულად შეერთება და სხვადასხვა მოახდინეს მეტად სასწრაფოდ, მოუფიქრებლად, მოუმზადებლად, ზევიდან საომარ ბრძანებათა წესით. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება კი შეიძლებოდა სხვა გზით, გაუხმაურებლად, ხელშეკრულების წესით და სხვა. მხოლოდ შემდეგში დავიწყეთ კამპანია ზემოხსენებულ გაერთიანებათა საჭიროების შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენახვით, ვფიქრობ, მგონი, ცოტათი გავანელეთ ის უნდობლობა, რომელიც ხალხში ჩვენს მიმართ დაიბადა ყველა ამ დაწესებულებების წყალობით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ იძულებული ვიყავით მოვშორებოდით ჩვენს პირდაპირ საქმეს, უშუალო მუშაობას პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში, რათა დაგვეპყრო და მოგვეკლდლებია მუშურ-გლეხური მასები და მოგვეწვეია თვით საბჭოთა ყრილობა. ჩვენ ჯერ კიდევ მონელებული ძრ გვქონდა ზემოხსენებული ამბები, რომ კავბიურომ სრულიად მოულოდნელად ახალი სიურპრიზის წინაშე დაგვაყენა. ვგულისხმობ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის და საქართველოს წითელი ლაშქრის მოსპობას. კავბიუროს ეს დადგენილებაც იმგვარადვე ტარდება ცხოვრებაში, საომარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებათა სახით და არავითარი წინასწარი მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში არ ხდება.

ავიღოთ პირველად ამიერკავკასიის ფედერაცია. დამახასიათებელია, რომ კავბიუროს დადგენილება ამ საკითხის შესახებ საქ. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში(„პრავდა გრუზია") დაბეჭდილი, პირდაპირ მოულოდნელი იყო თვით ცენტრალურ კომიტეტისათვის. აქედან ცხადია, რომ კავბიურო სრულიად საჭიროდ არ თვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ამიერკავკასიის ფედერაცია, ანგარიში გაუწიოს თვითეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს და ეს კი , არც მეტი და არც ნაკლები, ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოცლაა, დაცემაა ხალხის თვალში.

ახლა არსებითად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მათი სრულიად, ორგანიულად რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ საკითხავია: საჭიროა და სასარგებლო ეს ფორმალური გაერთიანება და ისიც ზევიდან ძალდატანებული, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ დავახლოებივართ მასებს, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოგვისწრია საბჭოების მოწვევა? მე ვაცხადებ, რომ ამგვარი ზევიდან ნაკარნახევი გაერთიანება არამც თუ რამეს მოგვცემს, არამედ ის კიდევ უფრო მოგვაშორებს ხალხს, ის კიდევ უფრო დაამძიმებს და გაართულებს მთელს ჩვენს მუშაობას საბჭოების მოწვევის საქმეში და ხელს შეუწყობს კიდევ ახალ პროვოკაციას ბოლშევიკებისა და საზოგადოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს ერთი კიდევ ახალი ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის წამოსკუპებას, ხალხისაგან სრულიად მოწყვეტილს და მეტად არა პოპულარულს. რასაკვირველია, აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში ერთ დღეს სულ სხვა იქნებოდა, რომ საქართველოსა და სომხეთში შედგენილი ყოფილიყო საბჭოები და ეს ფედერატიული გაერთიანება გატარებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში. დიახ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: მაშინ ჩვენ მოვიპყრობდით ნამდვილს და მტკიცედ გაერთიანებულს, მასებზე დამკვიდრებულს საბჭოთა რესპუბლიკებს. და ეს არ იქნებოდა წინ გახტომა, მოვლენის გასწრება, რომელიც სრულიად უადგილო იყო დღევანდელს პირობებში. მაგრამ ამ რესპუბლიკათა ნამდვილი გაერთიანება, როგორც ერთმანეთთან, აგრეთვე რუსეთთან ხომ სხვა გზითაც შეიძლებოდა, გაცილებით უფრო ჰისაღები და მიზანშეწონილი გზით. მე ვლაპარაკობ თავისუფალ შეთანხმებაზე, სამეურნეო პირობათა გაერთიანებაზე ხელშეკრულებათა, კონვენციათა საფუძველზე, რაზედაც ჯერ კიდევ სტალინი მიგვითითებდა თავის მოხსენებაში, რომელიც მან პარტიულ კრებაზე გააკეთა თფილისში ყოფნის დროს.

ამ დირექტივების მიხედვით, რომელიც რ. კ. პარტიის მეათე ყრილობის დადგენილებისაგან ამომდინარეობს, ჩემი ინიციატივით უკვე დადებულია რამდენიმე ხელშეკრულება რუსეთისა და საქართველოს მიწათ-მოქმედებათა კომისარიატებს შორის, რომლის ძალითაც თითქმის სავსებით გაერთიანებულია ამ კომისარიატების სამეურნეო ხარჯები მათი ფორმალურად ერთის მეორესადმი დაუმორჩილებლად. და სწორედ ეს არის არა მყვირალა, საქმიანი გაერთიანება, რომელიც ხმას აკმედინებს ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არ აძლევს მათ საშუალებას გასწიონ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე პროვოკაცია. მეორეს მხრით, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნუთუ ამიერკავკასიის რესპუბლიკები არსებითად უკვე გაერთიანებული არ არიან, ნუთუ ისინი განკერძოებულად არსებობენ, ნუთუ ნამდვილად იმდენად დამოუკიდებელი არიან, რომ სულმოუთმენლად საჭიროა გაერთიანება, თორემ ყველაფერი დაიღუპებაო? თავის თავად ცხადია, რომ არაფერი ამისთანა არ არის და მხოლოდ გამოუსწორებელ დონ-კიხოტებს ეჩვენება ეს. აიღეთ თუ გნებავთ კავბიურო [კავბიურო . კავკასიური ბიურო კომუნისტებისა], მისი წრეს გადაჭარბებული ოპეკუნობა; აიღეთ ოკა, და ერის რა დამოუკიდებელ, განკერძოებულ არსებობაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი!.. ნუთუ ეს სასაცილო არ არის. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტის დაცვაზე, სიფრთხილეზე, ვინაიდან ჩვენ ალყაშემორტყმული ვართ, ყოველის მხრიდან ბლოკადით გამოცხადებული და ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ყოველი მოუფიქრებელი გამოსვლა საშინლად დაგვცემს ხალხის თვალში. და კავბიუროს დადგენილება კი ამიერკავკასიის ფედერაციის სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარების შესახებ ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენს ტაქტიკას, რომელიც მეტად ფრთხილი და მოქნილი უნდა იყოს, რომ არ მივცეთ პროვოკაციის მასალა ჩვენს მოწინააღმდეგებს. ამასთანავე ეს დადგენილება არამც თუ ასუსტებს ნაციონალისტურ მისწრაფებას, არამედ აღვივებს და ამაგრებს მას.

ამგვარი და შეიძლება კიდევ უარესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს კავბიუროს მეორე დადგენილებას საქართველოში წითელი ჯარის გაუქმების შესახებ. ამ დადგენილებით კავბიურომ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი არამც თუ არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, არამედ საზოგადოდ ცოტა ყურადღებას აძლევს რ.პ.ც.კ. და ამხ. ლენინის სპეციალურ რჩევა-დარიგებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდგომ, რომ ურჩევდა საქართველოს კომუნისტებს, რაც შეიძლება საჩქაროდ შექმნით წითელი ჯარიო.

კავბიუროს აღნიშნული დადგენილება, რომელიც მოხდა საქართველოს ცეკას და რევკომის დაუკითხავად, მის ორგანოებში წინასწარ განუხილველად, მთლიანად სპობს ყველა ჩვენს პლანებს და საქმიანობას და ამავე დროს პირდაპირ ეწინააღმდეგება ცენტრის ყველა დირექტივას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ვიკითხოთ, ვის და რას შეუშლიდა ქართული წითელი ლაშქრის ცალკე, ფორმალური არსებობა საოპერაციო მხრით ისედაც სავსებით და მთლიანად ოკაზე დამორჩილებული. აბსოლუტურად არავის და არაფერში. ორგანიზაციულად მისი არსებობა მხოლოდ მის შექმნას გაგვიადვილებდა. მორჩა და გათავდა. მართალია, ელიავამ, რომელიც იმთავითვე დაყენებულ იქმნა სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სათავეში, უაღრესად პასუხსაგებ საქმეში, სრული სიკოტრე გამოიჩინა, როგორც ახლა შეურყეველი საბუთებით ირკვევა. შეკრებილია მისი მოადგილის - ამხ. ალნიაშვილის და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისიის მიერ დიდძალის საბუთები. ელიავამ ყოველი საშუალებით ჩაიგდო ხელში, რაც იყო ძვირფასი საქართველოში. გაფლანგა ათეული და ასეული მილიარდები და ნაცვლად წითელი ჯარისა, ყოფილ კონტრრევოლუციონერ ოფიცერთაგან, თავადთა და აზნაურთაგან შექმნა ბანდიტებისა და სპეკულანტების ნამდვილი შაიკა, რომელსაც ახლა ამხ. ალნიაშვილი ათეულებითა და ასეულობით იჭერს და ხვრეტს.

ბოლოს, როდესაც ელიავა მიხვდა, რომ მისი სიკოტრე, უკეთ, მისი ბოროტმოქმედება, ქართული ჯარის შექმნაში უკვე გამოაშკარავებულია, თავი რომ გადაერჩინა, პასუხისგებისაგან და სამართლისაგან, მეტად არაჩვეულებრივი , არამოხერხებული ნაბიჯი გადადგა: თავის ბოროტმოქმედების დ[illegible]ფარავად მან წინადადება მისცა კავბიუროს, გაეუქმებინა ქართული წითელი ჯარი დ[illegible] შეეერთებინა იგი ორგანიულად რუსულ არმიასთან. ოკამ და კავბიურომ მის მაგიერ, რომ ელიავა პასუხისგებაში მიეცა, დიდი ყურადღებით მიიღო მისი წინადადება. ამავე დროს კი ქართული წითელი ჯარის შექმნა ყოველ მიზეზის გარეშე შეიძლებოდა. მე კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ელიავას ნაცვლად ვინმე სხვა ამხანაგი ყოფილიყო, სავსებით უბრალო, მაგრამ პატიოსანი, წითელი არმიის მნიშვნელობის შემგნები მუშა, წითელი ჯარი აუცილებლად გვეყოლებოდა, ვინაიდან საამისო ყველაფერი გვქონდა: ცოცხალი მასალა და პატარა ლაშქრისათვის საჭირო ქონება, აგრე ბოროტად გაფლანგული. მე ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლისას დავინახე და ვიგრძენი, რომ ელიავა საქართველოს წითელ ჯარს ვერ შექმნიდა, რომ ის ჩვენ დაგვღუპავდა და ეს აზრი მას ამხანაგურად გავუზიარე, მეგობრული დარიგება მივეცი, რომ შეცდომები აეცდინა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი შეიქმნა. მე კი უძლური ვიყავი რაიმე რადიკალური ზომა მიმეღო, მაგალითად გადამეყენებინა ელიავა, რადგანაც ეს ჩვენდა დაუკითხავად იყო დანიშნული. ეს კიდევ ცოტაა. ელიავამ გაბედა და ამას გარდა საგარეო კომისრობაც იკისრა. ამ ადგილზე ის ითვლებოდა ამხ. მდივანის ჩამოსვლამდე. ამ დარგში მისი მუშაობის შესახებ აქ ზედმეტია ვილაპარაკოთ.

მე აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებას: მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს მიმართ მე მესმოდა და მესმის ასე: მეტისმეტი ფრთხილი ტაქტიკით უნდა მიღწეული იქნეს სრული სულიერი და ეკონომიური გაერთიანება, ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ გარეგნულად ფორმალური დამოუკიდებლობა. ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა ვეცადოთ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები ვაზიაროთ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ჩავითრიოთ ხალხის ფართო მასები მუშურ-გლეხურ აღმშენებლობაში და სხვა. როცა კარგად ვიცით, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბურჟუაზიული მთავრობების არსებობის დროს ხალხის მასები საკმაოდ მოიწამლენ ნაციონალიზმის და შოვინიზმის შხამით, უნდა ძალიან ფრთხილად მივუდგეთ ამ მასებს. ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ბრძოლის ისეთ წესებსა და საშუალებებზე, რომელსაც ცარიზმი ხმარობდა, რომ მასები არ ჩამოვიცილოთ და პირიქით გონიერი და ფრთხილი პოლიტიკით მოვიზიდოთ ჩვენსკენ. ამავე დროს, რასაკვირველია, ნაციონალისტური გრძნობების გამწვავების საბაბიც არ უნდა მივცეთ. ასეთი პოლიტიკა გვავალებს ყოველგან და ყოველთვის ანგარიში გავუწიოთ ადგილობრივ პირობებს და ხანდისხან ნაციონალისტურ ინტელიგენციას ცოტა რამ დავუთმოთ, რომ გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების მიხედვით.

ასეთია გზა, ასეთია საშუალებები, რომლებიც შეგვაძლებინებს ადრე მოვუღოთ ბოლო ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობას, მოვსპოთ ეროვნებათა შორის უნდობლობა და სხვა. მე ვფიქრობ, საერთოდ ასეთია პოლიტიკა რუსეთის ს.ს.ფ. რესპუბლიკის, კომინტერნის და კომუნისტური პარტიისა წვრილ ერების მიმართ დღევანდელ ისტორიულ მომენტში, იმ წვრილ ერების, რომლებიც წინათ და ახლაც იჩაგრებიან დიდი სახელმწიფოების მიერ. შესაძლებლობის და ჩემი საკუთარი ძალ-ღონის ფარგლებში მე ვცდილობდი გამეტარებია სწორედ ასეთი პოლიტიკა საქართველოში. არა შიშით, არამედ სინიდისის ქვეშ. ურყეველი ფაქტია, რომ ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებში არიან ამხანაგების ჯგუფები, რომლებიც ნაციონალიზმისაკენ იხრებიან. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ კავბიურო, არც წინანდელი და არც ახლანდელი, არ დგას ამ მხრივ თავის მდგომარეობის სიმაღლეზე: სიტყვით კავბიურო არის რუსეთის კ.პ.ც.კ. პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში, საქმით კი მუდამ იჩენდა რყევას და ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. კავბიუროს უმნიშვნელოვანეს დადგენილებებში არ ჩანს ფრთხილი ტაქტიკა და ის სწორი მიდგომა ადგილობრივ ხასიათის მეტად მწვავე და საყოყმანო საკითხებისადმი, რის შესახებაც მე ზემოდ ვლაპარაკობდი: ერთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა და, მეორე, საქართველოს წითელი ჯარის მოსპობის შესახებ. მართლაც, საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ კავბიუროს შემადგენლობაში ისეთი ამხანაგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან, რომლებიც არც ახლა ცნობენ რესპუბლიკების ფორმალურად დამოუკიდებელ არსებობას და თვლიან მათ რუსეთის ს. ს.ფ. რესპუბლიკის გუბერნიებად.

არ შემიძლია ჩუმით ჩავუარო აგრეთვე რ.კ.პ.ც.კ. წევრის, ამხანაგ ორჯონიკიძის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა საქართველოს კ.პ.ც.კ. სხდომაზე, 1921 წლის 15 ნოემბერს, ბათუმის პორტის საკითხის განხილვის დროს საქართველოს ცეკას წევრებისა და სხვა ადგილობრივ ამხანაგების მიმართ. მან ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათო."
რას ნიშნავს ეს? თუ კომუნისტი კომუნისტს არ ენდობა მაშინ ორში ერთი: ან ერთი მათგანი არ არის კომუნისტი, ანდა არიან კომუნისტები უმაღლესი ხარისხისა და კომუნისტები დაბალი ხარისხისა, და ამ დაბალ ხარისხის კომუნისტებს ეკუთვნიან ალბათ ადგილობრივი კომუნისტები, ქართველები, სომხები და სხვები, რომლების ნდობა არ შეიძლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვი ამას ასე არ უყურებს, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგები ამას ვერ ხედავენ, ამაშია ჩვენი უბედურება.

პირიქით, ისეთი ამხანაგი, ძალიან ხშირად, რომელიც გამოიჩენს ინიციატივას, საქმისადმი ინტერესს, მოიქცევა არა შაბლონურად, არამედ ადგილობრივ პირობებს ანგარიშს გაუწევს, უნდა ელოდეს, რომ მას ჩარიცხავენ ნაციონალისტად, და უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ორივე კავბიუროს წევრები ძალიან ხშირად მიმართავენ ასეთ ხერხს ქართველი ამხანაგების შესაშინებლად, რითაც კოლონიზატორულ მიდრეკილებას ხელს უწყობენ კიდეც.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი: ჩვენში ატმოსფერო მეტისმეტად შეკუმშულია, საჭიროა ამის გაფანტვა და გაჯანსაღება. საჭიროა უფრო ნორმალური დამოკიდებულება დაწესდეს ცენტრსა და პერიფერიებს შორის. საჭიროა მტკიცე და ნათელი დირექტივები, რომ ადგილობრივად პასუხისმგებელმა ამხანაგებმა იცოდნენ რა არის უახლოესი დავალება და მიზანი ცენტრისა. მაგრამ, ესეც არ კმარა, ისინი უნდა იცნობდნენ ცენტრის ტაქტიკას, და რაც უმთავრესია, ცენტრი სავსებით უნდა ენდობოდეს ადგილობრივ კომუნისტებს.

კონკრეტიულად, ჩემის აზრით, აუცილებელია ახლა შემდეგი ზომების მიღება:

1. ცენტრმა უნდა შეიმუშაოს სწორი და გარკვეული ტაქტიკური ხაზი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომ შემთხვევით და ცალკე ამხანაგების სურვილით არ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლა. საჭიროა გამოირკვეს: მიზანშეწონილია თუ არა ამ მოკლე ხანში მათი–რესპუბლიკების–შენახვა, ან თუ აუცილებელია დაუყოვნებლივ მათი ლიკვიდაცია. ჩემის აზრით, და ეს არის აზრი საქართველოს კომპარტიის დიდი უმრავლესობის, გარეშე და შინაური პოლიტიკის მოსაზრებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შენახვა საჭირო არის.

2. უნდა შეჩერდეს კავბიუროს მეტისმეტად ბუნდოვანი დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სანამ საქართველოს და სომხეთის საბჭოები არ მოწყობილან და ფედერატიული გაერთიანების გატარება ცენტრალურ ისპოლკომების საშუალებით არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ერთი ბიუროკრატიული აპარატი მეტი, და არავითარი ნდობა მასაში.

3 – უნდა შეჩერდეს კავბიუროს დადგენილება საქართველოს წითელი არმიის მოსპობის შესახებ, მოიხსნას ელიავა სამხედრო კომისრობიდან და მიეცეს სამართალში.

4. უნდა მიეცეს სპეციალური დირექტივები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის დადგენილებათა გატარების შესახებ, როგორიცაა: ა) დანიშვნის სისტემის უარყოფა და არჩევნების წესზე გადასვლა,

ბ) სამხედრო კომუნიზმის დროის მეთოდებისა და ჩვეულებათა უარყოფა, ე. ი. წმინდა პარტიულ და საბჭოთა საქმეებში ბრძანებების მოსპობა

გ) პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა სავალდებულო კრებებზე წინასწარ საკითხების გარჩევა - დისკუსია პარტიის ფარგლებში და კრიტიკის სრული თავისუფლების მინიჭება იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ ყველასათვის სავალდებულო დადგენილება არ გამოტანილა.

5. კავკასიაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, ჩვენ საქმე გვაქვს უკიდურეს თავისებურებასთან, მეტისმეტად რთულ პირობებთან, ამიტომ საჭიროა რ.კ.პ.ც.კ. კავბიურო შეიქმნეს მოსაშველე და მომწესრიგებელ ორგანოდ კავკასიაში; საჭიროა მან გამოიჩინოს უდიდესი სიფრთხილე ყველა მნიშვნელოვან ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის დროს. ამასთანავე ადგილობრივ ცეკას უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს აპელაციით, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას, ისე ყრილობასაც. სასურველია, რომ კავბიურო, რომელიც მომავალში აუცილებლად არჩეულ უნდა იყოს, უფლება და მოვალეობანი სავსებით გამოირკვეს.

6.. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს და რევკომებს ადგილობრივ საკითხებში მიეცეს სრული დამოუკიდებლობა.

7. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთ შორის და რუსეთის ს.ს.ფ.რ. ეკონომიური გაერთიანება შესაძლებელია დაუყოვნებლივ და უმტკივნეულოდ გატარდეს იმ გზით, რომ გაერთიანდეს ეკონომიური მოქმედება ცალ-ცალკე რესპუბლიკების ნარკომატების ხელშ-

კრულების ან კონვენციის საფუძველზე, რომელზედაც საქმიანი ხელშეკრულებანი უფრო ჩქარა მოუმზადებენ (სხვათა შორის , ამასვე მიგვითითებდა ამხ. სტალინიც) ნიადაგს ამ რესპუბლიკების სავსებით და მტკიცედ გაერთიანებისას ასეთი ხელშეკრულების ნიმუშად გამოდგება ამ ახლო ხანში დადებული ხელშეკრულება რუსეთის და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატებს შორის. რაც შეეხება სამხედრო ძალების გაერთიანებას, ეს უკვე ფაქტიურად განხორციელებულია ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, — სხვანაირად არც შეიძლებოდა. სხვა ზომებს მე აქ არ ვასახელებ.

მე ვგრძნობ და მესმის, რომ ახლანდელი ხელმძღვანელი ორგანო — კავბიურო — ტაქტიკა აუცილებლად უნდა შევცვალოთ, თუ გვინდა მასების ნდობა დავიმსახუროთ, თუ გვინდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ისინი მოვიზიდოთ. ახლა კი ჩვენ, პირიქით, ჩვენს გარშემო ყველას ხელს ვკრავთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ძალებზე და ვერ ვაფასებთ მოწინააღმდეგეთა ძალებს."

მოსკოვი, 6 დეკემბერი 1921 წ. ფილიპე მახარაძე

(„თავისუფალი საქართველო" № 24 , 1922 წ.)
(ფილიპე მახარაძის ეს მოხსენება ინახება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში)

---

ყველა ეს მასალა ამოღებულია "კრებულიდან":

ქარლო ინასარიძე



INDEPENDENT GEORGIA

# პატარა „ოქროს ხანა"

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

1918-1921

რადიოდოკუმენტაცია

მიუნხენი 1984 წელი

# პუბლიცისტიკა

## "ნუ დაივიწყებთ საქართველოს!"

"ნუ დაივიწყებთ საქართველოს!"

"ნუ დაივიწყებთ საქართველოს!" - "შთაბეჭდილებანი ერთი ქვეყნიდან - სავსე სიმდიდრეებითა და სილამაზით",- ასეთი სათაური და ქვესათაური აქვს შვეიცარიული დიდი გაზეთის -"ნოე ციურხერ ცაიტუნგის" კორესპონდენტის მათიას მეხმერის წერილს თბილისიდან, რომელიც გამოქვეყნებულია 2000 წლის 11 დეკემბრის ნომერში, და რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

"საქართველოს რესპუბლიკა არა მხოლოდ პოლიტიკურად დგას დაშლის საშიშროების წინაშე, არამედ, ამავე დროს, ესაჭიროება დააღწიოს თავი უფსკრულს სახელოვან წარსულსა და უიმედო აწმყოს შორის. ქვეყანა კავკასიის სამხრეთში, რომელიც ძველად გადაჯაჭვული იყო ევროპას, განსაკუთრებით საბერძნეთის კულტურის ისტორიასთან, ხიდისთავი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, იძულებულია დღეს, საბჭოთა კავშირის დამხობის ათი წლის შესრულების შემდეგ, სრულიად ახლად მოაწესრიგოს თავისი ცხოვრება".

მართალია, მათიას მეხმერი, ისე როგორც თითქმის ყველა დასავლეთ ევროპის პუბლიცისტები თუ მწერლები, მხოლოდ ფრიდტიოფ ნანსენის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ალექსანდრე დიუმას, მაქსიმ გორკის თუ პასტერნაკის აზრებს მოიგონებს საქართველოს შესახებ, მაგრამ მაინც კარგია, რომ საქართველოს დღევანდელ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობას კავკასიის მე-19-მე-20 საუკუნეების— მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის—ბედს უკავშირებს:

"ლენინმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ საქართველო ადვილი ჩასაყლაპავი არ იქნებოდა რუსეთის დათვისათვის. ნაჭერ-ნაჭრად უფრო ადვილი იქნებოდა მისი გადაყლაპვა; ეს იცოდენ სსრკ-ს შემქმნელებმა; ამის შედეგად კავკასიაში საზღვრები "დივიდე ეტ იმპერა" - "დაანაწილე და იბატონე" პრინციპით იქნა გავლებული და ოცდა-ათ-ჯერ შეცვლილი. მოსკოვის მიერ ეშმაკურად მოგონილი და განხორციელებული მონოკულტურის შექმნამ ცალკეულ რესპუბლიკებში, წარმოშვა სასურველი გადახლართვა ცენტრთან, რის შედეგების წინააღმდეგ გამოსავალს ეძებენ არა მარტო საქართველოში."

მაგრამ მათიას მეხმერი იქვე ამბობს:

"თუმცა მცდარი იქნებოდა თუ ვიფიქრებთ, რომ რუსეთის გარეშე შესაძლებელია ამ უფსკრულიდან ამოსვლა; მოსკოვის გარეშე გასავლელი გზა არ არსებობს."

და-ბოლოს,- დოქტორი მათიას მეხმერი, რომელიც არის წმ. გალენის უნივერსიტეტის მეცნიერ-ასისტენტი, - დასძენს:

"ხშირად ამ ქვეყნის მდგომარეობა ყველაზე უფრო ზუსტად მჟღავნდება პარადოქსულობაში: ადგილობრივი ინტელექტუალები ასახავენ მათ სამშობლოს როგორც 'დაკარგულ სამოთხეს' ან 'ქვეყანას სავსეს სიმდიდრეებითა და სილამაზით'. ქართველები, რომელთა ისტორია და კულტურა განსაკუთრებულად

ჩამოყალიბებულია გარეგანი გავლენებით, მათ საკუთარ ლიტერატურაში იპოვნიან ნუგეშსა და ძალას მომავლისათვის, როგორც ეს წარსულში მოიმოქმედეს. კულტურის შემქმნელების წინაშე, ამ 'პოეტების ქვეყანაში', დგას არა მარტო აუარებელი სამუშაო კარის წინ, არამედ აგრეთვე ნიჭიერი ხელოვანები და ინტელექტუალები. ამ უკანასკნელთათვის, – ვთქვათ, მოსკოვში გავრცელებული ცინიზმის მიუხედავად, – უცხოა სასოწარკვეთილება".

როგორც ვხედავთ, პოსტბოლშევიკური მოსკოვი დასტირის 'პოეტების ქვეყნის" დაკარგვას და ამგვარ ბოლმას ცინიზმში ახჩობს, ცინიზმში, რომელსაც, როგორც ჩანს, უარსაყოფად არ მიიჩნევს თვით მათიას მესმერიც კი.

<u>კ.ი., პარიზი, 2001 წელი.</u>

## <u>ა. სოლჟენიცინი: რუსეთის გეოგრაფიული საზღვრები</u>

### ალექსანდრე სოლჟენიცინი: რუსეთის გეოგრაფიული <u>საზღვრები</u>

ნობელის პრემიის ლაუარეატმა – ალექსანდრე სოლჟენიცინმა – ინტერვიუ მისცა გერმანიის ცნობილ ჟურნალ "შპიგელს"("შპიგელ",10, 2000 წელი, გვ.192), რომელშიც კორესპონდენტის შეკითხვაზე თუ სად გადის რუსეთის გეოგრაფიული საზღვარი, – <u>სოლჟენიცინმა</u> უპასუხა:

"...ჩეჩნეთი, უკვე 1990 წელს ვთქვი, არის რეგიონი, რომელიც რუსეთისაგან დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს. ამიერკავკასიის რეგიონსაც უნდა მიეცეს ეს შესაძლებლობა...ბალტიის ქვეყნებსაც უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი საკუთარი გზა ჰქონდეთ. ბელორუსიის ჩამოშორება რუსეთიდან კი მე მტკივნეულ დარტყმად ვიგრძენი."

<u>შპიგელის კორ.:</u> "ახლა ბელორუსიას სურს რუსეთთან შეერთება. მაგრამ საკითხია უკრაინა".

<u>სოლჟენიცინი:</u>"უკრაინის ჩამოშორება რუსეთიდან მტკივნეულია ჩემთვის. მე ვაღიარებ მთლიანად და ურეზერვოთ უკრაინის უფლებას განავითაროს თავისი კულტურა და საკუთარი ენა. მაგრამ ჩვენ ვართ მილიონობით, პიროვნული ბედით ერთმანეთთან დაკავშირებული. უკრაინის მოსახლეობის 63 პროცენტი ლაპარაკობს რუსულად...აქ უნდა მოქმედებდეს ნათესაობის პრინციპი კულტურებსა და ერებს შორის მაგრამ რუსეთი არის დიდი, რომელსაც არ ესაჭიროება ექსპანსიასა და საზღვრების გაფართოებაზე ფიქრი, არამედ უზარმაზარი რუსეთის ათვისება, ვთქვათ, ციმბირისა, რომელიც დაუსახლებელია".

"...ჩეჩნეთში სამარცხვინო ომი დამთავრდა სამარცხვინო კაპიტულაციით 1994 წელს. ამის შემდეგ ჩეჩნებს შეეძლოთ საკუთარი სახელმწიფო აეშენებინათ. მაგრამ ამის სანაცვლოდ დაიწყეს მათ უცხოეთიდან შემოტანილი იარაღით მუსლიმანური უცხო ძალების საწვრთნელი ბანაკების შექმნა. ჩეჩნეთი გახდა მსოფლიო პრობლემა. მეტაკებები რადიკალურ ისლამისტებსა და ე.წ. პირველი მსოფლიოს ძალებს შორის...ეს არის 21-ე საუკუნის მუქარა..." "ჩეჩნები არიან საუკეთესო მეომრები, ამაყი, მედგარი ხალხი, რომელთანაც საბჭოთა რეჟიმს რთული პრობლემები ჰქონდა, რომლის მოგვარებას მთელი ხალხის დეპორტაციით შეეცადა..."

<u>"შპიგელ",10, 2000 წ., გვ.192.</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ-უახლეს ლტოლვილთა რაოდენობა უცხოეთში

## ანზორ თოთაძის ცნობები ("ს.რ.", 21.9.1999 წ.).

ქართველთა არც ისე მცირე ნაწილი ამჯობინებენ უცხოეთში ცხოვრებას, რომლის მიზეზი, როგორც ჩანს, უფრო ეკონომიკური, ვიდრე პოლიტიკური მდგომარეობაა, რომელიც სუფევს საქართველოში. ამის ცნობებს გვაწვდის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე – ანზორ თოთაძე, რომელიც, -ეხება რა საქართველოს დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობას საერთოდ, -სხვათა შორის, წერს:

5.

"როდესაც აცხადებენ, რომ თითქოს ქვეყანა დატოვა მილიონნახევარმა, ორმა, სამმა მილიონმა კაცმა, ეს მეტად განსხვავებული ციფრები თვითონ მეტყველებენ იმაზე, რომ მონაცემები განგებ, წინასწარგანზრახულადაა დამახინჯებული. ხშირად ამ საკითხით სპეკულაციას ეწევიან ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები".

ანზორ თოთაძე განაგრძობს:
"მოსახლეობის 1989 წლის აღწერით საქართველოში 5,4 მილიონი კაცი ცხოვრობდა. ...როგორც ცნობილია, საქართველოს მიგრაციის ძირითადი ნაკადი რუსეთზე მოდის. მეცნიერთა გამოანგარიშებით ეს მაჩვენებლები 75 პროცენტს უდრის. 1990-1996 წლებში ანუ შვიდი წლის განმავლობაში რუსეთში საქართველოდან წავიდა 357-ათასი კაცი. ამასთან უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მიგრაცია პირუკუ პროცესსაც გულისხმობს. აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით ამ პერიოდში სულ საზღვარგარეთ(რუსეთის ჩათვლით) საცხოვრებლად წავიდა 400-ათასამდე კაცი. წასულთა შორის ქართველთა რაოდენობა მცირეა, დაახლოებით 20 პროცენტი. ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში და დაბადებულ ბავშვთა შორის მნიშვნელოვნად ამაღლდა ქართველების წილი. აღსანიშნავია, რომ მიგრაციული პროცესები ჩვენთან შედარებით უფრო ინტენსიურია ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში. 1989-1996 წლებში რუსეთში საცხოვრებლად წავიდა 326 ათასი სომეხი და მხოლოდ 66 ათასი ქართველი".

"ს.რ.", 21.9.1999 წელი

## რა უნდა ვიცოდეთ?..

„ყველამ ერთად და თვითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე".

ილია ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება

მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება

## შოგონება თუ მეცი?!..

### 1.

"მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება" გამოიწვია ჩემში მამა ბასილის მიერ ჩატარებულმა ქართულმა წირვა-ლოცვამ წმინდა გიორგის კათოლიკურ ეკლესიაში, მიუნხენში, მილბერტჰოფენის უბანში, რომელსაც 100-ს მლოცველზე მეტი ქართველობა, უმთავრესად ახალგაზრდობა, დაესწრო; და სწორედ ეს იყო ჩემი "მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება", ვინაიდან სწორედ ამ კვირა-დღეს, 2001 წლის 10 თებერვალს, დილის 10 საათზე, წირვაზე გავიგე, რომ მიუნხენში ორასამდე ქართველი, უმთავრესად სტუდენტებია, რაც - თავის მხრივ - ქართველთა სათვისტომოს "განახლებას" უდრის.

### 11.

ვლაპარაკობ "განახლებაზე" იმიტომ, რომ მიუნხენში ქართული სათვისტომო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა, როცა ქართველ "ძველ" და "ახალ" ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა მიუნხენში მოიყარა თავი, რომლებიც დუხჭირ მდგომარეობაში იყვნენ და ევროპიდან შორეულ ამერიკაში გადასახლებაზე ზრუნავდენ, რომლის შედეგად ქართველთა დიდი უმრავლესობა ჯერ აგრენტინაში, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდენ და იქ შეეცადენ ყოფაცხოვრების მოგვარებას, რადგან, იმ დროს, არავითარი იმედი არ არსებობდა, რომ ჩვენ შეგვეძლო სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება; თუმცა მეორე მსოფლიო ომის შედეგად უცხოეთში მყოფი ქართველობის დიდი, დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირში მაინც დაბრუნდა და ციმბირის "გულაგების" გზას გაუყენეს; რომელთაგან თითო-ოროლამ თუ შესძლო სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება.

### 111.

ამგვარად, მიუნხენში ქართული სათვისტომო, 40-იანი წლების მიწურულში, მეტად შესუსტდა, თუმცა განსაზღვრული "გამოცოცხლება" დაეტყო მას, როცა მიუნხენში, 1952 წლის [illegible], დაარსდა რადიოსადგური "განთავისუფლება" და შეიქმნა, აშშ-ს მფარველობისა ქვეშ, ასე ვთქვათ, ანტიბოლშევიკური პოლიტიკური ცენტრი, რაც "ცივი ომის" გამწვავებისაკენ მიუთითებდა.

### 1V.

ამგვარადვე რადიოსადგურ "განთავისუფლების", რაც 60-იან წლებში "თავისუფლებად" გადაკეთდა, - ქართულ რედაქციაში თავი მოიყარა ქართველ "ძველ" და "ახალ" ემიგრანტთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წლები) იუსტიციის მინისტრი - რაჟდენ (მიშა) არსენიძე, გამოზრძმელილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი დაღი დაასვა არა მარტო ქართული რადიორედაქციის ქართული რედაქციისა და, საერთოდ, რადიო "განთავისუფლების" რაობას, არამედ ზეგავლენა მოახდინა ქართული სათვისტომოს რაობაზედაც, რადგან იგი (არსენიძე) მოვლინებული იყო დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წლები) ეროვნული მთავრობის მიერ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, რომელიც მაშინ პარიზში ცხოვრობდა, ეროვნული მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, და 1953 წლის იანვარში გარდაიცვალა.

### V.

ქართული სათვისტომოს დამაარსებელი და სათვისტომოს გამგეობის თავჯდომარე იყო ალექსანდრე (სანდრო) კორძაია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იყო ფოთის ქალაქისთავი, სანამ იგი იძულებული გახდებოდა დაეტოვებია საქართველო, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუდებელი საქართველო დაიპყრო რუსეთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სათვისტომოს თავჯდომარეები იყვნენ, დაწყებული 1945 წლიდან,
სანდრო(ალექსანდრე) კორძაია........................1945-1957 წლები;
გიორგი მაღალაშვილი...............................1957-1960 წლები;
ვანო ანდრონიკაშვილი..............................1960-1963 წლები;
ნიკო ნაკაშიძე....................................1963-1967 წლები;
გიორგი ვეფხვაძე..................................1967-1984 წლები;
და დღეს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეა ქრისტეფორე კირკიტაძე - დაწყებული 1984 წლიდან.

წარმოიდგინეთ, მიუნხენში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, არა მარტო ქართული სათვისტომო, არამედ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციაც არსებობდა, რომლის წევრები ვიყავით მხოლოდ ხუთი კაცი - გაიოზ მაღლაკელიძე(შალვა მაღლაკელიძის შვილი), ნინო(!) მეტრეველი, ცნობილი გამომცემელის, არჩილ მეტრეველის ქალიშვილი, თინა აღშიბაია, გ. მაღალაშვილი, ცნობილი "მილიონერის" გიორგი მაღალაშვილის შვილი, და მე; და მიუხედავათ ჩვენი სიმცირისა, 1948 წელს, მიუნხენში, ცნობილ სასტუმრო "ბაიერიშერ ჰოფის" "სარკეების დარბაზში" ავღნიშნეთ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 30-ი წლისთავი, რასაც განსაკუთრებული ხასიათი მისცა იმ ფაქტმა, რომ ამ დღესასწაულს ესწრებოდა არა მარტო უამრავი ქართველობა, რომლებიც მაშინ მიუნხენში ცხოვრობდენ, არამედ აგრეთვე პროფესორი ალექსანდრე ნიკურაძე,(ცნობილი ქართველ-გერმანელი პროფესორის ივანე ნიკურაძის ძმა, რომელიც ითვლებოდა ე.წ-ლი "შროუმუგლერე-ს" თეორიის შემქნელად) და პროფესორი მიშა(მიხეილ) ახმეტელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ითვლებოდა "აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის" დირექტორად, ინსტიტუტისა, რაც ასრულებდა "ფიურერის მთავარი ბინის" ("ფიურერ-ჰაუპტ-კვარტიერ") მრჩეველის როლს.

და ქართული სათვისტომო ისე შეცვალა ბუნების კანონმაც, რომ მის წევრთა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია...და ასეთ პირობებში, ვფიქრობ, გასაგებია "მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება" რაც გამოიწვია ჩემში აღნიშნულ წირვა-ლოცვამ მიუნხენის მილბერჰოფენის უბნის წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელსაც 100-ზე მეტი ქართველობა ესწრებოდა.

VI.

წირვა ჩაატარა, როგორც ავღნიშნე, მამა ბასილმა, რომელიც, როგორც აღნიშნეს, ცხოვრობსა და მოღვაწეობს ამჯერად სტრასბურგში და ემსახურება იქ ევროპის საბჭოში მომუშვე და სხვა ქართველობას, და [illegible] სრულიად საქართველობის კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის - ილია II-ეს ლოცვა-კურთხევით, - თვეში ერთხელ ეწვევა მიუნხენს და გაუწევს სულიერ მამობას აქ მცხოვრებ ქართველობას, რაც, გასაგებია, მისასალმებელია.

VII.

საჭიროა მხოლოდ საქმის ორგანიზაციული მოწესრიგება, რომ თავიდან იქნას აცილებული საერო და საეკლესიო საქმეების ერთმანეთში არევდარევა, რომ "ერი და ბერი" ერთ ეროვნულ მთლიანობად იქცეს. დღეს ეს ადვილი განსახორციელებელია, რადგან საქართველო უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, დაწყებული 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. დავივიწყოთ, მივივიწყოთ "პოლიტიკური ცდუნებანი", როცა ქართული სათვისტომო მიუნხენში იმდენად "გაიყო", "შესუსტდა", რომ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისს - მხოლოდ რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის გარშემო თავმოყრილი ქართველობა აღნიშნავდა; მიუნხენის ქართულმა სათვისტომოს კი მხოლოდ 1984 წლის 26 მაისიდან "გაბედა" ჩვენი ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა, რითაც ბოლო მოეღო ისედაც მცირერიცხოვანი სათვისტომოს წევრთა დანაწევრებას. ვითომ ჩვენში ამგვარი "ცდუნება" გარდალახულია?..

VIII.

არ დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთს დიდი დიასპორა გააჩნია მსოფლიოს მრავალ მხარეში, რაც, გასაგებია, ხელს უწყობს აწ უკვე დამოუკიდებელი სომხეთის სახელმწიფოს განმტკიცებას. ჩვენს მეორე მეზობელ სახელმწიფოს - აზერბაიჯანს - შეუძლია დაეყრდნოს თურქულ სახელმწიფოებს განსაკუთრებით თურქეთს, რასაც ემატება ისიც, რომ აზერბაიჯანი მდიდარია ნავთობით. ჩვენ, ქართველობას, საქართველოს არც ძლიერი დიასპორა, არც ნავთობი არ გაგვაჩნია და არც ჩვენი მეზობლები - რუსეთი თუ თურქეთი, გამოიდებს თავს ჩვენს დახაცავად. ამიტომ ამბობენ აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში: "სომხეთს გააჩნია უცხოეთში დიდი დიასპორა, აზერბაიჯანს - ნავთობი, და საქართველოს მხოლოდ შევარდნაძეო!" ამგვარმა "კახანდრას ძახილმა" გამოიწვია ის, რომ თვით შევარდნაძესაც უფრო მეტი მტერი ჰყავს საქართველოში, ვიდრე საქართველოს დესტაბილიზაციით დაინტერესებულ მეზობელ "დიდ" ქვეყანაში; და ქართველთა უთანხმოების ეს ავადმყოფობა მოედვა უცხოეთში მცხოვრებ ქართველობასაც, რაც ყველაზე უფრო მჟღავნდება პარიზის ქართველობაში, სადაც დღემდე ერთობა ვერ დამყარდა ქართულ სათვისტომოს, წმინდა ნინოს ეკლესიას და საქართველოს სადროს შორის იმდენად, რომ "ერმა და ბერმა" ერთად ვზიდოთ ეროვნული ტვირთი საქართველოს, ქართველი ერის სადიდებლად.

X.

რა თქმა უნდა, დემოკრატიის პირობებში აზრთა სხვადასხვაობა, აზრთა და მიმართულებათა ჭიდილი ნორმალური მოვლენაა, მაგრამ მტრობა?.. მტრობას ხომ ჩვენში, ქართველობაში, საქართველოში "უცხო ძალები" ნერგავდნენ და ნერგავენ, რომ ამღვრეულ წყალში თევზები ადვილად დაიჭირონ?.. "თევზები" სხვა უნდა იყვნენ თუ არა ისევ ჩვენ, ქართველები, რომლის უახლესი მწარე გაკვეთილია აფხაზეთი და შიდა ქართლი, რომელსაც ქართველთა გენოციდი და სამას-ათასამდე ლტოლვილი მოყვა, როცა "უცხო ძალებმა", ეთნიკური კონფლიქტის ნიღბით, ქართველობა აყარა ჩვენს მირძველ მიწებიდან აფხაზეთსა და შიდა ქარლში და ქართველობა ლტოლვილი გახადეს თვით საქართველოშივე?.. ამგვარი "დაბნეულობის" შედეგი ხომ არ არის ქართველთა ბედი ემიგრაციაშიც საერთოდ!..

XI.

თუ საქართველოს მე-20 საუკუნის ფარგლებში დავრჩებით, ქართველობის დიდი ტალღა უცხოეთში მოხვდა 1921 წლის 25 თებერვლიდან, როცა ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და საქართველოს ეროვნული მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, - იძულებული გახდა დაეტოვებია საქართველო - საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილების საფუძველზე, და თავი შეაფარა "თავისუფლება, თანასწორობა, ერთობის" ქალაქს - პარიზს, მრავალ ქართველ პოლიტიკურ ლტოლვილებთან ერთად. გერმანიაშიც, იმ დროს, გაძლიერდა ქართველპოლიტიკურ ლტოლვილთა სათვისტომო, რომლის დროს ქართველ პოლიტიკურ ლტოლვილთა რიგებში იყვნენ ისეთი გამოჩენილი პირები და მოღვაწენი, როგორიც იყვნენ, სხვა მრავალთა შორის, ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე - გრიგოლ რობაქიძე - თუ გამოჩენილი პროფესორი და პოლიტიკური მოღვაწე - მიხეილ წერეთელი. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, ემიგრაციას შეუერთდა უმთავრესად სამხედრო ტყვეები, რომელთა ემრავლესობიდან გერმანიის ვერმახტმა შექმნა "ქართული ლეგიონი", ე.ი. ქართული ბატალიონები, რომლებიც, როგორც გერმანიის ვერმახტის სამხედრო ნაწილები, ჩართული იყო საომარ ბრძოლებშიც კი, უმთავრესად აღმოსავლეთის ფრონტზე. ამ პრობლემის ღიათ განხილვა საბჭოთა კავშირში და ამით საქართველოშიც "ტაბუ"-"აკრძალული საკითხი" იყო ბოლშევიკების დროს, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის ვერმახტმა შექმნა არა მარტო სსრკ-აში მოქცეული ერების სამხედრო ბატალიონები, და, მათ შორის, "ქართული ლეგიონი", არამედ გენერალ ვლასოვი ე.წ-ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"რუსეთის განმათავისუფლებელი არმია", რომლის რაოდენობას ერთი მილიონამდე ჯარისკაცით განსაზღვრავდენ.

XII.

ქართულ ლეგიონერთა, ე.ი. გერმანიის ვერმახტის ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა დღესაც უცნობია, რადგან ქართული დანაყოფები, სულ დიდი,ბატალიონის ფორმით, ჩაქსოვილი იყო ვერმახტის პოლკებში თუ დივიზიებში, რის შედეგად ქართველ ლეგიონერთა რაოდენობას საერთოდ - ზოგიერთები 50-ათასი, ზოგიერთები კი 30-ათასი ჯარისკაცებით განსაზღვრავენ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კი, ქართველ ლეგიონერთა დიდი ნაწილი ბოლშევიკების ხელში ჩავარდა,რომლებიც "გულაგის არქიპელაგის" ქსელში მოექცენ ციმბირში. ქართველ ლეგიონერთა მცირე ნაწილი კი ემიგრაციაში მოხვდა, და ამით პოლიტიკური ლტოლვილის ბედი გაინაწილა, თუმცა "ტყვეს" იარლიყი მაინც ვერ მოიცილა ათეული წლების განმავლობაში, რაშიც მღაანვდებოდა ყოფილ გერმანულ ლეგიონერთა პოლიტიკური "განსაკუთრებულობა".

XIII.

მაგონდება ქართული სათვისტომოს სალმრავალი კრება ბერლინში, 1942 წლის მიწურულში, რომელსაც დავესწარით, შალვა მაღლაკელიძის "ნებართვით" ოთხი ლეგიონერი - ილია კუჭუხიძე, ლეო ხუროძე, ილო ცატიშვილი და მე, რა თქმა უნდა, გერმანული სამხედრო ფორმით. გარკვევისათვის: წითელ არმიაში გამიწვიეს მე 1940 წლის 7 მაისს, 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომლის დროს უკვე ფრონტზე ვიყავი, 1941 წლის 5 აგვისტოს ჩავარდი ტყვედ...ტყვეთა ბანაკის "ჯოჯოხეთს" გადამარჩინა ირაკლი ყვანიამ, რომელიც იყო სამხედრო ბანაკის "ტყვე უფროსი",გერმანელ კომენდანტის გვერდით. ამ 92-ათასიან სამხედრო ტყვეთა ბანაკში ქართველები ვიყავით 1400 კაცი, რომელთაგან აგვისტოდან-ნოემბრამდე შიმშილით დაიხოცა ათას კაცზე მეტი, რის შედეგად 92-ათასიან ტყვეთა ბანაკიდან, ნოემბრის ბოლოს ცოცხალი იყო, როგორც ამბობდენ, სულ 12-ათასი კაცი. 1942 წლის აპრილში წაგვიყვანეს ვეზოლაში - ვარშავის ახლო -, ჩაგვაცვეს ჯერ ფრანგული ჯარისკაცის მუნდირი, რადგან გერმანული მუნდირი არ ჰქონდათ, და შემდეგ - გერმანული მუნდირი; და ახე გაგვხადეს გერმანელი ჯარიკაცი. და, როცა ქართული ლეგიონის პირველი ბატალიონი, შალვა მაღლაკელიძის "თარჯიმანობით" და გერმანელი ოფიცრობის მეთაურობით,დაბა ვეზოლიდან დაბა ზელიონკაში, ისევ ვარშავის ახლოს, გადაგვიყვანეს შალვა მაღლაკელიძის შვილი - გაიოზი - ჩამოვიდა ვეზოლაში, შემდეგ ზელიონკაში, და სამი ქართველი ლეგიონერი - ლეო ხუროძე, ილო ცატიშვილი და მე - წაგვიყვანა ბერლინში ქართული გაზეთის -"საქართველოს" - რედაქციაში სამუშაოდ, რომლის დროს დაგვაბინავეს "დიდი გერმანიის ბატალიონის" სამხედრო ყაზარმებში, სადაც განლაგებული იყო "რაისკანცელარიის", ე.ი. ჰიტლერის კანცელარიის სამხედრო დაცვის ბატალიონი. და, აი, ასე მოულოდნელად მოვხდი ბერლინში, ქართული სათვისტომოს სალსმრავალ კრებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული სათვისტომოს თავჯდომარე ბერლინში - ტიტე მარგველაშვილი(1). და ეს კრება იმიტომ ჩამრჩა მახსოვრობაში, რომ აქ პირველად ვნახე მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომლის "ლამარადან" სკოლაში მოწაფეები ნაწყვეტებს ვამბობდით -"აი, მთაზედა, თოვლიანზედა; ია დავთესე,ვარდი მოსულა..." -, თუმაც "ლამარას" ტექსტი დაბეჭდილი საქართველოში მე არ მინახავს; თუ საერთოდ იყო დაბეჭდილი!.. ქართველთა ამ კრებაზე შეტაკება-შემოტაკებას ჰქონდა ადგილი "თეთრი გიორგის" შესახებ, რომლის დროს ერთმა, ჩემთვის უცნობმა, "ტყვემ", ე.ი. ჯარისკაცმაც ჩაერია დავაში და გულუბრყვილოდ თქვა: ნუ ვდავობთ ამ საკითხზე; ჯერ საქართველოში ჩავიდეთ, საქართველოს დამოუკიდებლობა აღვადგინოთ, და მერმეთ განვსაღვროთ გიორგი თეთრი იქნება თუ წითელი!.. ამან ისე აალელვა გრიგოლ რობაქიძე, რომ ის წამოვარდა სკამიდან და მისთვის ჩვეული "ექსპრესიონისტული მანერით" დაიყვირა:[2]"გიორგი იყო თეთრი და დარჩება თეთრი;

წითელი გიორგი იქ გყავთ, იქ!" როგორც ჩანს, ჩვენმა ლეგიონერმა, ისე როგორც მე, იმ დროს არც კი იცოდა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა სწორედ "თეთრი გიორგი" იყო, რომელსაც, ქართველი ისტორიკოსების აზრით, სულ ცოტა შვიდი-ათასი წლის ისტორია გააჩნია.

XIV.

მომაგონდა აგრეთვე ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოქმედება ბერლინში, ჟენევაში თუ ლონდონში პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდსა და თვით მსოფლიო ომის დროს, რის შესახებ ცნობილია, სხვა მრავალთა შორის, პროფესორ მიხეილ(მიხაკო) წერეთლის მოგონება "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მოღვაწეობის შესახებ, რომლშიც პირველი მსოფლიო ომის შესახებ ნათქვამია: "თვით ის პოლიტიკური პარტიებიც კი, რომელნიც დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან ეჭვებოდათ გერმანიის გამარჯვება, მტრულად არ უყურებდენ ბერლინის კომიტეტს. ცნობილია, რაც უთხრა ნოე ჟორდანიამ გიორგი მაჩაბელს - დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ; ჩვენ კი ვიმუშავებთ აქ; ვნახოთ რა იქნება".("ბედი ქართლისა", 1962 წ., პარიზი, 39-40 ნომერი).

XV.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, 1918 წლის 26 მაისის, შემდეგ, ბერლინში გაიხსნა საქართველოს საელჩო; ელჩად კი დანიშნულ იქნა ლადო ახმეტელი, რომლის დროს ბერლინში უფრო მრავალრიცხოვანი გახდა ქართველთა სათვისტომო, რომელიც არსებობდა ბერლინში მანამ, სანამ წითელი არმია დაიპყრობდა ბერლინს, 1945 წლის მაისში.ამით შეწყდა ქართულ სათვისტომოს არსებობა ბერლინში, და ქართველ ემიგრანტთა ის ნაწილი, რომელიც ბერლინში ჩარჩენ, რუსების ბატონობის ქვეშ მოექცენ, რომელთა სვებედი უცნობია დღესაც.

XVI.

მეორე მსოფლიო ომის დროს კი ბერლინში არსებობდა არა მარტო ქართული სათვისტომო თუ პოლიტიკური დაჯგუფებები, არამედ აგრეთვე "ქართული დამაკავშირებელი შტაბი" - "გეორგიშერ ფერბინდუნგსშტაბ"- Georgischer Verbindungssta რომლის მოვალეობა იყო ქართული ლეგიონის ჯარისკაცების მომსახურება "გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახმელეთო ჯარების" სფეროში, ე.წ-ბულ "ო-კ-ჰ"-"ობერკომანდო დეს ჰერეს" სფეროში - OKH-Oberkommando des Heeres -, რომელიც იმყოფებოდა ჰეგელის ქუჩა - 1-ში, ბერლინის უნივერსიტეტის უკან.

"ქართული შტაბი" მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, გადატანილ იქნა ქალაქ ზალცბურგში, სადაც თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა სამოქალაქო ლტოლვილებმაც, რომლებიც მიმოიფანტენ ავსტრიის სხვადასხვა ქალაქებში თუ დაბებში, და გადავიდნენ იტალიაშიც კი, როცა 1945 წლის 8 მაისს მეორე მსოფლიო ომი "ოფიციალურად" დამთავრდა.

XVII.

1991 წლის 9 აპრილიდან კი, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ ისევ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად, საქართველომ ჯერ გახსნა საელჩო ბონში, ხოლო ახლა, 2001 წლის 5 თებერვალს, აწ უკვე გაერთიანებული გერმაიის დედაქალაქ ბერლინში, რაც ოფიციალურადგახსნა საქართველოს ელჩმა გერმანიაში - ბატონმა კოტე გაბაშვილმა, რომლის დროს ბერლინს ეწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.და ველოდებით, რომ ბერლინშიც ჩამოყალიბდება უკვე ქართული სათვისტომო, რომელიც გააგრძელებს ქართულ სათვისტომოთა აწ უკვე ისტორიულ ტრადიციას არა მარტო პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროინდელი აღტკინებით, რის საბაბს გვაძლევს არა მარტო "მოულოდნელი შთამა-

გონებელი აღფრთოვანება", რომელიც (არა ამარტო მე) განვიცადე მამა ზახილის წირვა-ლოცვისას მილბერტჰოფენში, წმინდა გიორგის კათოლიკურ ეკლესიაში, მიუნხენში.

XVIII.

მაშ, შევუდგეთ "ერისა და ბერის" ერთობის განხორციელებას არა მარტო ჩვენს დედა-სამშობლო საქართველოში, არამედ უცხოეთშიდაც, რამდენად ხუხტი არ უნდა იყოს ჩვენი დიასპორა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში თუ ამერიკაში შორეულ არგენტინის ჩათვით, სადაც მრავალი ქართველი გადასახლდა მიუნხენიდან 50-იან წლებში.

XIX.

ახლა საჭიროა, რომ ქართული სათვისტომოს საქმეებს-მიუნხენში, ბერლინში, პარიზში, ლონდონში თუ ნიუ-იორკში- გაუძღვენ,უმთავრესად,"უახლესი ემიგრანტები"- იმყოფებიან ისინი დროებით თუ მუდმივად უცხოეთში. ჩვენთვის,უცხოეთში დროებით თუ მედმივად მცხოვრებ ქართველებისთვისაც ძალაშია "ერისა და ბერის" ერთობის მოთხოვნა, რაც ყოველ ქართველს ავალებს ხელი შეუწყოს ქართველთა ერთობას უცხოეთშიდაც.

XX.

და, აი, ამ რწმენამ გამოიწვია ჩემში "მოულოდნელი შთამაგონებელი აღფრთოვანება", როცა დავესწარი მამა ზახილის წირვა-ლოცვას მილბერტოფენის წმიდა გიორგის ეკლესიაში, მიუნხენში.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2001 წლის 10 თებერვალი

საქართველოს საელჩო გერმანიაში

# EINLADUNG

**Der Botschafter von Georgien in der Bundesrepublik Deutschland**

Dr. Konstantin Gabaschwili

gibt sich die Ehre

anläßlich der offiziellen Eröffnung der Botschaft von Georgien
in Anwesenheit von S.E. Herrn Irakli Menagarischwili,
Außenminister von Georgien
sowie von Abgeordneten des Parlaments von Georgien

zum Empfang am Montag, den 5. Februar 2001, von 16.00 bis 18.00 Uhr,
in die Botschaft von Georgien,
Heinrich-Mann-Straße 32, 13156 Berlin, einzuladen.

U.A.w.g. auf beiliegender Karte

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

### ჩეჩნეთი, აშშ და რუსეთი

როიტერის სააგენტოს ცნობით, რუსეთის მთავრობა გაილაშქრა კონტაქტების დამყარების წინააღმდეგ ჩეჩნეთის წარმომადგენლებთან აშშ-ს მთავრობის მიერ. პრეზიდენტ პუტინის სპიკერმა - სერგეი ჩასტჩემბსკიმ - განაცხადა, რომ ეს გამოიწვევს რუსეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობის გართულებას,- უწოდა რა აშშ-ს მიერ კონტაქტების დაპირებას "აბსოლუტურად მიუღებელი".

ომს ჩეჩნეთში რუსეთი განიხილავს როგორც რუსეთის საშინაო ბრძოლას მაჰმადიანური აჯანყებულების წინააღმდეგ. აშშ-ს ცნობს ჩეჩნეთს რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, მაგრამმოითხოვს ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტას პოლიტიკური გზით.

აშშ-მ კონტაქტები დაამყარა ჩეჩნეთის მთავრობასთან გაეროს გენერალური ასამბლეის დროს, ნიუ-იორკში, როცა ჩეჩნეთის "საგარეო საქმეთა მინისტრი" - ილიას ახმადოვი - აშშ-ში იმყოფებოდა და მოლაპარაკება აწარმოა აშშ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებთან.

როიტერის სააგენტო, 22.3.2001 წელი

### რუსეთმა შემოიღო ვიზა საქართველოს მოქალაქეებისათვის

რუსეთმა შემოიღო ვიზა საქართველოს მოქალაქეებისათვის; ამღენად "დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის" - "ეს-ენ-გეს" - ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ესაჭიროებათ ვიზა რუსეთში წასასვლელად. არაოფიციალური ცნობებით, რუსეთში ცხოვრობს ხუთასი-ათასიდან - შვიდას-ათასამდე საქართველოს მოქალაქე, ოფიციალური ცნობით კი ორას-ორმოცდა-ათ-ათასამდე(250 000) საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, რუსეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეები წლიურად [illegible] ზავნიან საქართველოში თავისიანებს 280 მილიონ დოლარს. ამ პირებს ემუქრება გაძევება რუსეთიდან ვიზის შემოღების შედეგად.

"მიტაილუნგსბლატ", ნომ.1-2, 2001 წ.

### საქართველოს ვალი

საქართველოს დავალიანება უცხოეთის სახელმწიფოებისადმი უდრის სულ ორ-მილიარდ დოლარს. აქედან საქართველოს ვალი აქვს - ("მ.ბ".,1-2,2001 წ.):

თურქმენეთის....................................393,5 მილიონი დოლარი;
რუსეთის........................................179,2 მილიონი დოლარი;
ავსტრიის....................................... 71,7 მილიონი დოლარი;
გერმანიის...................................... 51,2 მილიონი დოლარი;
აშშ-ს.......................................... 40,0 მილიონი დოლარი.

### ჟურნალი "შპიგელ" კავკასიის შესახებ

გერმანიის გავრცელებული ჟურნალი "შპიგელ"(2.4.2001) აქვეყნებს ცნობებს კავკასიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ცნობაში -"ამერიკის შეერთებული შტატების ფრონტალური შეტევა კავკასიაში" -, სხვათაშორის, წერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ-ს ჯორჯ ბუშის მთავრობა შეცვლაზე გადაწყვიტა რუსეთის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სამხრეთ ფრთაზე, რამაც ნერვიულობა გამოიწვია რუსეთში. პრეზიდენტმა ბუშმა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები - გაიდარ ალიევი და რობერტ კოჩარიანი მიიწვია მოსალაპარაკებლად ფლორიდის ქალაქ კეი ვესტში. აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა - კოლინ პაუელმა - მოუწოდა აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებს მშვიდობიანობა დაამყარონ მთიან ყარაბაღში.რუსეთი კი აშშ-ს ამგვარ ნაბიჯს განიხილავს როგორც "ძლიერ დარტყმას" უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წინააღმდეგ ევროპაში, რაც, კრემლის თქმით, მიმართულია იქითკენ, რომ კავკასია საბოლოოდ მოექცეს აშშ-ს გავლენის სფეროში.

მშვიდობიანობის დამყარება კარაბაღში კი, ამჯერად, შესაძლებელი ჩანს: საიდუმლო გეგმით, ყარაბაღი აზერბაიჯანის უფლებამოსილების ქვეშ დარჩება, მაგრამ საკუთარი კონსტიტუციით, საკუთარი ფულით და საკუთარი ეროვნული გვარდიით; უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის "ლურჯ-კასკებიან" შენაერთს, გერმანიის მონაწილეობით, შეეძლებათ ამგვარი შეთანხმების მეთვალყურეობის ფუნქციის შესრულება.

აშშ-მ მისი ინტერესების დაცვა კავკასიაში ნათელი გახადა აგრეთვე საქართველოშიც, რომელსაც ეწვია "ეფ-ბი-აის", ე.ი. აშშ-ს "ფედერალური გამოკვლევის ბიუროს" უფროსი ლუის ფრიი, რომელიც მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ნატოს ვიცე-სარდალმა, გენერალ კარლტონ ფულფორდმა - კი მიიღო ინფორმაცია საქართველოს რუსეთის უკანასკნელი ბაზების დახურვის შესახებ საქართველოში და შეპირდა მჭიდრო თანამშრომლობა ნატოსთან.

"დერ შპიგელ", ნომ. 14, 2001 წელი, გვერდი 135

# უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

2001 წლის 15 მარტი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0900 |
| გირვანქა სტერლინგი | 2,9866 |
| გერმანული მარკა | 0,9934 |
| ევრო | 1,9429 |
| ფრანგული ფრანკი | 0,2725 |
| იაპონური იენი | 0,1822 |
| იტალიური ლირა | 0,9232 |
| შვეიცარიული ფრანკი | 1,1457 |
| ჰოლანდიური გულდენი | 0,8112 |
| 10000 თურქული ლირა | 0,0305 |
| ავსტრიული შილინგი | 0,1299 |
| 10 ბელგიური ფრანკი | 0,4425 |
| დანიური კრონი | 0,2398 |
| ნორვეგიული კრონი | 0,2215 |
| ფინური მარკა | 0,3006 |
| შვედური კრონი | 0,2129 |
| 10 ესპანური პესეტა | 0,1074 |
| 100 ბერძნული დრაჰმა | 0,5306 |
| რუბლი | 0,0729 |
| 10 უკრაინული გრივნა | 3,6213 |
| 10 ყაზახური ტენგე | 0,1382 |
| 10 ბელარუსული მანეთი | 0,0198 |

რეზონანსი 2001 წლის 16 მარტი. პარასკევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

## გრიგოლ რობაქიძის – ჩვენი მწერლისა და მოაზროვნის დაბადების 120 წლისთავი

### გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიული ცნობები

გრიგოლ ტიტეს-ძე რობაქიძე დაიბადა 1881 წლის ოქტომბერში, სოფ. ობჩაში–დედულეთში. მამამისი–ტიტე–ცხოვრობდა სოფ. ჩხარი-ეწერში, ზემო იმერეთში(შორაპნის მაზრა). ჰქონდათ მუხის ძელური სახლი. იქვე 15 მეტრის დაშორებით იყო ეკლესია „გუდელისი", სადაც ტიტე რობაქიძე დიაკვნის როლს ასრულებდა. ამავე დროს ის იყო: წიგნების ამკინძველი, ბზის ხისაგან სეფისკვერების ფორმის გამომთლელი და საფლავების ქვებზე „ეპიტაფიების" მკვეთელი. –

გრ. რობაქიძემ წერა-კითხვა ისწავლა დაბა ჩხარის სკოლაში, შემდგომ შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ჰქონდა არაჩვეულებრივი ნიჭი და დიდი მეხსიერება. ქუთაისის სემინარიის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი გაემგზავრა რუსეთში. შევიდა იურიევის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ორი წლის კურსის მოსმენის შემდეგ, დატოვა იურიევი, გაემგზავრა გერმანიაში, ქ. ლაიფციგში დაამთავრა ფილოსოფიური ფაკულტეტი, გაბრუნდა რუსეთში–იურიევში და დაამთვრა იურიდიული დარგი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება საქართველოში, ცხოვრობს თბილისში, 10 დავით გურამიშვილის ქუჩაზე. დაიწყო ლიტერატურული შემოქმედება. იყო: პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და სხვა. დაწერა ქართულად რომანი „გველის პერანგი", „ამორძალთა დედოფალი", „ფალესტრა"(დაუმთავრებელი რომანი). დრამები: „ლონდა", „მალშტრემ", „ლამარა". მრავალი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები: ნიკო ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვაჟა ფშაველაზე, ალექსანდრე ყაზბეგზე და სხვაზე.

გრ. რობაქიძემ თარგმნა თავისი რომანი „გველის პერანგი" გერმანულად. წავიდა გერმანიაში, დარჩა იქ რვა თვე, დასტამბა, რომელსაც წინასიტყვაობა წაუმძღვარა ავსტრიელმა სახელმოხვეჭილმა მწერალმა, სტეფან ცვაიგმა. ამ რომანმა გერმანიაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. გრ. რობაქიძე რვა თვის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. თბილისში, „კონსერვატორიის" დარბაზში წაიკითხა მოხსენება „რვა თვე გერმანიაში", რომელსაც დაესწრო მთელი თბილისის ინტელიგენცია. ეს მოხდა 1928 წელში.

გრ. რობაქიძე 1930 წლის მიწურულში წამოვიდა ხელახლად გერმანიაში და ამ ჯერად ის იქ დარჩა 1945 წლამდის. ამ ხნის განმავლობაში გერმანულ ენაზე გამოსცა 7 რომანი, რომელთაც გერმანულმა პრესამ უმაღლესი შეფასება არგუნა...

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გრ. რობაქიძე გადიხიზნა შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, სადაც ის ცხოვრობდა უკანასკნელი 17 წელიწადი. პარიზში ქართულ ენაზე გამოდიოდა ჟურნალი „ბედი ქართლისა" გრ. რობაქიძემ იქ სხვადასხვა თემაზე დაბეჭდა 32 წერილი. მათ პარიზის ქართველობა კარგათ იცნობს.

1962 წელს, გრ. რობაქიძისგან მივიღე წერილი. მწერდა: „სანდრო აუცილებლად ამ ზაფხულზე ჩამოდი ჩემთან, ნიკოც წამოიყვანე(ნიკო ყურულიშვილი). აგვისტოში ჩავსხედით მანქანაში და გაუდექით გზას ჟენევისაკენ. 15 საათზე უკვე გრიგოლის ოჯახში ვიყავით. მიგვიღო არაჩვეულებრივად. სახლში შესვლისთანავე, მონატრებული ქართულ საუბარს, გვითხრა: დაჯექით, და დაიწყო ფილოსოფიაზე ლაპარაკი. ორი საათი ილაპარაკა... ნიკო საუბრის დროს ფეხზე წამოდგა. გრიგოლმა მიმართა: „ნიკო! დაჯექი, ხელს ნუ მიშლი... 17 დღე დავრჩით გრიგოლთან; სადილათ, ვახშმათ მასთან ვიყავი, ხანდახან დილის ორ საათამდის. გრძელი საუბრები სხვადასხვა თემაზე... დიდი ნასიამოვნები მოვბრუნდით – გზაში ერთმანეთს ვეუბნებოდით: გრიგოლი ას წელიწადს გადააბიჯებს. ისე კარგად იყო როგორც მუხის კუნძი! 15 ნოემბერს 1962 წელს მივიღე მისი უკანასკნელი ბარათი. გავხსენი–გრიგოლის სურათი. ეს იყო მისი უკანასკნელი ბარათი. 19 ნოემბერს მივიღე დეპეშა აწ განსვენებულ ნინო დადიანისაგან: „სანდრო, შვილო, გრიგოლი გარდაიცვალა. საჩქაროდ ჩამოდი." ასე მოულოდნელად გარდაიცვალა, მუდამ ქურასავით ანთებული ქართველთათვის. ის იყო სისრულის მაძიებალი. ამავე დროს პოეტური პროზის არაჩვეულებრივი ოსტატი...

ჟენევის გარეუბნის სასაფლაოზე, 1962 წლის 22 ნოემბერს, ზონარებით, გრიგოლ რობაქიძის ცხედარი ჩავუშვით სამარეში. დასაფლავებას დავესწარით ქართველებიდან: ნინო დადიანი, ხარიტონ შავიშვილი, კიტა ჩხენკელი, ნინო სალია, კალე სალია, ნიკოლოზ [illegible] მაყაშვილი, დიკა კედია, სანდრო ფანჩულიძე.

სანდრო ფანჩულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გრიგოლ რობაქიძე

1(14).10.1881(ჩხარი-ენერი, მორაპნის მაზრა)

19.11.1962(ქენევა)

## მშობელი მიწის მიმართ

მიდამო მკვდარი, გარუჯული ლანდების კუთხე.
ძველი საჯვარე, სურნელება დამჭნარი დაფნის.
-სამარის სევდა, მოდუნება მლაშე და წუთხე.
ობოლ ხატის წინ აცრემლილი სანთელი თაფლის.

***

დათუთქულ ლოცვას ძლივს იკავებს ობობას ქსელი.
ღამურას შრიალს მოაქვს ჩუმად დუმილი მწირის.
ვხედავ კრეტსაბმელს: ლოკოკინა მილოღავს სველი
და მეც ვით იგი გამომძვრალი ქურქიდან მცირე
მოვთქვამ და ვტირი:
საჯვარის დუმილს ერთხელაც არის გასერავს დანა-
მიმასვენებენ მის კედლებში გასუდრულ ცხედარს.
დავენანები ყველას, უფრო ლაშარსა მხედარს
და დამადნება ტკბილი ხმებით მე „სუთა-თანა".

***

გადმოვარდება სარკმელიდან მზის სხივი მკვდარი-
გაციებულ შუბლს დაეცემა მწარედ და ცივად.
სადღაც შორს ქალი გაფითრდება, ისედაც მხდარი-
ობოლი ცრემლი გაურჩება წამწამზე მძივად.

***

შენ იცი მხოლოდ
მშობელო მიწავ: თუ რისთვის ვენთე.
უკანასკნელი
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვენთი:- --
ჩუმი და უთქვი-
და შესვი სუნთქვით.

— — —

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2001 წელი - ენების წელი ევროპაში

## 2001 წელი - ენების წელიწადი ევროპაში

1.

2001 წელი - ენების წელიწადია ევროპაში, რომლის ორდღიანი კონფერენცია ჩატარდა შვეციის ქალაქ ლუნდში,19-20 თებერვალს. "ენების წელიწადის" გამოცხადების ინიციატორებია ევროპის კავშირი და ევროპის საბჭო ერთობლივად, რითაც საქართველოც ევროპის ამ ქვეყანათა ქსელშია მოქცეული, რადგან საქაოთველო მართალია "ევროპის კავშირის" წევრი არ არის, მაგრამ "ევროპის საბჭოს" წევრია, რაც, გასაგებია, განაპირობებს "ენების წლის" აღნიშვნას საქართველოშიც.

2.

ენა არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, საშუალება ადამიანთა ერთიანობის მიღწევის გზაზე ევროპაში, - თქვა შვეციის განათლების მინისტრმა - თომას ოსტროსმა - ამ კონფერენციაზე, რომლის მიზანია მრავალენიანობის დანერგვა-გახარების განვითარება ევროპაში. ევროპის მოსახლეობის გამოკითხვა ადასტურებს, რომ ევროპის კავშირის 15-ტ წევრქვეყანაში მოსახლეობის 47,3 პროცენტი ლაპარაკობს მხოლოდ მშობლიურ ენაზე. უცხო ენების დაუფლებაში პირველ ადგილზე არიან ლიუქსენბურგელები, რომელთა მხოლოდ 2,2 პროცენტი არ ლაპარაკობს ხუთ ტოტა ორ უცხო ენაზე. ყველაზე უფრო ჩამორჩენილები არიან უცხო ენების სწავლაში ინგლისელები, რომელთა ორი-მესამედი მხოლოდ ინგლისურად ლაპარაკობს, რაც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ინგლისური უკვე "მსოფლიო ენა" ხდება ადამიანების,ერების და ეროვნებების კომუნიკაციის პროცესში.

3.

ე.წ-ლი "პატარა ერები" უფრო ეტანებიან უცხო ენების შესწავლას, ვიდრე "დიდი ერები"; მაგრამ ადამიანების მისწრაფება 21-ე საუკუნეში, ე.ი. "კომუნიკაციის საუკუნეში" დაეუფლონ უცხო ენებს სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. გერმანიაში, მაგალითად, მოსახლეობის მხოლოდ 42,8 პროცენტი ლაპარაკობს მხოლოდ გერმანულად, დანარჩენები, ე.ი.მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეუფლება უცხო ენებს, რომელთა შორის პირველ ადგილზეა ინგლისური ენა.

4.

ენების კონფერენციაზე შვეციის ქალაქ ლუნდში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უცხო ენების შესწავლა უნდა გახდეს არა "...ვალდებულების შესრულება, არამედ დაკავშირებული უნდა იქნას სიამოვნებასთან",რასაც იწვევს ადამიანში ახალი, უცხო ენის და ამით მეზობელი თუ შორეული ხალხის კულტურის შესწავლა.

5.

ლუნდის "ენების კონფერენციაზე ხაზგასმით იქნა აგრეთვე აღნიშნული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, განსაკუთრებით ტელევიზიის როლი უცხო ენების და ამით სხვადასხვა ერების კულტურის შესწავლის საკითხში. ბავშვები, - აღნიშნულ იქნა ამ კონფერენციაზე, - "მოძრავი სურათებით", ფილმებითა და ორიგინალური ხმით ეცნობიან უცხო ენებსა და კულტურებს, რომლის

დროს ბავშვები, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, "თამაშით" ეცნობიან და ეუფლებიან უცხო ენებს, რაც, რა თქმა უნდა, ღედაენის საფუძვლიან შესწავლასაც მოითხოვს, რაც - თავის მხრივ - იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის ქართული ენა იყო, არის და უნდა დარჩეს ქართული კულტურის, ქართველთა მეობის საუნჯე ნომერი პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ "დიდი ენების" ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში, უკვე დიდი ხანია გაჩაღებულია ღია და ფარული ბრძოლა "<u>ანგლიციზმების</u>" წინააღმდეგ, რაც გამოწვეულია ინგლისური ენის გაბატონებით საერთაშორისო ურთიერთობაში, რის პრეტენზია - საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ - ფრანგულ ენას გააჩნდა, და, ნაწილობრივ, დღესაც გააჩნია.

7.

რა თქმა უნდა, მშობლიური ენის "სიწმინდის" დაცვა საჭიროა, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ენა - "ცოცხალი არსებაა" და ისევე ცვალებადობას განიცდის, როგორც ყველაფერი საზოგადოებაში, ერში, ხალხში, რომლის დროს "გადაჭარბებული ანგლიციზმები", თუ გნებავთ, ქართულ ენაშიც განსაზღვრულ "უხიამოვნობას" იწვევს ზოგიერთებში. მაგრამ ამგვარი "პროტესტანტების" დასაწყნარებლად საკმარისია მოვიგონოთ ქართული ენის განვითარების ისტორია: ჩვენმა მშობლიურმა ენამ - ქართულმა დედაენამ - მრავალი ერთ დროს გავრცელებული "დიდი ენის" ზეწოლა განიცადა და ხალხმა, ქართველმა ერმა თვითონ "გაწმინდა" ქართული ენა და აითვისა ის სიტყვები თუ ცნებები, რომლებიც ჩვენი ერის "კულტურის საუნჯეში" ჩაიფლებოდა, რის შედეგად არა ერთი უცხო ენის სიტყვებსა თუ ცნებებს ვხდებით ჩვენს მშობლიურ ენაში.

8.

რა თქმა უნდა, ვამბობთ აქვე, ქართულ ენასაც ესაჭიროება "სიწმინდე" და მოვლა-პატრონობა, მაგრამ ჩვენი ხალხია ის საცერი, რომელიც განუწყვეტლივ აწარმოებს უცხო სიტყვათა თუ გამოთქმათა "გაცერვას", რომლის დროს ყოველი "მოდური" სიტყვა თუ გამოთქმა ხენჯთა ნალექის სფეროში ექცევა და, ადრე თუ გვიან, ქრება. ამდენად, უცხო ენათა ზეგავლენამ ქართულ ენაზე - არის ეს "ანგლიციზმები" თუ "რუსიციზმები" - არ უნდა შეგვაშინოს: ქართული ენის "სიწმინდის" დამცველი იყო, არის და იქნება ქართველობა, ქართველი ერი, საქართველო.

9.

და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ "ენების წელიწადი - 2001 წელი" - საქართველოში, და ამით კიდევ უფრო მეტი გზა გაუხსნათ უცხო ენების შესწავლას საქართველოში, ჩვენი დედაენის - ქართულის - გვერდით.

კ.ი.,პარიზი, 2001 წელი, 1 მაისი

## ჯიუზეპე ვერდი და...საქართველო

### ჯიუზეპე ვერდი და საქართველო

### გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო

### (1813 წელი, ბუსეტო - 1901 წელი, მილანო)

1.

ჯიუზეპე ვერდი და საქართველო!.. უთუოთ, ყოველი ქართველი იტყვის:რა კავშირი აქვს ჯიუზეპე ვერდის, დიდ იტალიელ კომპოზიტორს,საერთოდ,საქართველოსთან, როცა მან, შეიძლება, საერთოდ არც კი იცოდა საქართველოს, ქართველი ერის არსებობა, რადგან ჩვენ მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, როცა ვერდი მოღვაწეობდა, რუსეთის მივარდნილი კოლონია ვიყავით?.. მაშ, ვერდის ამგვარი დაკავშირება საქართველოსთან სრულიად გაუმართლებელია?.. ჩვენ ვამბობთ - არა; და აი, რატომ:

II.

ჯიუზეპე ვერდი იყო არა მარტო ოპერის დიდი ხელოვანი, რომელმაც მისი შემოქმედება დაიწყო მილანოში, 1842 წელს, როცა შექმნა ოპერა "ნაბუკო", და რომელსაც მოყვა სულ 26-ი ოპერა, რომელთა ერთი-მესამედი მსოფლიოს ოპერის ნაწარმოებთა საუნჯეს ეკუთვნის, როგორც, მაგალითად, "დონ კარლოსი"(1867 წ.), "აიდა"(1871 წ.), "ოტელო"(1887 წ.) თუ ფალსტაფი"(1893 წ.), არამედ ამასთანავე გაცხოველებულ მონაწილეობას ღებულობდა იტალიის გაერთიანების -Risorgimento- მოძრაობაში, რომლის დროს ვერდის ოპერების გუნდური ქმნილებანი უშუალო პატრიოტული გრძნობებით იყო გაჟღენთილი, რაც იტალიის მოსახლეობის იმდროინდელ ქვეყნის ერთიანობისაკენ გამჭვალულ მისწრაფებას ესადაგებოდა.

III.

ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჯიუზეპე ვერდის, როგორც კრიტიკოსი ვოლფგანგ სტერი წერდა, "განკითხვის დღის დრამამ", ე.ი. "მესსა და რექვიემ", რომელიც მან შექმნა იტალიელი პოეტის ალესანდრო მანცონის (1785-1873) მოსაგონად, რომლის დროს წამოაყენა მეტად უცნაური წინადადება "რექვიემი" შეექმნათ იტალიის მაშინდელ კომპოზიტორებს როგორც "საერთო ქმნილება".

IV.

"ერთი ნაწარმოები, - წერდა ვერდი, - რომელიც რამდენიმე კომპოზიტორის მიერ იქნება შექმნილი, იმ შემთხვევაშიც კი რომ ყველა გენიოსები იყვნენ, იქნება ერთობის, ხასიათის, სტილის და, პირველ ყოვლისა, ძირითადი იდეის გარეშე, რაც მთელ კომპოზიციას აბატონებს...". ამიტომ, "ეროვნული ერთობა უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე მუსიკალური", - დასძენს ვოლფგანგ სტელი.

V.

მართლაც, ცამეტმა კომპოზიტორმა შექმნეს "რექვიემი", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯიუზეპე ვერდიმ, მაგრამ ეს არაჩვეულებრივი "რექვიემის" პრემიერა ჩატარდა 119-ი წლის შემდეგ, 1988 წელში, ჰელმუტ რილინგის დირიჟორობით, შტუტგარტში(გერმანია). ვერდიმ კი შექმნა "მესაა და რექვიემ", რომელიც გახდა "ნიმუში სიკეთილისა და პატრიოტიზმისა" არა მარტო ალესანდრო მანცონისა.

VI.

და აქ მივედით ჩვენ ხელოვანისა და ერის ურთიერთობასთან, რომლის დროს იჭრება საკითხი: ერი, სიკეთილე, პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი ვითომ ერთი მთლიანობა არ არის?.. და თუ ეს ასეა, - და ჩვენის აზრით, ეს ასეა უდაოთ, - მაშინ ჯიუზეპე ვერდი, მისი გარდაცვალების 100-ი წლისთავზეც, მაგალითის მომცემი არ არის ჩვენი ხელოვანებისა და, საერთოდ, ინტელიგენციისათვის, რომ ყველა ჩავდგეთ საქართველოს ერთობის სამსახურში,ეხება საკითხი აფხაზეთს თუ შიდა ქართლს?..

VII.

ამდენად, ჯიუზეპე ვერდი, სხვა მრავალ ქართველ და არაქართველ შემოქმედთა შორის, სიკეთილისა და პატრიოტიზმის სანიმუშო პიროვნებათ არ უნდა მივიჩნიოთ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შექმნა-განმტკიცების გზაზე?..

კ.ი., პარიზი, 2001 წლის 21 მარტი

# ქართველთა ცხოვრება უცხოეთში

## ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი პარიზში

მიმდინარე 2001 წელში "ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი" - კვირას, 15 აპრილს ერთდროულად აღნიშნეს ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იულიუს კეისრის-გრიგოლ XIII-ის კალენდრები, ერმანეთს დაემთხვა სწორედ 2001 წლის 15 აპრილს, და, ამდენად, მსოფლიოს ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ ერთდროულად აღნიშნა ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი. რაც ყოველ 11-ც წელიწადში ერთხელ ხდება.

პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში სააღდგომო წირვა ჩაატარა დეკანოზმა არჩილმა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო; ჩვენი ეკლესიის მგალობელთა გუნდის ლოტბარობდა ოთარ პატარიძე.წირვა გვიან ღამით დამთავრდა, რომლის დროს არაერთხელ გაისმა სააღდგომო შთამაგონებელი მოლოცვა - ქრისტე აღსდგა!.. ჭეშმარიტად აღსდგა!..

## ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი მიუნხენში

მიუნხენში, 2001 წლის 15 აპრილს, პირველად ჩატარდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიუნხენის "ოლიმპიის სოფლის" დარბაზში, რომელიც ჩაატარა <u>მამა ბასილმა</u>, რომელიც არის ქართველთა მრევლის მამა მიუნხენსა და სტრასბურგში, საფრანგეთში, ევროპის საბჭოს, ასე ვთქვათ, დედაქალაქში. გერმანიაში, საერთოდ, და მიუნხენში, კერძოთ, უკვე იმდენმა ქართველობამ მოიყარა თავი, რომ უკვე საჭირო გახდა მრევლის სულიერი მომსახურება.

აი, აქვე მოსაწვევი ბარათის სრული შინაარსი, რომელიც დარიგებულ იქნა ქართველობაში, მიუნხენში:



წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის
ქართული მართლმადიდებლური ეკლესია
მიუნხენში

# მოსაწვევი

# EINLADUNG

**KATH. PFARRAMT ST. GEORG, MILBERTSHOFENER PLATZ 2, 80809 MÜNCHEN**
**Telefon 35 72 700 - Fax 35 11 093**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქრისტე აღსდგა!

ღრმად პატივცემულო ქალბატონო
ღრმად პატივცემულო ბატონო

გულითადად გეპატიჟებით მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მრევლის სააღდგომო შეხვედრა-ზეიმზე.

საზეიმო შეხვედრა გაიმართება 2001 წლის 15 აპრილს, 17 საათზე შემდეგ მისამართზე:
München-Olympiadorf, Helene-Mayer-Ring 9,
im „Partyraum"-Verwaltungsgebeude.
(ავტომანქანებით მობრძანებული სტუმრებისათვის არის თავისუფალი ავტოსადგომი)

!!!გთხოვთ, წინდაწინ შეგვატყობინოთ, შეძლებთ თუ არა ზეიმზე მობრძანებას!!!

შეხვედრის მომწყობი საორგანიზაციო ჯგუფის მისამართი: c/o Mamuka Tavkhelidze, Connollystraße 3, App.G/320, 80809, München. Tel/Fax: 089/35466839, E-mail: mamuka@web.de

## CHRISTUS IST AUFERSTANDEN!

Sehr geehrte Frau
Sehr geehrter Herr

wir laden Sie herzlich zu dem feierlichen Treffen am Osternfest ein. Das Treffen ist von der Georgischen Orthodoxen Gemeinde Heiliger Wachtang Gorgasali in München organisiert.

Das feierliche Treffen findet am 15. April, 2001 um 17 Uhr im „Partyraum"-Verwaltungsgebeude, in Olympiadorf, Helene-Mayer-Ring 9, München statt.
(Für die Gäste mit Autos stehen freie Parkplätze in Verfügung).

Sie werden gebeten umgehend über Ihre Entscheidung uns mitzuteilen .

Adresse der Veranstaltungsgruppe: c/o Mamuka Tavkhelidze, Connollystraße 3, App.G/320, 80809, München. Tel/Fax: 089/35466839, E-mail: mamuka@web.de

## მ ი ს ა ლ მ ე ბ ა

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია, - ესალმება რა წმიდა ვახტანგ გორგასალის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნას მიუნხენში, უსურვებს სასულიერო მამებსა და მრევლს წარმატებებს, რომ "ერი და ბერი", ყველა ერთად, ჩავდგეთ ქართველთა ხორციელი და სულიერი გაძლიერების საქმეში, რაც ასე გვესაჭიროება დღეს - საქართველოს რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ მდგომარეობის გარდასალახავად.

"მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო
კოლეგიის სახელით,
კარლო ინასარიძე

ლევილი, ქართული მამული, 26.5.2001

### მრწამსი

მრწამს ერთი ღმერთი (ჰიპოსტასი), მამა ყოვლისა მპყრობელი შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.

და ერთი უფალი იესო ქრისტე (ჰიპოსტასი), ძე ღვთისა მხოლოდ შობილი. მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან. ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი. ერთ-არსი მამისა. რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩვენთვის. კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცდა.

და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს-ზე, და ივნო და დაეფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად. და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კვალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა. რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სულიწმიდა (ჰიპოსტასი), უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს. მამისა თანა და ძისათანა თაყვანის-ცემისა და იდიდების, რომელი იტყოდა-წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკვდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან ამინ.

---

ბ ა ლ ა ნ ს ი:

"მებრძოლი საქართველო" - 2001 წლის 26 მაისის ნომერი: 29(47).

ხარჯები: დაბეჭდვა, გამრავლება, დაგზავნა და სხვა....4 100 ფრანკი.

შემოწირულება კარლო ინასარიძისა....................4 100 ფრანკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ც ნ ო ბ ა რ ი

## საქართველოს საელჩოები უცხოეთში - უცხოეთის საელჩოები საქართველოში

### Embassies of Georgia in other Countries

**Armenia**
5 Nalbandian Street, Erevan
tel. (88 552) 564 357,
fax. (88 552) 564 183
e-mail:
georgia@arminco.com

**Austria**
Marokkanergasse 16,
A 1030 Vienna
tel. (43 1) 710 3611,
fax. (43 1) 710 3610

**Azerbaijan**
Hotel Azerbaijan, 13/F
1 Azadlegi Avenue, Baku
tel. (99 412) 939 184,
fax. (99 412) 989 440
e-mail: georgian.buku.az

**Benelux Countries and the European Union**
47 Avenue Edmund
Mesens, 1040, Brussels,
Belgium
tel. (32 2) 732 8550,
fax. (32 2) 732 8547
e-mail:
0006853309@mcimail.com

**France Spain and UNESCO**
104 Raymond Poincare
Avenue, 75116, Paris
tel. (33 1) 4502 1616,
fax. (33 1) 4502 1601

**Germany**
Botschaft von Georgien
in der Bundesrepublik Deutschland
Heinrich-Mann-Str. 32 · 13156 Berlin
Tel.: 0 30 / 48 49 07-0
Fax: 0 30 / 48 49 07-20
E-Mail: geobotger@aol.com

**Greece**
24 Agiou Dimitriou Street,
P. Psychico, 15452 Athens
tel. (301) 671 6737,
fax. (301) 671 6722
e-mail. embassygeo@hol.gr

**Iran**
36 Mottaghian Street,
Farmanieh, Tehran
P.B. 19575-37
tel. (9821) 229 5135,
fax. (9821)229 5136

**Italy**
Piazza S. Edigio 7,
00153, Rome
tel. (39 6) 589 8677,
fax. (39 6) 589 8677
e-mail:
amb georgia@agora.stm.it

**Kazakhstan**
246 Gornaya Street,
Almaata, 480020
tel. (7 3272) 21 4930,
fax. (7 3272) 21 3881

**Russia**
6 Paiiashvili Street,
Moscow, 121069
tel. (7 095) 292 1107,
fax. (7 095) 202 4098

**Switzerland**
N1, Rue Richard Wagner,
1202 Geneva
tel. (41 022) 010 1010,
fax. (41 022) 733 9033

**Turkey**
Ulubey Sok. N.28,
Gaziosmanpasa, Buyuk Esat
Caddesi, Ankara
tel. (90 312) 447 1720,
fax. (90 312) 447 1724
e-mail: gab-o@servis2.net.tr

**Consulate General**
Gazipasa Cad. 20, Trabzon
tel. (90 462) 326 2226,
fax. (90 462) 326 2296

**Ukraine**
12/F Hotel Kiev,
Grushevkogo Street, Kiev
tel. (380 44) 293 6976,
fax. (380 44) 293 6957
e-mail: root@georgia.kiev.ua

**United Kingdom**
3 Hornton Place
London W8 4LZ
tel. (44 171) 937 8233,
fax. (44 171) 938 4108

**U.S.A.**
(Consulate General)
1511 K Street NW, Suite
400, Washington, DC
20005
tel. (202) 393-5959,
fax. (202) 393-4537
e-mail: 73324.1007@--
compuserve.com

### Embassies . Georgia

**Armenia**
4 Tetelashvili Street
tel. 99 01 26

**Azerbaijan**
4 Mukhadze Street
tel. 23 40 37

**China, People's Republic of**
52 Barnov Street
tel. 93 12 76

**France**
15 Gogebashvili Street
tel. 93 42 10, 99 99 76,
95 33 75

**Germany**
166 Agmashenebeli Avenue
tel. 95 09 36

**Greece**
Sheraton Metechi Palace
Hotel, Issani
tel. 93 89 81

**Holy See (Apostolic Nunciature)**
40 Jgenti Street
tel. 29 39 44

**Iran**
16 Zovreti Street
tel. 98 69 90, 98 69 91

**Israel**
61 Agmashenebeli Avenue
tel. 95 17 09, 96 44 57

**Russia**
61 Agmashenebeli Avenue
tel. 95 59 11

**Turkey**
61 Agmashenebeli Avenue
tel. 95 20 14, 29 23 19,
95 18 10

**Ukraine**
61 Agmashenebeli Avenue
tel. 23 71 45

**U.K.**
Sheraton Metechi Palace
Hotel, Issani
tel. 95 54 97

**U.S.A.**
25 Atoneli Street
tel. 98 99 68, 98 99 67,
93 38 03 fax. 93 37 59

---

**ბ ა ლ ა ნ ს ი:**

"მებრძოლი საქართველო" 2000 წლის 31 დეკემბრის ნომერი 28(46):
ხარჯები: დაბეჭდვა, დაგზავნა და სხვა....................4 150 ფრანკი.
შემოწირულება კარლო ინასარიძისა........................4.150 ფრანკი.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ნაშრომიდან:

გიორგი გაბესკირია

# ...სადაც ქართველი გადაწვდება...

თბილისი

1999

**წიგნი ეძღვნება**
**ქართული სახელმწიფოებრიობის**
**3000 წლისთავს**



1 2 3 4 5 6 7 8 9

## საქართველოს გერბები:

1. რუსეთის სამეფო „ტიტულარნიკიდან" (1672 წ.) 2. ვახტანგ VI-ის დროინდელი (1709) 3-4-5. ვახუშტი ბაგრატიონის ატლასიდან (1735) 6. ერეკლე II-ის დროინდელი (XVIII ს-ის ბოლო) 7. რუსეთის პროტექტორატის დროინდელი (1800-1801) 8. საქართველო-იმერეთის გუბერნიის (1851) 9. საქართველოს სამეფოსი რუსეთის დიდ სახელმწიფო გერბზე (1882)

## რეგიონალური გერბები ვახუშტი ბაგრატიონის ატლასიდან



## ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი



## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921



მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

„ლეგენდებმა რომ მიგვიყვანა, ჩვენ დამცველი გმირის შთამომავლები ვართ და იმისგან მოგვდევს ნებისმიერი ბორკილის გაწყვეტის ჟინი!"

ოთარ ჭილაძე, 1989 წ.



INDEPENDENT GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქართველთა ეთნოგენეზის ისტორიულ-ეთნოგრაფიული არეალი

უძველესი ქართული გაერთიანებანი (კოლხა დიაოხი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა




საერისთავოები:

1. ეგრისის, 2. მარგვის, 3. ოძრხის, 4. კლარჯეთის, 5. წუნდის, 6. სამშვილდის,
7. ხუნანის, 8. კახეთის, 9. შიდა ქართლის სასპასპეტო.

საქართველო ძვ.წ. VI-III სს-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტერიტორიები:

- საქართველოს სახელმწიფოსი
- საქართველოს გავლენის სფეროებისა (ტრაპეზუნდი)
- საქართველოს ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა

საზღვრები:

- სახელმწიფოებრივი
- ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებისა
- დედაქალაქები
- ფეოდალურ სამთავროთა ცენტრები
- სხვა დასახლებანი

სქემა 11. საქართველო XIII ს-ში ,,ნიკოფსიითგან... დარუბანდამდე...“

ეროვნული ბიბლიოთეკა






კავკასიის ეთნოლინგვისტური პანორამა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ეთნოგრაფიული საქართველო აწინდელ შეკვეცილ
საზღვრებში

# პატარა „ოქროს ხანა"

1918-1921



INDEPENDENT GEORGIA





# საქართველო

"Geographie ist die eizige Konstante der auswärtigen Beziehungen"

"შენ მუქა-მუქა დაგიცავეს და ამიტომა დამაცარავდი"

"გეოგრაფია არის ერთადერთი კონ-სტანტური საგარეო ურთიერთობაში"




აფხაზეთის არ.
აჭარის არ
გურია
თბილისის მერია
იმერეთი
კახეთი
მცხეთა-მთიანეთი
რაჭა-ლეჩხუმი და
ქვემო სვანეთი
სამეგრელო და ზემო
სვანეთი
სამცხე-ჯავახეთი
ქვემო ქართლი
შიდა ქართლი

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით..."

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს".

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება,
არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო"

# მებრძოლი საქართველო

ჩვენი დევიზია: ერთობა - მრავალფეროვანებაში

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GEORGIE COMBATTANTE"

26 მაისი 2001 წელი - 29(47) - 26 MAI 2001

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" — ილია

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა: იანვარი 1962, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris

წერილები უნდა გამოეგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამა ბერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orge
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ-772